ეკონომიკურ რეგრესსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების განხილვისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებს:

**1. ეკონომიკურ რეგრესს მოჰყვება ეკონომიკური ზრდა.** ამის მიზეზი, ძირითადად, ქვეყანაში კრიზისული მოვლენების დიდი ხნით გაგრძელებაა (რასაც ხელს უწყობს გარე და შიგა ომები, სოციალური დაძაბულობა, მთავრობის უუნარო-

ბა და ა.შ.), რასაც მოჰყვება სახელმწიფოს ხელში ყველა სადავის აღება, რაც შესაძლებლობას აძლევს მას, დაძლიოს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები და მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. თუმცა, ამავდროულად, ძლიერდება ეკონომიკური რეგრესი და, საბოლოოდ, ხდება ისევ საბაზრო სისტემაზე გადასვლა ევოლუციური ან რევოლუციური გზით (პოსტკომუნისტური ქვეყნები). გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში, სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიზანშეწონილად მოგვეჩვენოს. მაგრამ, თუ რეგრესის გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილი არ იქნა, ეკონომიკური ზრდა შენელებდა და, საბოლოოდ, კრიზისით დასრულდება.

**2. ეკონომიკურ რეგრესს მაშინვე მოჰყვება ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და საბოლოოდ, ეკონომიკური დაქვეითება.** მაგალითად, პოლიტიკური და კრიმინოგენული სიტუაციის მძაფრ გაუარესებას მაშინვე მოჰყვება ინვესტიციებისა და, მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე, საბოლოოდ, ეკონომიკური კრიზისი.

**3. ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში არავითარ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (ან აშკარად არ ჩანს).** მაგალითად, საგარეო და საშინაო ვალების ზრდას და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, ასევე მთავრობის არაეკონომიკურ ჩარევებს ბიზნესში, შესაძლებელია, მაშინვე არ მოჰყვეს შესამჩნევი უარყოფითი შედეგები, მაგრამ თანდათან იგი გახდება მრავალი ნეგატიური პროცესის საფუძველი (რესურსების არარაციონალური განაწილება, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვ.). თანდათან მზადდება პირობები, ჯერ ზრდის ტემპების შესამცირებლად, ხოლო შემდეგ ეკონომიკური დაქვეითებისა და კრიზისისათვის.

### **ეკონომიკური რეგრესის გამომწვევი მიზეზები და წყაროები**

შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ეკონომიკური რეგრესის გამომწვევი მიზეზი არის საშუალოვადიანი (ვან გოლდერენის, კლიმენტ ჟუგლიარის, სეიმონ კუზნეცის, ჯოზეფ კიტჩინის) და გრძელვადიანი (ნიკოლაი კონდრატიევის) ციკლების არსებობა. ეს ციკლები ბუნებრივია და კავშირი არ აქვს ეკონომიკურ რეგრესთან. იგი დაკავშირებულია ინოვაციების წყვეტილ ხასიათთან. ბუნებრივია, ინოვაციებს ამა თუ იმ დარგში არ აქვს მუდმივი ხასიათი. ინოვაციები დროთა განმავლობაში ძველდება და დგება ეკონომიკური ზრდის შენელების პერიოდი. ეკონომიკა მეწარმეების, მეცნიერებისა და მთავრობის ერთობლივი ქმედებით ამაზე პასუხობს ახალი ინოვაციებით და ეყრება საფუძველი დადებით თვისებრივ ცვლილებებს, გრძელდება ეკონომიკური განვითარება, რის შედეგადაც კვლავ იწყება ეკონომიკური ზრდის ტემპების მატება. მაშასადამე ეკონომიკური ციკლები. ბუნებრივია და დამახასიათებელი საბაზრო ეკონომიკისათვის და ხელს უწყობს მის განვითარებასა და სრულყოფას. ეკონომიკური რეგრესი კი ეკონომიკური რყევების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

მაშასადამე, ეკონომიკურ რეგრესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი, დაკავშირებული როგორც ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებსა და საბაზრო ჩავარდნებთან, ისე მთავრობის მიერ დაშვებულ უნებლიე თუ ნებსით შეცდომებთან. არსებობს ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი და წყარო, ესენია:

**მძიმე სოციალური პირობები.** როდესაც მთავრობას არ შესწევს უნარი, მოსახლეობისათვის შექმნას ცხოვრების შესაბამისი პირობები, დაამყაროს წესრიგი,

შექმნას მყარი ეკონომიკური ზრდის წანამდგრები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება დამთავრდეს მთავრობაში ახალი ძალების მოსვლით, რომელიც ხელში აიღებს სახელმწიფოს მართვის ყველა სადავეს და სწრაფად მიაღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს. ეს შეიძლება განხორციელდეს საბაზრო ეკონომიკის უმკაცრესი შეზღუდვის პირობებში ან ფორმალურად, ბაზრის შეუცვლელად.

პირველი ვარიანტი განხორციელდა საბჭოთა კავშირში, რომელსაც თავდაპირველად მოჰყვა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ეკონომიკაში ჩაიდო უარყოფითი მუხტი, რომელსაც საბოლოოდ მოჰყვა კვლავ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. მიგვაჩნია, რომ ეს გადასვლა დროულად რომ განხორციელებულიყო (რაც სტალინის მთავრობამ დაიწყო კიდევაც), საბჭოთა კავშირში მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა.

იყო თუ არა საბჭოთა კავშირის დროს ბაზარი? თქმა იმისა, რომ სოციალიზმის დროს საერთოდ არ არსებობდა ბაზარი, არასწორია. იქ, სადაც არსებობს საქონელგაცვლა, გარკვეული ფორმით არსებობს ბაზარიც. მაგრამ ის საბჭოთა კავშირში არსებობდა უკიდურესად შეზღუდული ფორმით. ამ შემთხვევაში ბაზრის ბევრ ფუნქციას ითავსებდა სახელმწიფო, მაგრამ იგი, თუმცა დიდი შეზღუდვების პირობებში, მაინც ეყრდნობა ბაზრის მოთხოვნებს. დიდი დაბრკოლებებით, მაგრამ მაინც, სახსრები მიედინებოდა იმ სფეროებში, სადაც მოთხოვნა მეტი იყო. ფასებს სახელმწიფო ადგენდა, მაგრამ იგი, გარკვეულწილად, მაინც ეყრდნობოდა მოთხოვნა-მიწოდების კანონს. კერძო საკუთრება აკრძალული იყო, მაგრამ ის მაინც არსებობდა პირადი საკუთრების სახით და ჩრდილოვან ეკონომიკაში.

მართალია, საწარმოები საერთო საკუთრებაში იმყოფებოდა, მაგრამ მმართველი ჯგუფი მას ექცეოდა როგორც კერძო საკუთრებას, რის შედეგადაც ისინი იღებდნენ არაკანონიერ, მაგრამ თავიანთი “სამეწარმეო” საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. მაშასადამე, საწარმოებში არსებობდა დასაქმებულ საქმოსანთა ფენა, რომლებიც გარკვეულწილად წარმოადგენენ ბიზნესმენთა თვისებების მატარებლებს [2]. პრინციპში, მათი საქმიანობა დაკავშირებული იყო დადებით თვისებრივ ძვრებთან ეკონომიკაში, გარკვეულ პროგრესთან (ტექნოლოგიების სრულყოფა, ბიუროკრატის ბატონობის შესუსტება, წინაპირობების შექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, არაფორმალური ინსტიტუციების სრულყოფა და ა.შ.). ბაზრის არსებობაზე მიუთითებს ასევე საკოლმეურნეო საკუთრებისა და თავისუფალი საკოლმეურნეო ბაზრის არსებობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1927 წლამდე საბჭოთა კავშირში არსებობდა კერძო საკუთრება (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად) და შემდეგაც, 1956 წლამდე, ფუნქციონირებდა “სარეწაო კოოპერაციის” სრულიად განსხვავებული მმართველების სამეწარმეო სექტორი (კვების მრეწველობა თუ ლითონგადამამუშავებელი მრეწველობა, საიუველირო საქმე თუ ქიმიური მრეწველობა), სახელოსნოები და საწარმოები (არტელები), რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. სამეწარმეო სექტორში ფუნქციონირებდა საკონსტრუქტორო ბიუროები, ექსპერიმენტული ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არასახელმწიფოებრივი საპენსიო სისტემა, არტელები გასცემდნენ სესხებს და ა.შ. მაშინდელი საბჭოთა მთავრობა, როგორც ჩანს, ხვდებოდა ეკონომიკური რეგრესის უარყოფით შედეგებს და ხელს უწყობდა კერძო საკუთრების განვითარებას და სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებას. 1956 წელს ეს სამეწარმეო

სექტორი რომ არ განადგურებულიყო და პირიქით გაძლიერებულიყო, საბჭოთა კავშირში მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას ექნებოდა ადგილი.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა იყო უკიდურესად შეზღუდული საბაზრო ეკონომიკა, რის გამოც მას ეწოდა არასაბაზრო – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკა.

რა იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის ძირითადი ნაკლოვანებები, რომელიც ხელს უშლიდა ეკონომიკის შემდგომ განვითარებას? ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია ამ პრობლემების შემსწავლელ ცნობილ წარმომადგენელთა ნაშრომებში [3; 4; 5], რომლის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს:

რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ცვლის საბაზრო მექანიზმს, ერთიანი ცენტრი იძულებულია, გადაამუშაოს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია, რათა შემდეგ გასცეს ბრძანება თითოეული ეკონომიკური აგენტისადმი. მაგრამ, ერთ ორგანიზაციას, როგორც უნიკალური შესაძლებლობებიც არ უნდა ჰქონდეს მას, დანაკარგების გარეშე ამის გაკეთება არ შეუძლია, ვინაიდან გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს ეკონომიკა, მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რის გამოც გამუდმებით იცვლება მასზე მოქმედი ფაქტორები. ბუნებრივია, ამის გამო გეგმები ვერ სრულდება და იწყება ქაოსი – შეზღუდული ეკონომიკური რესურსები მეტად არარაციონალურად გამოიყენება. საბაზრო ეკონომიკა კი, ფასების მექანიზმის მეშვეობით, ამ პრობლემას თითქმის ავტომატურად აგვარებს.

საგეგმო ეკონომიკის დროს ასევე დიდია ტრანსაქციური დანახარჯები, რომელიც გაიწევა საგეგმო დავალებათა მისაღებად და მათ ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის შესანახად.

კერძო საკუთრებისა და მეწარმეობის აკრძალვის გამო თითქმის მთლიანად იგნორირებულია ადამიანთა შემოქმედებითი უნარი, თუმცა ცალკეული პირები მაინც ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას, მაგრამ ეს ხდება ჩრდილოვან ეკონომიკაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

ეკონომიკური განვითარების ლოგიკას ასეთ პირობებში ტოტალიტარიზმთან, ანუ ისეთ სისტემასთან მივყავართ, სადაც ადამიანური საქმიანობის ყველა დარგი ხელისუფლებას ემორჩილება, რაც ასევე დაკავშირებულია ტრანსაქციური დანახარჯების ზრდასთან. ასეთ პირობებში, ხელფასის დაბალი დონის გამო, თანდათან ჩნდება და ვითარდება კორუფცია, რომელიც მთელი საზოგადოებისთვის გარკვეულ წესად იქცევა და ტრადიციის ხასიათსაც კი იძენს. ყალიბდება ეგრეთ წოდებული “ბიუროკრატიული”, ანუ “ადმინისტრაციული” ბაზარი, სადაც იყიდება არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები, არამედ “ძალაუფლება” და “ხელქვეითობა”, “წესები და მისი დარღვევები” და ა.შ. ასეთი ურთიერთობების წლების განმავლობაში განმეორების გამო საზოგადოებაში ყალიბდება შესაბამისი წეს-ჩვეულებები, იქმნება დაუწერელი სამართალი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევებზე.

მეურნეობრიობის ასეთი სტილი მუდმივ დეფიციტს წარმოშობს როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლებისათვის, რაც თავისთავად იწვევს წარმოების დიქტატს მომხმარებლებზე. ჩნდება რიგები, “დახლქვეშა პროდუქცია” და ა.შ.

სახელმწიფოს მხრიდან ვლინდება ცალკეულ საწარმოთა მკაცრი რეგლამენტაცია და, ამავე დროს, მათზე ზრუნვა. მართალია, ყოველი საწარმო განიცდის რესურსების ნაკლებობას, მაგრამ მას შეუძლია იმუშაოს ზარალის პირობებშიც, იგი

არასდროს გაკოტრდება, ვინაიდან სახელმწიფო აუცილებლად დაეხმარება და იხსნის გასაჭირისაგან. ასეთ პირობებში უარესდება პროდუქციის ხარისხი, მიუხედავად ამისა, რიგებით შეწყობილი ადამიანები ყველაფერს ყიდულობენ.

მიწოდებაზე მოთხოვნის მუდმივი სიჭარბე იწვევს ფულადი მასის ზრდას და მის მრავალჯერად სიჭარბეს სასაქონლო მასასთან შედარებით. ასეთი დისბალანსის შედეგად გამოწვეული ინფლაციური პროცესები ითრგუნება ძალით, ფიქსირებული ფასების მეშვეობით. ადგილი აქვს ფარულ ინფლაციას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს რიგებში, ტალონებში, ბარათებსა თუ დეფიციტური საქონლის განაწილების სხვა ფორმებში.

ცენტრალიზებული საგემო ეკონომიკური წყობილების დროს სახელმწიფო შედარებით უმნიშვნელო მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რაც ეგრეთ წოდებული უცხოური ვალუტის “შავი ბაზრის” წარმოშობას იწვევს. ასევე, გასაგებია, თუ რა დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკური პროცესებისაგან მოწყვეტა.

ერთი მხრივ, ცალკეული ადამიანის ყოველმხრივი დამოკიდებულება ხელისუფლებაზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მათზე მზრუნველობა, ბაღებს ინფანტილიზმს და უუნარობას, ბრძანებისა და მზრუნველობისაკენ მაყურებელ ადამიანთა ტიპს და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის მკაცრი შეზღუდვა სხვა გზით განხორციელდა გერმანიაში. ჰიტლერის გამარჯვებას ხელი შეუწყო მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა სიტუაციამ, 1928 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა. კლასიკური საბაზრო ეკონომიკა უძღური იყო, გამოსულიყო მდგომარეობიდან ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების გარეშე. იტალიაში ამის მიზეზი გახდა მარცხი პირველ მსოფლიო ომში, კოლონიების დაკარგვა და საერთაშორისო შეზღუდვები; ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. მთავრობის უუნარობა – გამოეყვანა ქვეყანა კრიზისიდან. იქ ეკონომიკა ვითარდებოდა კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის საფუძველზე, მაგრამ ყველაფერი ეს ექვემდებარებოდა მთავრობის მოთხოვნებს. მთავრობა აკონტროლებდა ეკონომიკის ყველა სფეროს. იზღუდებოდა კერძო საკუთრებაც [Berend 2005; Payne 1995]. ფირმები იმდენად შეზღუდულები იყვნენ თავიანთ საქმიანობაში, რომ ისინი არ მიეკუთვნებოდნენ არც კერძო, არც სახელმწიფო საკუთრებას.

**საბაზრო ეკონომიკის ძალდატანებითი შეცვლა ან სხვა ეკონომიკური სისტემის ტრანსპლანტაცია.** რუსეთში საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ მან შემოიერთა ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ და ყველგან დამყარდა სოციალისტური წყობა, რის შედეგადაც ამ ქვეყნებში განხორციელდა საბაზრო ეკონომიკის მკაცრი შეზღუდვა. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ომის შემდგომ წლებში მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში.

**არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა.** იგი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახით:

**ეკონომიკის სოციალიზაცია.** შერეული ეკონომიკის დროს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში იზრდება და ზოგჯერ იგი გადადის ეკონომიკის სოციალიზაციაში, რასაც მოჰყვება სახელმწიფოს ხელში ხელისუფლების კონცენტრაცია, რაც თავისთავად ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას და მრავალი უარყოფითი მოვლენის წყაროა. საბოლოოდ, საქმე გვექნება ეკონომიკურ რეგრესთან, რასაც მოჰყვება ეკონომიკური კრიზისი. ამის მიზეზები შესაძლებელია ვეძიოთ ეკონომიკურ პარა-

ლოგიზმებში (უნებლიე მცდარი ლოგიკით შემცდარ ღონისძიებებზე გასვლა) [Papava...2009], ხელისუფლებაში მოსული ადამიანებისა და, საერთოდ, საზოგადოების მენტალიტეტში, ინტერესთა ჯგუფების ზეწოლაში, დემოკრატიის სისუსტეებში].

ეკონომიკური თავისუფლება არ უნდა ავურიოთ პოლიტიკურ თავისუფლებაში, ვინაიდან შესაძლებელია ქვეყანაში იყოს ავტოკრატიული ხელისუფლება, მაგრამ, ამავე დროს, არსებობდეს სრული ეკონომიკური თავისუფლება (მაგალითად, სინგაპური და ტაივანი, თავის დროზე სამხრეთ კორეა). გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დემოკრატია უნდა უმაღლოდეს კაპიტალიზმს (ანუ თავისუფლებას ეკონომიკაში) და არა პირიქით [Friedman... 2006; Schumpeter...1949; ბალცეროვიჩი... 2004]. გარკვეულწილად ეს მართალია, ვინაიდან კაპიტალიზმმა მოიტანა დემოკრატია, რადგან ეკონომიკური თავისუფლების გარეშე დემოკრატია ვერ მიიღწევა, მაგრამ დემოკრატიის გარეშეც ეკონომიკური თავისუფლება, შესაძლებელია, არ არსებობდეს ან დიდხანს ვერ იქნეს შენარჩუნებული.

**არასწორი საგადასახადო პოლიტიკა.** გადასახადების არაოპტიმალური სიდიდე ამცირებს ინვესტიციებს, აფერხებს ტექნოლოგიების სრულყოფას, ინოვაციების განხორციელებას და, მამასადამე, ეკონომიკურ ზრდას ან ამცირებს შემოსავლებს ბიუჯეტში, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში, რასაც ასევე მოჰყვება ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება.

**გარე სამყაროსგან იზოლაცია, მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება.** ასეთ პოლიტიკას მოჰყვება ინვესტიციების შეზღუდვა, ტექნოლოგიების განუვითარებლობა, ინოვაციების შემცირება, კონკურენტუნარიანობის შემცირება და ა.შ.

**მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციების არასათანადოდ დაფინანსება.** განათლება და მეცნიერება არის განვითარების საფუძველი. საზოგადოების კეთილდღეობა განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ყოფაცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში. ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას.

**არასრულყოფილი ინსტიტუციები.** აფერხებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას. წარმოშობს მრავალ ნეგატიურ მოვლენას: ჩრდილოვან ეკონომიკას, ნეპოტიზმს, კორუფციას, ეტატიზმს და ა.შ.

მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას განეკუთვნება ასევე: არჩევნების დროს პოლიტიკოსების მიერ შემოთავაზებული პოპულისტური დაპირებები; არასწორი ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა; ბიზნესში მთავრობის არაეკონომიკური ჩარევა; კერძო საკუთრების ხელყოფა; არასწორი აგრარული, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა და სხვა.

**არასამართლიანი გლობალიზაცია.** მან შესაძლებელია, ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე: შეზღუდოს ეროვნული წარმოება, შეანელოს ტექნოლოგიური პროგრესი, შეამციროს ადამიანისეული კაპიტალი, გაანადგუ-



როს ბუნებრივი რესურსები და ა.შ. გარდა ამისა, გლობალური ხასიათის ნეგატიური პროცესები ასევე ნეგატიურად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე და სხვ.

**საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნები.** საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნების პრობლემები ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა განხილული. ჩვენ დავძენთ მხოლოდ იმის შესახებ, რომ, თუ ეს პრობლემები დროულად არ იქნა აღმოფხვრილი, ეკონომიკაში რეგრესული პრობლემები წარმოიშობა. მაგალითად, თუ სიღარიბისა და შემოსავლების განაწილების უთანაბრობის პრობლემა დროულად არ იქნა გადაჭრილი, მას შესაძლებელია მოჰყვეს სოციალური და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება; ეკოლოგიური მოთხოვნების გაუთვალისწინებლობას – ბუნებრივი რესურსების, ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება, პროდუქციის გასაღების შემცირება და სხვ.

**ეკონომიკის ქაოსური ხასიათი.** იგი ეკონომიკური რეგრესის ყველაზე უხილავი წყაროა, რომლის მთლიანად თავიდან აშორება შეუძლებელია. ქაოსურობის შედეგად გამოწვეული რეგრესის გამოცნობა არათუ კრიზისამდე, არამედ კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგაც კი ძნელია (მაგალითად, ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია დიდი ეკონომიკური დეპრესიის და სხვა კრიზისების არაერთი მიზეზი). ბაზარზე არსებობს უამრავი რაოდენობის ეკონომიკური აგენტი, რომელთა საქმიანობა მთავრობის მიერ დადგენილი “თამაშის წესების” ფარგლებში მთლიანად თავისუფალია. მართალია, საბაზრო ეკონომიკას მართავს სხვადასხვა სახის კანონი, რომელიც მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაბილურობას ანიჭებს, მაგრამ, თითოეული აგენტის საქმიანობა და მათი აგრეგირებული მოქმედება ყოველთვის არ შეესაბამება ეკონომიკური სტაბილიზაციის მოთხოვნებს. ქაოსურობის მრავალი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. მაგრამ, ამავე დროს, ბაზრის ქაოსურობა იძლევა საბაზრო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას. მაშასადამე, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს არა ქაოსურობის აღმოფხვრა, არამედ მისი უარყოფითი მოქმედების გამოცნობა და თავიდან აცილება ან დამდგარი უარყოფითი შედეგების რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით დაძლევა.

**ბუნებრივი პირობების ცვლილება.** არის თუ არა ბუნებრივი პირობების ცვლილების შედეგად (გვალვა, წყალდიდობები, მოუსავლიანობა, ნედლეულის მარაგების შემცირება და ა.შ.) გამოწვეული დაქვეითება ეკონომიკური რეგრესის წყარო? რასაკვირველია, გარკვეული ზომით არის, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს რა ეკონომიკურ ვარდნას, ანუ უარყოფით რაოდენობრივ ცვლილებებს,

იგი გადადის უარყოფით თვისებრივ ცვლილებებში. მაგალითად, იზრდება უმუშევრობა და სიღარიბე, რაც აქვეითებს ქვეყნის ადამიანისეულ კაპიტალს და იწვევს სოციალურ დაძაბულობას და ა. შ.

**არასწორი საგარეო პოლიტიკა.** პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებთან, კონფრონტაციისაკენ.

გარდა ამისა, ეკონომიკური რეგრესის წყარო შეიძლება იყოს: მოძველებული ტექნოლოგიების, წარმოების მეთოდები და ფორმები; ვალუტის კურსის სწრაფი და დიდი ზომით ცვლილება; საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და გაუმართაობა; ფულის დაუსაბუთებელი ემისია; ბიუჯეტის დეფიციტი; დიდი შიგა და საგარეო ვალი, ჭარბმოსახლეობა და სხვ.

#### **ეკონომიკური რეგრესის ინდიკატორები**

ეკონომიკურ რეგრესს აუცილებლად არ მოჰყვება ეკონომიკის რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუარესება. პირიქით, ზოგჯერ სწორედ ეკონომიკური დაქვეითების

პირობებში მიმდინარეობს ეკონომიკური განვითარება (მაგალითად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე, ეკონომიკური ციკლების დროს და სხვ). ამდენად, ეკონომიკური რეგრესის შესაფასებლად გაუარესებულ საბოლოო რაოდენობრივ მაჩვენებლებს (ასეთი მაჩვენებლები გამოიყენება ეკონომიკური ვარდნის, ეკონომიკური დაქვეითების, ეკონომიკური კრიზისის დროს) ვერ გამოვიყენებთ. ეკონომიკური რეგრესის შეფასების მაჩვენებლები უკავშირდება ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის მიზეზებსა და წყაროებს. ასეთი მაჩვენებლებია: სოციალური და კრიმინოგენული დამაბულობის გაუარესება, ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერება, ინსტიტუციების გაუარესება, კორუფცია, ნეპოტიზმი, ეტატიზმი, ტექნოლოგიების, ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება, დანახარჯების შემცირება, მეცნიერებაზე, განათლებასა და ინოვაციებზე, ბიზნესში მთავრობის არა-ეკონომიკური ჩარევა; კერძო საკუთრების ხელყოფა; არასწორი აგრარული, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა სხვ.

### **სახელმწიფო, როგორც ეკონომიკის „მესაჭე“**

ეკონომიკური რეგრესი შესაძლებელია წარმოიშვას ნებისმიერ, თვით ყველაზე მაღალგანვითარებულ ეკონომიკაშიც კი. ამდენად აუცილებელია ეკონომიკის მუდმივი გაძლიერება. ამისათვის კი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ეკონომიკის „მესაჭის“ ფუნქცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური რეგრესი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რყევები. ეკონომიკური რეგრესის დეტერმინანტთა თითქმის ყოველდღიური ანალიზის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ მეცნიერები და ბიზნესი.

კონსოლიდირებული ეკონომიკის, ანუ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია გამართული სამეურნეო სისტემის შექმნაზე, რომელიც ეფუძნება საბაზრო მექანიზმს. ასეთი სამეურნეო სისტემის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მეწარმეობის თავისუფლება, კერძო საკუთრების დომინირება და მისი ხელშეუხებლობა, ბიზნესის გადაქცევა შემოქმედებითი საქმიანობის სფეროდ, ჯანსაღი ფინანსების არსებობა, მეცნიერების განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის კოორდინირება. სახელმწიფოს მარეგულირებელი ინსტრუმენტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინოვაციურ ინსტრუმენტებს და ა. შ.

### **საქართველოს ეკონომიკაში ეკონომიკური რეგრესის გამოვლინების მიზეზები**

ეკონომიკაში რეგრესული პროცესების გამოვლენის მაგალითად, სხვა ქვეყნებთან ერთად, შეიძლება გამოდგეს საქართველოც, სადაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკური რეგრესის გამოვლენის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მიზეზებს [Abesadze... 2011;

Abesadze... 2009; აბესაძე... 2014, ბერულავა...2011; Burduli... 2012; Papava... 2002; . Papava... 2009; Papava... 2005; Papava 2013; ჩიქავა... 2013; ჭითანავა... 1999; მესხია... 1996; სილაგაძე... 2013; წერეთელი... 2003].

**ობიექტური მიზეზებიდან შეიძლება დავასახელოთ:** მსოფლიო ისტორიისთვის ჯერ კიდევ უცნობი ტრანსფორმაციის განხორციელება; ძველი ეკონომიკური ურთიერთობების შეწყვეტა და ახლის არარსებობა; ახალ ეკონომიკურ სისტემაზე ერთდროული გადასვლისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებული სირთულეები; ქვეყნის რთული გეოპოლიტიკური მოწყობა; ცალ-

კეულ შემთხვევებში საერთაშორისო ორგანიზაციების არასაკმარისია კომპეტენტურობა.

სუბიექტური მიზეზებიდან შეიძლება დავასახელოთ:

1. დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება, რის გამოც მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია წლობით გაგრძელდა.
2. ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა.
3. ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა და განხორციელება.
4. რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა.
5. გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოღების შემდეგ არასწორი ფულადსაკრედიტო (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც მოხდა კუპონის ძლიერი გაუფასურება – ჰიპერინფლაცია.
6. საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორად წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა. შედეგად გაიზარდა კორუფციის დონე, გაძლიერდა ბიზნესის რეკეტი, წარმოიშვა საფინანსო, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი, გამწვავდა კრიმინოგენული სიტუაცია და ა.შ.
7. მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება, რაც ასევე წითელ ზოლად გასდევს მთელ ტრანსფორმაციულ პერიოდს.
8. მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა.
9. წლების განმავლობაში სოფლის პრობლემების უგულვებელყოფა
10. ომი რუსეთთან.
11. პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები.
12. კერძო საკუთრების (რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს) ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა.
13. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება.
14. შემოსავლების უთანაბრობის ზრდა.
15. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეცდომა იყო ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გზის უგულვებელყოფა, რომელიც მხოლოდ 2013 წელს იქნა აღიარებული და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და იდგმება ამ მიმართულებით

### ლიტერატურა

1. Abesadze R., 2011, Some theoretical aspects of economic development. Journal “The Caucasus & Globalization”, CA&CC Press, SVEDEN, Volume 3, Issue 4.
2. Abesadze R., Kakulia E., 2009, The problems of state regulation of small business in Georgia. Journal: “Central Asia and the Caucasus”. No 6(60).
3. Amarty Sen 1990. Economic Regress: Concepts and Features. “THEWORLD BANK ECONOMIC REVIEW”, Volume 7, Issue suppl\_1,1993;  
[https://academic.oup.com/wber/article-abstract/7/suppl\\_1/315/1707171\](https://academic.oup.com/wber/article-abstract/7/suppl_1/315/1707171)
4. Berend Tibor Ivan 2005. An Economic History of Twentieth-Century Europe. — Cambridge University Press, 2005.

5. Burduli V., 2012, Ways of development of branch and technological structure of economy in the country in the conditions of globalization. – Tb., “*Ekonomisti*”; N3.
6. Friedman M. 2006. Capitalism and freedom. M.: New publishing house.
7. Hayek F. 1991, Harmful self-confidence. M., “*Economics*”.
8. Kornai J., 1990, Deficit, M., “*Economics*”.
9. Mises E.L., 1993, Bureaucracy. Planned chaos. Anti-capitalist mentality. M.: “*Issue*”
10. Payne, Stanley G. 1995. A History of Fascism, 1914-1945. — Routledge, 1995. — ISBN 1-857285-95-6
11. Papava G., 2009, Methodology of knowledge of the qualities of mixed market economy’s realities and paralogism, Stockholm, C&ACC
12. Papava Vl., 2002, Political Economy of the post-communist capitalism and its application for Georgian Economy, Tb., “*PDP*”.
13. Papava Vl. 2005, Necroeconomics. Political Economy of Post-Communist Capitalism. New York, Universe.
14. Papava Vl., 2013, Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. NovaSciencePublisher
15. Schumpeter J, 1949. Capitalism, socialism and democracy.
16. ასათიანი რ., 2014, საით მიდის საქართველო? თბ, “*სიახლე*”;
17. ბალცეროვიჩი ლ. 2004. თავისუფლება და განვითარება. თბ., 2004. „*სიახლე*“, 2005
18. ბერულავა გ. საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირების კანონზომიერებები და მისი სრულყოფის პერსპექტივები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4, “*თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა*”, 2011;
19. მესხია ი., 1996, მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში. თბ., “*უნივერსიტეტის გამომცემლობა*”;
20. სილაგაძე ა. 2013, „*პოსტსაბჭოური ეკონომიკის განვითარების ზოგადი ასპექტები. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: “პოსტსაბჭოური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე*”. თბ., “*თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა*”, 2013.
21. ჩიქავა ლ., 2013; დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბ, “*უნივერსალი*”.
22. ჭითანავა ნ. 1999. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება). ნაწილი II. თბილისი, სესპსკი, 1999.
23. წერეთელი გ. 1992. საქართველო საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების გზაზე. “*ეკონომიკა*”, № 8-9, 1992.

**ნუნუ ოვსიანიკოვა**

ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**მაია მიქსია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიზნეს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტი

## საქართველოს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და ევროინტეგრაცია

**ანოტაცია.** საქართველოში შრომითი ურთიერთობების რეგულირების პოლიტიკის ორიენტირი ევროინტეგრაციის გზაზე, დემოკრატიული რეფორმაციის უზრუნველყოფის მიზანს უკავშირდება. მიუხედავად რეფორმებისა, რომლითაც ქვეყნის შრომის უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს, დღესაც ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები ასოცირების შესახებ შეთანხმების, ევროკავშირის სხვა დირექტივებისა და სოციალური ქარტიის დებულებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მისაღები დირექტივები და თავად კონვენციების რატიფიცირებისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფის საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** ევროინტეგრაცია, შრომითი ურთიერთობები, შრომის უსაფრთხოება, შრომის ინსპექცია, ასოცირების შეთანხმება.

## შესავალი

ადამიანის უფლებების დაცვის დონე მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან და შესაბამისად შრომის უსაფრთხოების ეფექტური პოლიტიკა ღირსეული შრომის გარემოსა და ქვეყნის მდგრადი განვითარების მძლავრი ბერკეტია. საქართველოში შრომითი ურთიერთობების რეგულირების პოლიტიკის ორიენტირი ევროინტეგრაციის გზაზე, დემოკრატიული რეფორმაციის უზრუნველყოფის მიზანს უკავშირდება და რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარმართება, როგორცაა შრომის პოლიტიკის კონცეპტუალური, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბება, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული, ევროკავშირის შრომის დირექტივების, სოციალური ქარტიის დებულებიდან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებიდან გამომდინარე ვალდებულებების არა მარტო შესრულების არამედ შესრულების პროცესის თანმიმდევრული მონიტორინგით, რაც თავის მხრივ ევროინტეგრაციის პროცესის ეფექტურობის გარანტად გვესახება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის სამართლებრივი ბაზა მთელ საკანონმდებლო მასივს მოიცავს და შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების რეგულირების საკანონმდებლო მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესებში გარდამტეხი ადგილი უკავია „ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“.

რაც შეეხება შრომის უსაფრთხოების მართვის ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნას, ზედამხედველი ორგანოს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შრომის ინსპექციის სამსახურისა და ადგილებზე შრომის უსაფრ-

თხოვბაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის ან პირის სახით არსებობას იგი უშუალოდ უკავშირდება შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

ამასთანავე, ბოლო წლებში, საქართველოს შრომის უსაფრთხოების სისტემის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო მნიშვნელოვნად დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს და ქვეყნის მიერ შრომის უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო დონეზე ნაკისრ ვალდებულებებს, უდაოდ ევროინტეგრაციული პროცესების დინამიურ განვითარებაზე მიუთითებს და აქტუალობას არ კარგავს ასოცირების შეთანხმების სრული აღსრულების პროცესისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მისაღები დირექტივები და თავად კონვენციების რატიფიცირების საკითხი. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ ქვეყნისთვის შრომის ნორმების სრული აღსრულების პროცესისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებზე. ხოლო სამუშაო ადგილებზე დამავებულთა და სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა მზარდი სტატისტიკა დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყნის ცალკეული ინსტიტუციების მართვის პროცესს - გაუმკლავდეს პრობლემებს ღირსეულად და შექმნას ჯანსაღი სამუშაო პირობები.

ამდენად, ნათლად იკვეთება შრომის ინსპექციის სამსახურის მიზნების, სოციალური სარგებლისა და ფუნქციების, აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული კომუნიკაციისა და კონსულტაციების გააქტიურების საჭიროება.

სწორედ აღნიშნული საკითხების წარმოჩენა განაპირობებს წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას - რათა ანალიზისა და სათანადო დასკვნების საფუძველზე, ჯეროვანი არგუმენტირებული რეკომენდაციები მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს არსებული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტისათვის, შრომის უსაფრთხოების სფეროში ევროინტეგრაციის პროცესის წარმართვის თანხვედრილად.

### **საქართველოს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და ევროინტეგრაცია**

„ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც საქართველოს შრომის უსაფრთხოების სფეროში ევროინტეგრაციის თანმიმდევრული პროცესის ორიენტირი. საყურადღებოა, რომ 2014 წლის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების ფორმირებამდე დასაქმებულთა უფლებების დაცვის სფეროში ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების ქმედითი პროცესი თითქმის არ მიმდინარეობდა და ატარებდა ფრაგმენტულ ხასიათს.

აღსანიშნავია, რომ ევროინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობის შესახებ საქართველომ ჯერ კიდევ 1996 წელს 22 აპრილის “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ” შეთანხმებით, <sup>1</sup>გამოიხატა ნება ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებთან პარტნიორობის დამყარების შესახებ. შემდგომში კი, „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმო-

<sup>1</sup>1996 წელს 22 აპრილის შეთანხმება “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0>

ნიზაციის შესახებ”,<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის # 828 დადგენილებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, რომ „საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს და ნორმებს“, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2004 წელს 12 მარტის #580 დადგენილებით „საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“<sup>3</sup> საქართველოს ხელისუფლებამ სამართლებრივად განამტკიცა, რომ მხარს უჭერს ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის შემდგომ ინტენსიფიკაციას.

ამდენად, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ვექტორი პრიორიტეტულად მიმართული იქნა ევროინტეგრაციისკენ, რომელიც ხორციელდებოდა ეტაპობრივად.

2006 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა პირველი ეტაპი შრომითი კანონმდებლობის რეფორმის კუთხით. რეფორმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შრომით ბაზარზე ლიბერალური მიდგომის დანერგვით, რომელსაც თავის მხრივ შეემლო უზრუნველყოფა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. რეფორმის ამოსავალი წერტილი სახელმწიფოს მხრიდან იყო დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ინტერვენციის შესაძლებლობის მაქსიმალური შეზღუდვა და მხარეებისთვის მოქმედების თავისუფლების მინიჭება კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში. რეფორმის შედეგად კი მიღებული შრომის კოდექსი იყო მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესების გამტარებელი. შედეგად ხელშეკრულება ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდიოდა კანონით დადგენილ ნორმებთან და მით უფრო ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებთან, რომელიც ითვალისწინებდა დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლებების თანაბარ დაცვას. ამავე წელს საქართველოში გაუქმდა შრომის უსაფრთხოების ნორმების მარეგულირებელი ორგანო შრომის ინსპექცია. შრომის უფლებებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციები წლების განმავლობაში კრიტიკულად აფასებდნენ ხელისუფლების მიერ შრომის ინსპექციის გაუქმებას<sup>4</sup>.

ხოლო „Human Rights Watch“<sup>5</sup> სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის მატებას პირდაპირ უკავშირებდა შრომის ინსპექ-

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის # 828 დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/38704?publication=0>

<sup>3</sup> საქართველოს პარლამენტის 2004 წელს 12 მარტის #580 დადგენილებით „საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/42694?publication=0>

<sup>4</sup> ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში“, 2017, [https:// bit.ly/3yJCUCH](https://bit.ly/3yJCUCH); (შემდგომში, EMC, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება, 2017); საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, „რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს შრომის ინსპექციის არარსებობამ?“ 28 აპრილი, 2014, <https://bit.ly/3qW872R>.

<sup>5</sup> 2 იქვე, იხ., ასევე, Human Rights Watch, “ არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე – საქართველოში წლების განმავლობაში შრომის ბაზრის დერეგულირება საფრთხეს უქმნის მადაროელებს“, 8 იანვარი, 2019, <https://bit.ly/3xp2Env>. „ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, დერე-

ციის სამსახურის გაუქმების ფაქტს. შრომის ინსპექციის გაუქმების გარდა ამავე პერიოდში გაუქმდა „დასაქმების საჯარო სამსახური“ (გაერთიანდა „დასაქმებისა და სოციალური დახმარების სააგენტოში“) და უმუშევრობის შემწეობა<sup>6</sup>. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად<sup>7</sup> მისი კორუფციული ხასიათი სახელდება, აღსანიშნავია, რომ ის არ ყოფილა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იდეოლოგიური მოსაზრებით<sup>8</sup>.

2013 წელს განხორციელდა შრომის კანონმდებლობის რეფორმის მეორე ეტაპი. ახალი რეფორმის შედეგად მიღებული შრომის კოდექსი ძირეულად განსხვავდებოდა ადრე მოქმედი კოდექსისგან. შრომის კოდექსში გაჩნდა ისეთი დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფდა გარკვეული მიმართულებებით დასაქმებულთა უფლებების დაცვასა და გაფართოებას, რის შედეგად დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლებები მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს. მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში კოდექსის სრული დაცვით უნდა ასახულიყო შრომითი მოთხოვნები რაც გარკვეულწილად იყო დასაქმებულის გარანტი თავისი უფლებების დასაცავად. ზემოაღნიშნული ცვლილებები შემდგომ შეფასდა, როგორც ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე ქართული შრომის სამართლის გადასვლა.

საქართველოს და ევროკავშირს შორის სამართლებრივი თანამშრომლობის საძირკველი ჯერ კიდევ პარტნიორობისა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებამ<sup>1</sup> შექმნა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციათა ინტეგრირება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არის მხოლოდ დღევანდელი დღის წესრიგი. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების ვადების დაცვისა და მონიტორინგის საკითხებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით, რომელიც მოიცავს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მნიშვნელოვანია „საკანონმდებლო დაახლოების“ ვალდებულება, რომელიც ქვეყანაში ძირეული სამართლებრივი რეფორმის გატარების საჭიროებაზე მიუთითებს.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით განსაზღვრულია, რომ ანგარიშვალდებულების და შრომის სამართლიანი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, პაქტის ხელშემკვრელი მხარეები, ვალდებული არიან, დააფუძნონ შრომის ინსპექტირების ეფექ-

---

გულაციის შემდეგ, სამუშაო ადგილზე ყოველწლიურად დაღუპულთა რიცხვი 74 პროცენტით გაიზარდა.“

<sup>6</sup> იქვე

<sup>7</sup>რაისა ლიპარტელიანი, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიმოხილვა, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, პირველი ნომერი, 6 ივნისი, 2021, <https://bit.ly/3wtbcIE>; (შემდგომში, ლიპარტელიანი, 2021).

<sup>8</sup> ანა დიაკონიძე, „შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში – ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“, 2018, გვ. 86, <https://bit.ly/2VvSK8d>; (შემდგომში, დიაკონიძე, 2018)



ტური სისტემა<sup>9</sup>. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველომ გამოხატა მზაობა ქვეყანაში გატარებულიყო ძირეული რეფორმა შრომითი ნორმების მოწესრიგებისა და შესაბამისი ზედამხედველი ორგანოს შექმნის გზით. შესაბამისად 2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. დეპარტამენტის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების მონიტორინგისა და ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბებას. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლები თავდაპირველად მოქმედებდნენ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილების „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“<sup>10</sup> საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრა დეპარტამენტის საქმიანობის მთავარი მიზანი დახმარებოდა დამსაქმებლებს შექმნათ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. დეპარტამენტის ამოცანებში შედიოდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია; გამოვლენილ დარღვევებზე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება და კონსულტირება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტიტუციონალური რეფორმის საჭიროებების განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების მიხედვით პროგრამის სამიზნე ჯგუფი შეზღუდული იყო და მას წარმოადგენენ მხოლოდ ის დამსაქმებლები, რომლებმაც წერილობითი თანხმობა განაცხადეს ამ პროგრამაში ჩართვის შესახებ, რომელიც ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ეს ეტაპიც დადებითად არის შეფასებული.<sup>11</sup> სარეკომენდაციო მანდატის მიუხედავად, პროგრამამ დადებითი როლი შეასრულა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით და ასევე ამ პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდა საზოგადოების მომზადება შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მიმართულებით.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა 2018 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მიღებული კანონი ნაწილობრივ შესაბამისობაში მოვიდა ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრულ ჩარჩო დირექტივასთან -1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავდაპირველად „შრომის უსაფრთხოების შესახებ“<sup>12</sup> საქართველოს კანონი გავრცელდა შეზღუდული მანდატით და აღნიშ-

<sup>9</sup> UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General comment No. 23 (2016) on the right to just and favourable conditions of work (article 7 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 7 April 2016, E/C.12/GC/23, 54, <https://bit.ly/36utSwY>.

<sup>10</sup> საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილება „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

<sup>11</sup> შრომის ინსპექციის წლიურისაქმიანობის ანგარიშების ანალიზი: <https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2>

<sup>12</sup> „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 12 საქართველოს კანონი

ნული კრიტიკულად შეფასდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მიერ. კერძოდ, კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან ობიექტებზე, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №381 დადგენილებით „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“<sup>13</sup>

შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა 2019 წელს, როდესაც გაუქმდა 2018 წელს მიღებული „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. რომელიც გავრცელდა შრომის უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე.<sup>14</sup>

ორგანული კანონის მიღებით შრომის უსაფრთხოების სტანდარტები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის ქვეყნებში დადგენილ სტანდარტს. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი გახდა წინასწარი შეტყობინების გარეშე დღე-ღამის ნებისმიერ დროს განხორციელებინა ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის (როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებები) ინსპექტირება, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევა და ობიექტების შემოწმება, რომელიც უზრუნველყოფდა შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი აღსრულებასა და მის გამოყენებას. ასევე ორგანული კანონით განსაზღვრული ცვლილებები დადებითად იქნა შეფასებული ევროკომისიის მიერ.<sup>15</sup>

შრომის უსაფრთხოების ევროინტეგრაციის პოლიტიკის რეალიზების მნიშვნელოვან ბერკეტად გვესახება ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის #662 დადგენილებით „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ მიღებული შრომის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო სტრატეგია.

ქვეყანაში გატარებული ფუნდამენტალური რეფორმების მიუხედავად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემები და შრომის ბაზრის არასაკმარისი განვითარება, რაც თავის მხრივ სხვა პრობლემებთან ერთად უკავშირდებოდა სამუშაო ადგილებზე შრომითი ნორმების დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფომ მიზნად დაისახა შრომის და დასაქმების პოლიტიკისკენ მიმართული რეფორმის გაგრძელება და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ზემოაღნიშ-

<sup>13</sup>საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №381 დადგენილება „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“

<sup>14</sup>„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

<sup>15</sup>COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels, 8.11.2023: [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD\\_2023\\_697%20Georgia%20report.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf)

ნული სტრატეგია, რომლის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის შრომისა და დასაქმების სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების, საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების, დასაქმებისა და შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შრომის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამმხრივ თანამშრომლობას, რომელიც აერთიანებს მთავრობას, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს, რომლებიც განიხილავენ შრომის პოლიტიკის საკითხებს, კანონებს და წარადგენენ რეკომენდაციებს, რომლებსაც გავლენა აქვთ სოციალურ პარტნიორებზე. ჯერ კიდევ 2009 წლის 12 ნოემბერს გამოიცა პრემიერ-მინისტრის N 57 ბრძანება სამმხრივი კომისიის შექმნის შესახებ, რის საფუძველზეც 2010 წლის მარტში დამტკიცდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობა. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში განისაზღვრა საქართველოს მთავრობის, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული 2013 წელს, როდესაც საქართველოს კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ აისახა სამმხრივი კომისია და განისაზღვრა საქმიანობის პრინციპები, ფუნქციები და უფლებამოსილებები. ასევე საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 7 ოქტომბერს დაამტკიცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება, რომლითაც განისაზღვრა, რომ კომისიის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა და შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქვეყანაში შექმნილი სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის საქმიანობა წლების განმავლობაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მისი შეკრებაც მხოლოდ ვალდებულების ნაწილი იყო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, 2018 წელი როდესაც საქართველომ მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 144-ე პრიორიტეტული კონვენციის „სამმხრივი კონსულტაციების შესახებ“ რატიფიცირება, რითაც ქვეყანას განესაზღვრა დამატებითი ვალდებულებები სოციალური დიალოგის გასამართად. კონვენციით მოთხოვნილია რომ ეროვნულ დონეზე კონსულტაციები წარიმართოს მთავრობას, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებს შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების ყველა ეტაპზე.

აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებით ნათელია ქვეყნის მზაობა სოციალური დიალოგის ხელშეწყობის კუთხით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ ინტეგრაციას, მდგრად განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.<sup>16</sup>

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის VI თავი განსაზღვრავს „შრომის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიასა და სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორ-

<sup>16</sup>TRUMENT\_ID:312289 14 იხ. საქართველოს კანონმდებლობის ოფიციალური ვებგვერდი “მატნე”, 2014 წლის 27 ივნისი, ევოკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, თავი 14, მუხლი 348 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები, [https:// matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0](https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0)

ციელებელ უწყებებს“, მე-16 მუხლით კი განსაზღვრულია სოციალური პარტნიორების სამმხრივი კომისია და მისი ფუნქციები შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. სოციალური პარტნიორების სამმხრივი კომისია უფლებამოსილია განხორციელოს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება და გაანალიზოს ზედამხედველი ორგანოს მიერ განხორციელებული ინსპექტირებების ეფექტურობის ანალიზი და დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქცია-მოვალეობები.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დიალოგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური უსაფრთხოების განმტკიცებაში, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, სოციალური პარტნიორების როლი დადებითად უნდა შეფასდეს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით მნიშვნელოვან რეფორმად უნდა შეფასდეს 2020 წელი, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა რომ 2021 წლის 1 იანვრამდე სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცემა შრომის ინსპექციის სამსახურს. 2021 წლის 1 იანვრიდან ამ სახით დაიწყო ფუნქციონირება ამ ინსტიტუციამ. ზემოაღნიშნული ცვლილებების კვალდაკვალ შრომის პირობებზე საზედამხედველო სისტემა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილში დაუახლოვდა შრომის საერთაშორისი ნორმებს. აღნიშნული ვალდებულებები განსაზღვრულია შრომის ინსპექციის შესახებ 81-ე კონვენციით, რომლის რატიფიცირება დღემდე არ განხორციელებულა.

შრომითი ნორმების ეფექტიანი აღსრულების პროცესში გარდა სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობისა, ცალკე უნდა გამოიყოს შრომის ინსპექციის სამსახურის სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისთვის მთავარ შრომის ინსპექტორთან შექმნილი მრჩეველთა საბჭო საქმიანობა, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრა 7 წევრისგან და მათ შორის 2-2 წარმომადგენელი ჰყავს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებს, რაც თანაბრად აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები და რეკომენდაციები შრომითი ნორმების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხოლო ის ფაქტი, რომ კომისიის 2 წევრი არის საქართველოს პარლამენტიდან (თითო-თითო წევრი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებიდან) და 1 წევრი არის წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საბჭოს საქმიანობის მნიშვნელობაზე.

შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ (გაზრდილი მანდატის ფარგლებში), განხორციელებულმა საქმიანობამ, როგორც სამსახურის ანგარიშებშია ნაჩვენები, გატარებული რეფორმის შედეგად ქვეყანაში გარკვეულწილად გაზარდა საზოგადოების ცნობიერება შრომის უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით. ცხადია დადებითი ტენდენციის მაჩვენებლად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2023 წელს შემოწმებული ობიექტების 52% გამოასწორა გაცემული მითითებები, ინსპექტირება ტარდება ყველა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის მიმართ და შესაბამისად გაზრდილია იმ დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთაც შეეხოთ

ინსპექტირების პროცესი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილებზე მომხდარი ფატალურ უბედურ შემთხვევები, 2018 წელთან შედარებით შემცირდა 42%.<sup>17</sup>

ასოცირების შეთანხმების XXX დანართით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მიმართულებით 26 დირექტივის მიღება. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით მისაღები დირექტივები ვადებთან ერთად ასახული იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლში, დღევანდელი მდგომარეობით უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს კანონმდებლობაში სრულად ასახულია 6 დირექტივა, ხოლო 2 დირექტივა კი მხოლოდ ნაწილობრივ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია რომ საქართველომ ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყო ადებული ვალდებულების შესრულება ევროდირექტივების მიმართულებით, რომელიც 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 31%-ს.

ევროპულ კანონმდებლობასთან, შრომითი ნორმების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რეალიზების საკითხებს და იმ ვალდებულებებს, რომელიც 1993 წლის 20 მაისს წარმოიქმნა, როდესაც საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველო თანამშრომლობენ ღირსეული სამუშაო ქვეყნის პროგრამის (DWCP<sup>18</sup>) განხორციელებაზე. DWCP არის სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ILO-სა და წევრ ქვეყანას შორის მოქმედებისა და თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებს. ის ყურადღებას ამახვილებს ღირსეული სამუშაო შესაძლებლობების ხელშეწყობაზე, შრომის ბაზრის გამოწვევებზე და სოციალური დაცვისა და მშრომელთა უფლებების უზრუნველყოფაზე.

საქართველოს ასევე, გააჩნია ვალდებულება მოახდინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი კონვენციების რატიფიცირება და მისი აღსრულება. საქართველოს დღემდე რატიფიცირებული აქვს 19 კონვენცია, მათ შორის: ფუნდამენტური 10 კონვენციიდან რატიფიცირებულია 8, ხოლო 4 პრიორიტეტული კონვენციიდან რატიფიცირებულია 2 და 177 ტექნიკური კონვენციიდან 9.

ზემოხსენებული ვალდებულებების გათვალისწინებით არსებითად მნიშვნელოვანია ფუნდამენტური, პრიორიტეტული და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სხვა კონვენციების რატიფიცირება, როგორცაა: შრომის ინსპექციის შესახებ №81 პრიორიტეტული კონვენცია; „შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის და საწარმოო გარემოს შესახებ“ N155 ფუნდამენტური კონვენცია; შრომის უსაფრთხოების ჩარჩო N187 ფუნდამენტური კონვენცია და N129 პრიორიტეტული კონვენცია „შრომის ინსპექცია სოფლის მეურნეობაში“.

ამრიგად ნათელია რომ საქართველომ ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყო კონვენციების რატიფიცირების საკითხი და დღეს უკვე დღის წესრიგში აქტიურად უნდა დადგეს არარატიფიცირებული კონვენციების მიღების საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ნორმების ეფექტურ აღსრულებას.

<sup>17</sup>შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა: <https://lio.moh.gov.ge/stat.php?lang=1&id=202212271826086439640835>

<sup>18</sup><https://www.ilo.org/global/about-the-ilo/how-the-ilo-works/organigramme/program/dwcp/lang-en/index.htm>

საქართველომ ეტაპობრივად დაიწყო აღებული ვალდებულებების შესრულება. ამავდროულად გამოაცხადა მზაობა ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების, როგორცაა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მისაღები დირექტივები და თავად კონვენციების რატიფიცირების საკითხის მიმართ. დასტურია „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ 2021 – 2024 წლის სამთავრობო პროგრამა, რომელშიც აღნიშნულია რომ გაგრძელდება მუშაობა შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვის მიმართულებებით. პრიორიტეტული იქნება შრომის უსაფრთხოების კუთხით მიღებული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება და შრომის ინსპექციის მანდატის ქმედითი რეალიზაცია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფის, შრომის ინსპექციის სამსახურის მიზნების, სოციალური სარგებლისა და ფუნქციების, სამხრივი სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობის აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული კომუნიკაციის, კონსულტაციების გააქტიურების საჭიროების მიმართულებით.

### დასკვნა

საქართველოს შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის რეალიზების სამართალშემოქმედებით საქმიანობაში თანხვედრილად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ევროპული ინტეგრაციის პროცესების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის მექანიზმებზე.

ქვეყანაში გატარებულმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა, ვიზალიზირებულია ცილის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მოამზადა მყარი საფუძველი მასშტაბური ინსტიტუციური რეფორმის განსახორციელებლად განსაკუთრებით შრომის სფეროში. ივლისისხმება შრომის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან, მათ შორის ეფექტური აღსრულების მექანიზმისა და ფართო მანდატის მქონე შრომით ნორმებზე საზედამხედველო ორგანოს დანერგვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საქართველომ პროგრესული ნაბიჯები გადადგა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, თუმცა დღემდე არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები და უფრო ქმედითი უნდა გახდეს ღონისძიებები შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის სრულყოფის, აღსრულების ეფექტიანობის გაძლიერებისა და დარგის პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის :

- გაგრძელდეს მუშაობა და იმპლემენტირებულ იქნას ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართის შესაბამისად 2021-2023 წლებისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მისაღები 18 დირექტივა.
- ასოცირების შეთანხმებით აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შიდა ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის თანხვედრილად წარიმართოს თავად კონვენციების რატიფიცირების საკითხიც. რატიფიცირებულ იქნას შემდეგი პრიორიტეტული და ფუნდამენტური კონვენციები 81-ე („შრომის ინსპექციის შესახებ ვაჭრობასა და მრეწველობაში“), 155-ე („შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის და საწარმოო გარემოს შესახებ“) და 187-ე „შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ხელშეწყობის ჩარჩო-სისტემის შესახებ“).

შრომის ინსპექციის გაფართოებული მანდატის გათვალისწინებით, ასევე ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად გავრცობილი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის ინსტიტუციურად გაძლიერდეს შრომის ზედამხედველობის უწყება.

• განხორციელდეს საერთო მიზნობრივი პოლიტიკა ცნობიერების ამაღლების სფეროში. უბედურ შემთხვევათა კლების მზარდი დინამიკის კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის, მნიშვნელოვანია გეგმაზომიერად წარიმართოს სამუშაო ძალის მაქსიმალური ინფორმირება შრომის ფუნდამენტურ უფლებებზე; გაფართოვდეს ცნობიერების ამაღლების კონსოლიდირებული კამპანია საგანმანათლებლო/საინფორმაციო აქტივობების ორგანიზებით. მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური ჩართულობა, ასევე დამსაქმებლების და დასაქმებულების ცნობიერების ამაღლება მათ შრომით უფლებებსა და ვალდებულებებზე, რასაც დარღვევების პრევენციისა და მინიმისაციის ფორმით ექნება პირდაპირი გავლენა როგორც დამსაქმებლებზე, ისე დასაქმებულებზე და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საჯარო სიკეთის გაზრდას.

• უზრუნველყოფილი იქნეს სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობა და სოციალური დიალოგის კრიტიკული შესაძლებლობები შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების ეფექტური რეალიზაციისათვის, აღნიშნული შრომის პოლიტიკისა და ეფექტური ეროვნული დასაქმების პოლიტიკის წარმართვის საკვანძო და გადამწყვეტი ფაქტორია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 1 საქართველოს კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=2>
2. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=2>
3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №381 დადგენილება „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4277583/0/ge/pdf>
4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილება „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2719707?publication=0>
5. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის # 828 დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/38704?publication=0>
6. საქართველოს პარლამენტის 2004 წელს 12 მარტის #580 დადგენილებით „საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/42694?publication=0>
7. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 16 დეკემბერი, 1966, მუხლი 7, <https://bit.ly/3hsg2le>
8. 1996 წელს 22 აპრილის შეთანხმება “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0>
9. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels,

- 8.11.2023: [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD\\_2023\\_697%20Georgia%20report.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf)
10. <https://socialjustice.org.ge/ka/products/shromis-usaftrkchoebis-shesakheb-sakartvelos-kanonis-proektis-shefaseba>
11. შრომის ინსპექციის წლიურისაქმიანობის ანგარიშების ანალიზი: <https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2>
12. შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის აქმიანობის ანგარიში, სამუშაოს ივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა: <https://lio.moh.gov.ge/stat.php?lang=1&id=202212271826086439640835>
13. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში“, 2017, [https:// bit.ly/3yJCUCH](https://bit.ly/3yJCUCH); (შემდგომში, EMC, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება, 2017); საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, „რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს შრომის ინსპექციის არარსებობამ?“ 28 აპრილი, 2014, <https://bit.ly/3qW872R>
14. Human Rights Watch, “ არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე – საქართველოში წლების განმავლობაში შრომის ბაზრის დერეგულირება საფრთხეს უქმნის მადაროელებს“, 8 იანვარი, 2019, <https://bit.ly/3xp2Env>. „ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, დერეგულაციის შემდეგ, სამუშაო ადგილზე ყოველწლიურად დაღუპულთა რიცხვი 74 პროცენტით გაიზარდა.“
15. რაისა ლიპარტელიანი, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიმოხილვა, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, პირველი ნომერი, 6 ივნისი, 2021, <https://bit.ly/3wtbcIE>; (შემდგომში, ლიპარტელიანი, 2021).
16. ანა დიაკონიძე, „შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში – ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“, 2018, გვ. 86, <https://bit.ly/2VkSK8d>; (შემდგომში, დიაკონიძე, 2018)
17. UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General comment No. 23 (2016) on the right to just and favourable conditions of work (article 7 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 7 April 2016, E/C.12/GC/23, 54, <https://bit.ly/36utSwY>.
18. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels, 8.11.2023: [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD\\_2023\\_697%20Georgia%20report.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf)
19. TRUMENT\_ID:312289 14 იხ. საქართველოს კანონმდებლობის ოფიციალური ვებგვერდი “მაცნე”, 2014 წლის 27 ივნისი, ევოკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, თავი 14, მუხლი 348 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=>



*Nunu Ovsyannikova*

*Associate Professor*

*Georgian Technical University;*

*Maia Mikaia*

*Technical University of Georgia*

*Doctoral student of the Faculty of Business Technology*

## **GEORGIA'S OCCUPATIONAL SAFETY POLICY AND EUROPEAN INTEGRATION** **Expanded Summary**

The orientation of the labour relations regulation policy in Georgia is related to the goal of ensuring democratic reformation on the way to European integration and is proceeded in several main directions such as the establishment of conceptual, legislative and institutional mechanisms of labor policy, consistent monitoring of not only the fulfillment but also the process of fulfillment of the obligations defined by the association agreement, the labor directives of the European Union, the provisions of the social charter and the conventions of the International Labor Organization, which in turn is seen as a guarantee of the effectiveness of the European integration process.

It should be noted that the legal base of the European integration process of Georgia includes the entire legislative array. A turning point in the processes of establishing legislative mechanisms for Occupational Safety regulation is the "Association Agreement between Georgia on the one hand and the European Union and the European Atomic Energy Union and their member states on the other." The association agreement at this stage actually represents a landmark of the consistent process of European integration in the field of Occupational Safety of Georgia.

According to the agreement of April 22, 1996 on "Partnership and Cooperation", Georgia expressed its will to establish a partnership with the European Union and its member states and later "On Harmonization of Georgian Legislation with European Union Legislation" by the Resolution # 828, the Parliament of Georgia on September 2, 1997, unequivocally determined that "All laws and other normative acts adopted by the Parliament of Georgia must comply with the standards and norms established by the European Union". The goals of supporting the course of further intensification of the integration process of Georgia in the European Union and the continuation and deepening of the ongoing reforms in the country also was determined by the Resolution #580 of the Parliament of Georgia on November 11, 2004, "On measures to promote the European integration process of Georgia", and thus, the vector of Georgia's domestic and foreign policy was directed towards European integration as a priority.

Obviously, in the way of realizing the mentioned requirements, important changes were made in the labor legislation of Georgia, which are presented in the paper as the important stages of the reform of the labor legislation in Georgia. Conventionally, the first stage of the reform was implemented in 2006, and its main goal was the economic development of the country by the liberal approaches to the labor market, which would facilitate the creation of new jobs. However, as a result of the reform the adopted labor code was only a carrier of the employer's interests and contained separate norms that contradicted both the requirements of the EU directives and other international obligations. In the same year, the labor inspection abolished, and therefore there was no supervisory body in the country that would inspect labor norms at workplaces.

The second phase of the labor legislation reform was implemented in 2013, when the new Labor Code was adopted and the fundamental changes implemented led to the approximation of the rights of employees to the EU standards.

It should be noted that only since 2014, after the formation of the obligations defined by the association agreement, it became possible to conduct an effective process of approximation to European standards in the field of protection of employees' rights. The first important step in this direction was taken in 2015, when the Department of Inspection of the Labor Conditions (LCID) was established in the Ministry of Labor, Health and Social Affairs of IDPs from the occupied territories of Georgia whose mandate was gradually increased. Initially, its competence covered only those facilities that previously applied for approval for the inspection, and the instructions were also of a recommendatory nature. In 2019, when the Organic Law of Georgia "On Occupational Safety" was adopted, LCID's mandate was increased and covered all economic activities in the field of Occupational safety, and compliance with the issued instructions became mandatory. The fact that the perfect striving for the institutional development of inspection of labor conditions is also indicated by the fact that in 2020 the Law of Georgia "On Labor Inspection" was adopted, which created a legal entity under public law, the Labor Inspection Office.

The paper also focuses on the processes and institutional mechanisms of the national tripartite social dialogue in the development and implementation of the labor policy, and the activities of the advisory board created with the Chief Labor Inspector.

It should be noted that in the implementation of Georgia's labor policy, a special emphasis is placed on the mechanisms of institutional assurance of the European integration processes. In the background of the fundamental reforms carried out in the country, an important challenge was the structural problems of the economy and the insufficient development of the labor market, which in turn was connected with other challenges for the enforcement of Occupational Safety norms at workplaces. Based on above, on the way of fulfillment the mechanisms for ensuring Occupational Safety, a special challenge is facing to the process of implementing Occupational safety and health directives defined by the Association Agreement and to the process of ratification the conventions of the International Labor Organization.

Thus, despite the reforms that brought the country's Occupational safety system significantly closer to international standards, there are still some challenges in this direction due to the provisions of the Association Agreement, other EU directives and the Social Charter.

Presence of the mentioned issues determines the relevance of the paper. Based on the analysis and appropriate conclusions, reasoned recommendations are proposed for the solution of the existing problems and for the effective management of the European integration process in the field of Occupational Safety.

ნიკოლოზ ოსტაპენკო  
ეკონომიკის დოქტორი

### შემოსავლების უთანაბრობა და შინამეურნეობების მოხმარება<sup>19</sup>

**ანოტაცია.** ნაშრომი ხაზს უსვამს ხშირად უგულველყოფილ, შინამეურნეობების სტრუქტურულ ანალიზს სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკის ეფექტურობაში. იგი შეეხება შინამეურნეობების ურთიერთქმედების კომპლექსურობას და მათ გავლენას პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებზე, განსაკუთრებით შემოსავლების გადანაწილების კონტექსტში. შემოსავლის დონეზე მოხმარების ელასტიურობის განსხვავებების შესწავლით, ის ნათელს ჰფენს შინამეურნეობების ქცევის დინამიკას და მათ გავლენას მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. გარდა ამისა, იგი იკვლევს საპროცენტო განაკვეთების და შემოსავლის ცვლილების ცვალებად ეფექტს შინამეურნეობების ქცევაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკის ფორმულირებაში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების კუთხით.

**საკვანძო სიტყვები:** პერმანენტული შემოსავალი, მოხმარებისადმი ელასტიურობა, მოხმარების დროთაშორისი ურთიერთშენაცვლება, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, მოხმარების ფუნქცია.

#### შესავალი

თანამედროვე პირობებში, ეკონომიკის სტრუქტურული ანალიზის გარეშე, სახელმწიფოს მიერ ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენება ეკონომიკის სტიმულირებისათვის, კვლავაც აქტუალურია. სახელმწიფოს პოლიტიკა ხშირად განზოგადებულ მოსაზრებებს ეყრდნობა, რომელიც საშუალო ეკონომიკური აგენტის ქცევაზე ზემოქმედებაზე არის დაფუძნებული. სტიმულირების ან/და შეკავების პოლიტიკა, დაფუძნებულია მულტიპლიკატორული გადაცემის მექანიზმით ეკონომიკის სხვადასხვა ელემენტებზე გავლენის მოხდენის გზით, საერთო ეკონომიკური აქტივობის განახლებაზე. საშუალო აგენტის ქცევა არ ითვალისწინებს, სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობების ურთიერთქმედების შედეგს. აღნიშნული ურთიერთქმედების შედეგები შესაძლოა განაპირობებდეს განსხვავებულ პროცესებს, ხოლო ეს პროცესები განსხვავებულ გადაცემის მექანიზმებს. შედეგად, ვაკვირდებით, რომ გატარებული პოლიტიკა არაერთგვაროვან გავლენას ახდენს, როგორც ეკონომიკის კონიუნქტურაზე, ისე ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორც არის შემოსავლების უთანაბრობა, უმუშევრობა და სხვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია რეცესიის შემდგომი აღდგენა, რომელიც, როგორც წესი უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე საკუთრივ რეცესიის პერიოდი. ეს მოვლენები ერთმანეთთან დაკავშირებულია. ერთი მხრივ, შემოსავლების უთანაბრობის გაღრმავება, სამუშაო ძალის მობილობის შემცირება, სამომხმარებლო ქცევების ცვლილება ხდება რეცესიის შემდგომი აღდგენის შემაფერხებელი გარემოება. მეორე მხრივ, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის არაპროგნოზირებადი შედეგები ხდება შემოსავლების უთანაბრობის, სამუშაო ძალის მობილობის და სამომხმარებლო ქცევების ცვლილების მიზეზი.

<sup>19</sup> კვლევა N PHDF-22-3443 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

სხვადასხვა შინამეურნეობები ერთი და იგივე სტიმულებზე განსხვავებულად რეაგირებენ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ჰეტეროგენური მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებები. სახელმწიფო პოლიტიკა არღვევს ფასთა საინფორმაციო ფუნქციას და იქმნება ახალი სტიმულები. შედეგად ირღვევა შინამეურნეობებს შორის, შინამეურნეობებსა და საწარმოებს შორის არსებულ ურთიერთქმედების მექანიზმები. ეს, კი ქმნის ბაზარზე გარკვეულ განუსაზღვრელობას და აჩენს რესურსების გადანაწილების საშუალებას. ამრიგად, იქმნება შემოსავლების გადანაწილების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის წახალისებას თუ შეკავებას.

ის გარემოება, რომ შინამეურნეობების ურთიერთქმედებები ქმნიან დამატებით ელემენტს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მულტიპლიკატორის მექანიზმის არსებობის კლასიკურ<sup>20</sup> წარმოდგენას. ამიტომ მთავარი კითხვა, მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს თუ არა სამომხმარებლო ქცევის „ფსიქოლოგიური კანონი“, რომელიც აღწერდა ქცევის საერთო, ფუნდამენტურ პრინციპს? შეიძლება თუ არა ეს „კანონი“ იყოს საერთო შემოსავლების სხვადასხვა დონის შინამეურნეობისათვის? რა ინდიკატორებით შეიძლება დახასიათდეს ქცევის აღნიშნული პრინციპი? რამდენად სტაბილურია ეს „კანონი“ და როგორ შეიძლება მისი გამოყენება? თუ ესეთი „კანონი“ არ არსებობს მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება პრობლემატური იქნება, ვინაიდან პოლიტიკის შედეგები იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან განუსაზღვრელობასთან.

#### ლიტერატურის მიმოხილვა

“ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ იდეა სათავეს კეინსის (Keynes, 1936) ნაშრომიდან იღებს, რომლის მიხედვითაც არსებობს მიმდინარე განკარგვადი შემოსავლიდან მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (*MPC*). მიუხედავად იმისა, რომ კეინსის იდეის კრიტიკა და თეორიის შემდგომი განვითარება დაფუძნებულია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების არასტაბილურობაზე, კეინსი უშვებს, რომ *MPC* შეიძლება, სხვადასხვა მიზეზით, შეიცვალოს. კერძოდ, კი გრძელვადიანი წონასწორობის პირობების და ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში. ამასთან, იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შემოსავლების სხვადასხვა დონის მქონე შინამეურნეობებისათვის *MPC* განსხვავებული მნიშვნელობის შეიძლება იყოს. ამრიგად, იდეა, განსხვავებული *MPC*-ს არსებობის შესახებ, ახალი არ არის.

შინამეურნეობების მოხმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ფუნდამენტურ თეორიებს წარმოადგენენ ფარდობითი შემოსავლების (Duesenberry, 1949), პერმანენტული შემოსავლის (Friedman, 1957), სასიცოცხლო ციკლის (Modigliani, 1966), შემთხვევითი ხეტიალის (Hall, 1978), ჭარბი მგრძნობელობის (Flavin, 1981), ჭარბი სიგლუვის (Deaton, 1992) ჰიპოთეზები და სხვა თეორიები. კვლევები აჩვენებენ, რომ გადაწყვეტილების ინდიკატორი, გარდა მიმდინარე შემოსავლებისა არის მოსალოდნელი შემოსავლები, არსებული ქონების ღირებულება, შინამეურნეობების ჩამოყალიბებული ქცევები და პერმანენტულ ან/და ტრანზიტულ შოკების მიმართ მგრძნობელობა.

<sup>20</sup> აქ კლასიკური წარმოდგენის ქვეშ იგულისხმება კეინსიანურ ტრადიციაში არსებულ წარმოდგენა.

პერმანენტული და მიმდინარე შემოსავლის და მოხმარების მოდელირების თვალსაზრისით საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზა ევანსმა (Evans, 1967). მან კოიკის გარდაქმნის გამოყენებით, შეცვალა მოხმარების ფუნქციის დიზაინი, შედეგად მივიღეთ ავტორეგრესიული მოხმარების ფუნქცია ლაგის განაწილებით. ფუნქცია საშუალებას იძლევა შეფასდეს, ერთდროულად, დამოკიდებულება მიმდინარე და პერმანენტულ შემოსავალსა და შინამეურნეობების მოხმარებას შორის.

მოხმარებისადმი ჰეტეროგენული MPC საკითხი და მათი როლი შოკზე ერთობლივი მოხმარების რეაქციის თვალსაზრისით განხილულია კრუსელის და სმიტის (Krusell..., 1998), კრუგერის, მიტმანის და პერის (Krueger..., 2016) და ამრომინის, ნარდის და შულცის (Amromin..., 2018) სტატიებში. ნაშრომები განიხილავენ სიმდიდრის უთანასწორობის გავლენას მოხმარების ფუნქციაზე და დაბალი სიმდიდრის მქონე შინამეურნეობებში სესხის აღების შეზღუდულობა, როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკის კონიუნქტურაზე. მკვლევარები ასკვნია, რომ შემოსავლების მაღალი უთანაბრობა ასოცირდება საზოგადოებაში დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების მაღალ წილთან. ხოლო ეს უკანასკნელი კი ასოცირდება მოხმარებისადმი მაღალ მიდრეკილებასთან და მასასადამე, ეკონომიკის კონიუნქტურის მიმართ მაღალ მგრძობელობასთან.

ფუნდამენტური კანონის სახით შეგვიძლია გამოვყოთ რამსეი-კეინსის წესი (Ramsey, 1928), რომელიც აჩვენებს კავშირს მიმდინარე და მომავალ მოხმარებას შორის, საპროცენტო განაკვეთის და შინამეურნეობებისათვის მოხმარების დროთაშორისი უპირატესობის თანაფარდობის გათვალისწინებით. აღნიშნულ წესს ჩვენ მოხმარების დროთაშორისი ურთიერთშენაცვლების ელასტიკურობის კოეფიციენტის (EIS) კონცეფციამდე მივყავართ. კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ შინამეურნეობები მნიშვნელოვნად არ რეაგირებენ საპროცენტო განაკვეთის ან სხვა ფაქტორების ცვლილებაზე და არ ახდენენ მოხმარების მაჩვენებლის მნიშვნელოვან კორექტირებას მომავალი მოხმარების მაჩვენებლების კორექტირების მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაბალი EIS-ის მქონე შინამეურნეობები, როგორც წესი, შედარებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მიმდინარე მოხმარებას მომავალ მოხმარებასთან შედარებით და ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაზოგავენ ან აიღებენ სესხს მომავალში მოხმარების მაჩვენებლის ზრდის მოტივით. სესხის აღების საკითხი აგრეთვე დაკავშირებულია სესხზე ხელმისაწვდომობის საკითხთან. ამ მაჩვენებლის ერთერთი ყველაზე ადრეული კვლევა ჰოლს (Hall, 1988) ეკუთვნის, რომელმაც გამოიკვლია აშშ მონაცემები 1924-1983 წლებისათვის და მიიღო, რომ EIS-ის მაჩვენებლები ნულთან ახლოს იყო. უფრო გვიანი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ EIS-ის მაჩვენებლები მნიშვნელოვანია. მაგალითად ჯაპელი და პისტაფერი (Jappelli..., 2017) 1970-2012 წლის მონაცემების მიხედვით ადგენენ, რომ  $EIS=0.31$ . ათანასიომ და ვებერმა (Attanasio..., 1995) შინამეურნეობების გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ აშშ-სათვის EIS მაჩვენებელი 0.2-0.4 დიაპაზონშია განსაზღვრული. უფრო გვიანი, გოურინჩას და პარკერის (Gourinchas..., 2002) კვლევა აჩვენებს, რომ EIS მაჩვენებელი 0.7-2 დიაპაზონშია განსაზღვრული.

ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს, აღნიშნული კონცეფციების სინთეზის გზით და აგრეთვე, საქართველოს და შერჩეული ქვეყნების მონაცემთა ანალიზის გზით პასუხის გასცეს შინამეურნეობების მიერ გადაწყვეტილებების ფორმირების საკითხებს? აღნიშნულ კონტექსტში რა ფაქტორები განაპირობებენ შემოსავლების უთანაბ-


რობას? და ამ პროცესებში რა როლი შეიძლება ითამაშოს მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ?

**თეორიული მოდელი**

მოხმარების თეორიის კლასიკური მოდელი, ხშირად სიმარტივისათვის განიხილავს მოხმარების ორ პერიოდიან მოდელს. ორ პერიოდიანი მოდელის ერთ ერთი ძირითადი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარე მოხმარება განისაზღვრება არა მარტო მიმდინარე შემოსავლებით, არამედ მომავალი შემოსავლებით. ამავდროულად, ორპერიოდიანი მოდელი საშუალებას გვაძლევს თვალსაჩინოდ განვმარტოთ რამსეი კეინსის წესიც. თუმცა, ჩვენ შევეცდებით ორპერიოდიანი მოდელის ფარგლებში გავაერთიანოთ ეს საკითხი და ავხსნათ შემოსავლების სხვადასხვა დონის გავლენა მოხმარებაზე და მოქმედების მექანიზმი.

განვიხილოთ, მოხმარების ორპერიოდიანი მოდელი. ნახაზ 1-ზე მოცემულია  $A_0B_0$  და  $A_4B_4$  საბიუჯეტო შეზღუდვები. აგრეთვე მოცემულია  $U_0, U_1, U_2, U_3, U_4$  და  $U_5$  სარგებლიანობის ფუნქციები. საბიუჯეტო შეზღუდვების შესაბამისი დონე გამოხატავს შინამეურნეობების შემოსავლების დონეს. ნახაზზე, რაც უფრო დაშორებულია საბიუჯეტო შეზღუდვის მრუდი აბსცისა და ორდინატა ღერძების გადაკვეთიდან, მით მაღალია შემოსავლების დონე. აგრეთვე, რაც უფრო დაშორებულია სარგებლიანობის ფუნქცია აღნიშნული გადაკვეთის წერტილიდან მით მაღალია შინამეურნეობების სარგებლიანობის დონე. ამასთან, რაც უფრო მცირდება გამოზნევილი ხდება სარგებლიანობის მრუდი, მით უფრო ხისტი ხდება მოხმარების დროთაშორისი შენაცვლება.

ნახაზ 1-ზე,  $U_0$  საპროცენტო განაკვეთის გავლენა სამომხმარებლო არჩევანზე არის ნული;  $U_4$  მდგომარეობაში არსებობს გარკვეული შეზღუდული ალტერნატივები.  $U_1$  და  $U_5$  მოხმარების დროთაშორისი შენაცვლების უფრო მაღალ ელასტიკურობას გამოხატავენ.  $U_2$  და  $U_3$  მოხმარების დროთაშორისი შენაცვლების უფრო დაბალ ელასტიკურობას გამოხატავენ.  $U_0$  და საბიუჯეტო შეზღუდვის გადაკვეთის წერტის შეიძლება მდგრადი მდგომარეობა ვუწოდოთ.  $U_4$  და საბიუჯეტო შეზღუდვის გადაკვეთის წერტის შეიძლება პირობითად მდგრადი მდგომარეობა ვუწოდოთ, რადგან არსებობს ნაკლებად სავარაუდო არჩევანის შესაძლებლობები.



ნახაზი 1 მოხმარების ორპერიოდიანი მოდელი

იმის გამო, რომ შინამეურნეობების მოხმარების საგნები ერთი მხრივ არადა-  
ნაწევრებადია, ხოლო, მერე მხრივ, არსებობს სესხების ხელმისაწვდომობაში განსხ-  
ვავებები, შინამეურნეობებისათვის მოხმარების დროთაშორისი უპირატესობი და  
EIS შესაძლოა ნულის ტოლი იყოს. ასეთ მდგომარეობაში, თუ ჩვენ განვიხილავთ პი-  
რობითად დაბალ შემოსავლიან შინამეურნეობებს, შინამეურნეობების მხრიდან  
პირველ პერიოდში მოხმარების შემცირება ან ზრდა, მეორე პერიოდში მოხმარების  
ზრდის ან შემცირების სანაცვლოდ, მის მდგომარეობას აუარესებს. ამასთან, უნდა  
გვესმოდეს, რომ არსებობს დანაზოგების ნორმის მდგრადი მაჩვენებელი, რაც შემო-  
სავლების გარკვეული დონის პირობებში სარგებლის მაქსიმიზაციას უზრუნველ-  
ყოფს. დაბალ შემოსავლიანი შინამეურნეობების ჯგუფში, ამგვარი მაჩვენებელი ძა-  
ლიან დაბალია და შესაძლოა ნულის ტოლიც იყოს. შემოსავლების უფრო მაღალ  
დონეზე აგრეთვე ხდება მსგავსი მდგრადი მდგომარეობის მიღწევა. ამის მიზეზი,  
ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა შეიძლება იყოს ის, რომ შემოსავლის დო-  
ნის ზრდასთან ერთად ჯერ EIS იზრდება, ბაზარზე საქონლის და მომსახურების  
არსებული ნაკრების, შემოსავლების და ფასების დონის გათვალისწინებით, ხოლო,  
შემდგომ მცირდება. როცა, აღნიშნულ მოდელს განვიხილავთ ჩვენ ვგულისხ-  
მობთ, რომ ტექნოლოგიის და მოსახლეობის რიცხოვნობის ფაქტორი უცვლელია.  
აღნიშნული ფაქტორების ცვლილება იწვევს ბაზარზე ახალი საქონლის გამოჩენას  
ან/და ფარდობითი ფასების ვექტორის ცვლილებას. შესაბამისად, იცვლება სარგებ-  
ლიანობის მრუდი. ჩვენ, აგრეთვე ვხედავთ, რომ EIS დაბალი მნიშვნელობა საპრო-  
ცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ ნაკლებად მგრძობიარეს ხდის სამომხმ-  
არებლო გადაწყვეტილებებს. აგრეთვე, მოსალოდნელია, რომ მდგრად მდგომარეო-  
ბაში შემოსავლების უფრო მაღალი დონისათვის EIS უფრო მაღალი იქნება, ვიდრე  
შემოსავლების უფრო დაბალი დონისათვის. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ შემო-  
სავლების უფრო მაღალი დონისათვის დანაზოგების უფრო მაღალი დონის არსე-  
ბობა, დროთაშორისი არჩევანის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ამრიგად, შესაძლოა  
არსებობდეს საპროცენტო განაკვეთის იმგვარი მნიშვნელობები, რომლებიც ამგვარ  
მდგომარეობაში გავლენას მოახდენს სამომხმარებლო გადაწყვეტილებებზე.

ამრიგად, ჩანს რომ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებები ჰეტერო-  
გენურია და გადაცემის მექანიზმები დიდწილად შინამეურნეობების სტრუქტურ-  
აზე იქნება დამოკიდებული. თუ შინამეურნეობების ურთიერთქმედების პროცესი  
იმგვარად მიმდინარეობს, რომ სწრაფად მიიღწევა შინამეურნეობების ჯგუფთა  
მდგრადი მდგომარეობები, მაშინ საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ  
მთლიანი ეკონომიკის მგრძობიარეობაც დაბალი იქნება.

აღნიშნული მოდელიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარე-  
ობს:

1. რაც მაღალია შემოსავლების უთანაბრობა ერთობლივი მოთხოვნის შოკის  
მიმართ მოხმარების მგრძობიარეობა უფრო მაღალი იქნება, რადგან მაღალი  
იქნება, ეკონომიკაში, ისეთი შინამეურნეობების წილი, რომელთა EIS დაბა-  
ლია.
2. ერთობლივი მოთხოვნის შოკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება, ში-  
ნამეურნეობების, რომელი ჯგუფი იქნება შოკის იმპულსის პირველი გამტა-  
რი. დაბალ შემოსავლიან ჯგუფის შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნის  
შოკი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მაღალ შემოსავლიანი ჯგუფის შემთხვე-  
ვაში.

3. შემოსავლების დაბალი უთანასწორობა მეტად პროგნოზირებადს ხდის ერთობლივი მოთხოვნის შოკის შედეგებს. ამასთან, მათი სიღრმეც უფრო დაბალია. ამის მიზეზი ის არის, რომ სამომხმარებლო ქცევები უფრო მეტად ერთგვაროვანია, მეტად რეაგირებს დროთაშორისი ურთიერთ ჩანაცვლების ფაქტორზე და შესაბამისად, მეტად არის დამოკიდებული პერმანენტულ შემოსავლებზე.
4. მოდელი ხსნის უმუშევრობის გამომწვევ გარკვეულ ასპექტებს. კერძოდ, მდგრად მდგომარეობაში თუ ხელფასის ზრდა არ განაპირობებს მოხმარების საერთო დონის ზრდას, დასაქმება შინამეურნეობებისათვის სარგებლიანობის შემცირებასთან იქნება ასოცირებულია და მაშინ, შინამეურნეობები არ დათანხმდებიან დასაქმებას. ამას, შრომის ბაზარზე, შრომის მიწოდების ელასტიკურობის შემცირებამდე მივყავართ. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულის პროცესის მაპროვოცირებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა უმუშევრობის შემწეობებიც და მასტიმულირებელი მონეტარული პოლიტიკაც<sup>21</sup>.
5. საპროცენტო განაკვეთის მიმართ განსხვავებული სენსიტიურობა, მაღალ შემოსავლიან შინამეურნეობებს უფრო სენსიტიურ ხდის მონეტარული პოლიტიკის მიმართ. რადგან შემოსავლების სხვადასხვა დონის პრიობებში მყოფ შინამეურნეობებს განსხვავებული წვდომა აქვთ საკრედიტო რესურსებზე. საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად შემოსავლები მაღალ-შემოსავლიანი შინამეურნეობებს სასარგებლოდ ნაწილდება. ხოლო, საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად, ეკონომიკური აქტივობის შემცირების გამო, ერთობლივი მოთხოვნის შოკების მიმართ დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობების მაღალი მგრძობელობის გამო, კვლავ შემოსავლების მაღალშემოსავლიანი შინამეურნეობებს სასარგებლოდ განაწილებას განაპირობებს.

### მეთოდოლოგია

აღნიშნული საკითხის გამოსაკვლევადა, ჩვენ შევისწავლეთ შერჩეული ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ნიდერლანდები, ავსტრია და შვეიცარია) მაგალითზე და საქართველოს შემოსავლების სხვადასხვა დონისათვის მიმდინარე, პერმანენტული და ქონებიდან შემოსავლიდან მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებები, მიმდინარე შემოსავლების წონა პერმანენტულ შემოსავლებში, დანაზოგების საშუალო მიდრეკილებები და ვარიაციები და მოხმარების დროთაშორისი ურთიერთმეჩანაცვლების ელასტიკურობის კოეფიციენტი. ამ მიზნით ჩვენ გავანალიზეთ ერთი მხრივ, 2009-2020 წლების საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მონაცემები და მეორე მხრივ, შერჩეული ქვეყნების ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აგრეგირებული მონაცემები.

იქიდან გამომდინარე, რომ მონაცემები წარმოადგენდა დამოუკიდებლად გაერთიანებულ ჯვარედინ მონაცემებს, განხორციელდა მათი პანელურ მონაცემებად გარდაქმნა. მონაცემები წარმოადგენს კვარტალურს, ამიტომ განხორციელდა

<sup>21</sup> მაგალითად საპროცენტო განაკვეთის შემცირება საშუალებას მისცემს მაღალშემოსავლიან ჯგუფებს აიღონ სესხი და ახალი პროექტები დააფინანსო. ეს გარემოება გამოიწვევს შრომის ბაზარზე მოთხოვნის ზრდას და ხელფასების ზრდას.



სეზონურ კომპონენტზე კორექტირება<sup>22</sup>. მონაცემები დაჯგუფდა საქმიანობიდან შემოსავლების დონეების მიხედვით 4 ჯგუფად. საქმიანობიდან შემოსავლის არ მქონე, დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობებად.

პირველი მოდელი წარმოადგენს ევანსის მოდელის მოდერნიზებულ ვარიანტს. ჩვენს მიერ განხილულ იქნა არა წრფივი მოხმარების ფუნქცია, მუდმივი ელასტიკურობის კოეფიციენტებით. მოდელში შინამეურნეობების შემოსავალი გაყოფილია ორ ჯგუფად: საქმიანობიდან და ტრანსფერტებიდან შემოსავლები ( $Y_{i,t}^{inc}$ ) და ქონებიდან შემოსავლები ( $Y_{i,t}^{as}$ ). მოდელში განხორციელებულია დაშვება, რომ ცვლადები ტრენდის მიმართ სტაციონალური, რის გამოც მოდელში ჩართულია სტრუქტურული ძვრის ( $Str_{br}$ ) და ტრენდის ფაქტორები ( $TD$ ).  $\lambda$  წარმოადგენს პერმანენტულ შემოსავალში მიმდინარე შემოსავლის წონის მახასიათებელ პარამეტრს.  $C_{i,t}$  - შინამეურნეობების მოხმარების მაჩვენებელი.  $i$  - შემოსავლის ჯგუფი. შედეგად განტოლებას შემდეგი სახე იქნება:

$$\log(C_{i,t}) = \lambda k_1^{inc} \log(Y_{i,t}^{inc}) + \lambda k_2^{as} \log(Y_{i,t}^{as}) + (1 - \lambda) \log(C_{i,t-1}) + \alpha_1 Str_{br} + \alpha_2 TD$$

აღნიშნული მოდელი გამოყენებულ იქნა საქართველო შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემების მიმართ.

მეორე მოდელი წარმოადგენს ევანსის მოდელის მოდერნიზებულ ვარიანტს მუდმივი ელასტიკურობის კოეფიციენტებისათვის:

$$\log(C_{j,t}) = \lambda k \log(Y_{j,t}) + (1 - \lambda) \log(C_{j,t-1})$$

სადაც,  $j$  - ქვეყნის ინდექსია.

მესამე მოდელი წარმოადგენს ჯაპელის და პისტაფერის მიერ შემოთავაზებულ ფუნქციას, რომელიც შეფასებულია, როგორც საქართველოსათვის შინამეურნეობების სხვადასხვა დონის შემოსავლების მქონე ჯგუფებისათვის ისე შერჩეული ქვეყნებისათვის. მოდელ შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{C_{i,t+1} - C_{i,t}}{C_{i,t}} = \gamma\delta + \delta r_{t+1} + \varepsilon_{t+1}$$

$$\frac{C_{j,t+1} - C_{j,t}}{C_{j,t}} = \gamma\delta + \delta r_{j,t+1} + \varepsilon_{j,t+1}$$

მოდელებიდან მიღებული შედეგების მიხედვით განხორციელებულია შედარებითი ანალიზი, მათ შორის შეფასებულია საპროცენტო განაკვეთების და მოხმარების დროთაშორისი უპირატესობების შედარება რამსეი-კეინსის წესის გამოყენებით.

### **მოდელის სპეციფიკაცია და ინტერპრეტაცია**

პირველი მოდელი - საქართველოს მაგალითზე შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების გამოკვლევის მონაცემების მიხედვით<sup>23</sup>. საანალიზო პერიოდი: 2009Q2-2020Q4<sup>24</sup>.

<sup>22</sup> X12 მეთოდის გამოყენებით. X12 მეთოდი წარმოადგენს სეზონურობის ფაქტორზე კორექტირების სისტემას. აღნიშნული სისტემა შექმნილია აშშ მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ.

<sup>23</sup> საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემები

<sup>24</sup> ჰუბერ-უაიტ-ჰინკლი (HC1) ჰეტეროსკედასტიურობის შესაბამისი სტანდარტული შეცდომები და კოვარიაციები. განტოლების ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია კოეფიციენტების  $t$  სტატისტიკები

მოდელი საქმიანობიდან შემოსავლების არ მქონე ჯგუფისათვის (მოდელი 1):

$$\log(C_{i,t}) = \underset{(18.51)}{0.67} \log(Y_{i,t}^{inc}) + \underset{(5.84)}{0.29} \log(Y_{i,t}^{as}) + \underset{(2.27)}{0.09} \log(C_{i,t-1}) - \underset{(2.84)}{0.07} Str_{br} - \underset{(2.88)}{0.003} TD$$

$$R^2 = 0.98, DW = 1.7, S.E. = 0.043$$

მოდელი დაბალ შემოსავლიანი ჯგუფისათვის (მოდელი 2):

$$\log(C_{i,t}) = \underset{(9.27)}{0.55} \log(Y_{i,t}^{inc}) + \underset{(5.22)}{0.26} \log(Y_{i,t}^{as}) + \underset{(5.09)}{0.23} \log(C_{i,t-1}) - \underset{(2.17)}{0.67} Str_{br} - \underset{(1.34)}{0.001} TD$$

$$R^2 = 0.99, DW = 1.7, S.E. = 0.032$$

მოდელი საშუალო შემოსავლიანი ჯგუფისათვის (მოდელი 3):

$$\log(C_{i,t}) = \underset{(40.79)}{0.83} \log(Y_{i,t}^{inc}) + \underset{(4.67)}{0.13} \log(Y_{i,t}^{as}) + \underset{(2.25)}{0.04} \log(C_{i,t-1}) + \underset{(0.059)}{0.001} Str_{br} - \underset{(4.47)}{0.002} TD$$

$$R^2 = 0.99, DW = 2.52, S.E. = 0.019$$

მოდელი მაღალ შემოსავლიანი ჯგუფისათვის (მოდელი 4):

$$\log(C_{i,t}) = \underset{(11.64)}{0.90} \log(Y_{i,t}^{inc}) + \underset{(1.08)}{0.04} \log(Y_{i,t}^{as}) + \underset{(0.18)}{0.01} \log(C_{i,t-1}) + \underset{(2.40)}{0.13} Str_{br} - \underset{(1.62)}{0.002} TD$$

$$R^2 = 0.91, DW = 2.10, S.E. = 0.107$$

მოდელები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ძირითადი პარამეტრების  $t$  სტატისტიკები მნიშვნელოვანია. მოდელის კოეფიციენტები და სტანდარტული შეცდომები შესწორებულია ჰეტეროსცედასტიურობისთვის. ბრეუშ-გოდფრის ტესტის მიხედვით, მოდელებში ავტოკორელაციას ადგილი არ აქვს.

სტრუქტურული ძვრის და ტრენდის ფაქტორის ჩართვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოდელებს. ქონებიდან და საქმიანობიდან მოსალოდნელი და მიმდინარე შემოსავლიდან (პერმანენტული შემოსავლიდან) მოხმარების ზღვრული მიდრეკილებების ჯამი 1-ს უახლოვდება. ამასთან ჯგუფების მიხედვით ეს პარამეტრი სტაბილურია, რაც პერმანენტული შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელესტიკურობის მაჩვენებლების ჰომოგენურობაზე მეტყველებს. ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარე შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელასტიკურობები, ისევე როგორც ქონებიდან მიმდინარე შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელასტიკურობები ჰეტეროგენურია. საინტერესოა, რომ მიმდინარე შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელასტიკურობები შემოსავლის უფრო მაღალ დონეზე გადასვლასთან ერთად იზრდება, რაც, თითქოს, ლიტერატურაში და თეორიაში განხილულ ჰიპოთეზას ეწინააღმდეგება. თუმცა თუ სტრუქტურული კონცეფციის ფარგლებში განვიხილავთ აქ პარადოქსული არაფერი არ არის და პირიქით ლოგიკურად აღწერს პროცესს და ეხმიანება ჩვენს თეორიულ მოდელს. როგორც თეორიულ მოდელში განვმარტეთ მდგრად მდგომარეობაში დანაზოგებისადმი მიდრეკილება მცირდება და მათი მაჩვენებელი ყალიბდება იმ დონეზე, რომელიც განაპირობებს არსებული მოხმარების დონის სტაბილურობის უზრუნველყოფას. ამგვარი, დანაზოგების დონე უფრო დაბალია ვიდრე არამდგრად მდგომარეობაში არსებული დანაზოგების დონე, როცა შინამეურნეობების ქმედება მიმართულია სარგებლიანობის პოზიციის გაუმჯობესებაზე და უფრო სენსიტიურია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მიმართ. ამრიგად, დაბალი მოხმარებისადმი ელასტიკურობები დაბალი შემოსავლის დონის პირობებში მიუთითებს შინამეურნეობების არამდგრად მდგომარეობაში არსებობაზე, რომლებიც ტრანზიტულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ხოლო, მაღალი ელასტიკურობები მიუთითებს შინამეურნეობების მდგრად მდგომარეობაში არსებობაზე.

ცხრილი 1 აჩვენებს, რომ შემოსავლის უფრო მაღალ ჯგუფში გადასვლასთან

რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ პერმანენტული შემოსავლიდან დანაზოგებისადმი მიდრეკილებები შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება.

საინტერესოა, რომ ქონებიდან შემოსავლის მოხმარებისადმი ელასტიკურობა მცირდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. ეს ფენომენი შეიძლება აიხსნას ორი გარემოებით. პირველი, ჩვენ შინამეურნეობები გამიჯნული გვყავს ორ ჯგუფად. პირველ მოდელში მოცემულია შინამეურნეობები რომლებსაც არ აქვთ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ამიტომ ამ ჯგუფში მაღალია ქონებიდან შემოსავლის მოხმარებისადმი ელასტიკურობები. მეოთხე მოდელში, თავს იყრიან საქმიანობიდან მიღებული მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები. ამიტომ, ამ ჯგუფში, დაბალია ქონებიდან შემოსავლის მოხმარებისადმი ელასტიკურობები. მეორე, საქმიანობიდან მიღებული მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები, ნიშნავს შინამეურნეობებს, რომლებიც ქონების საოპერაციო საქმიანობაში ჩართვით იღებენ უპირატესად შემოსავლებს და არა იჯაროდან.

**ცხრილი 1 მოხმარების ფუნქციის პარამეტრები**

პარამეტრები	მოდელი 1	მოდელი 2	მოდელი 3	მოდელი 4
$\lambda$	0.91	0.77	0.95	0.98
$k_1^{inc}$	0.73	0.70	0.87	0.90
$k_2^{as}$	0.31	0.33	0.13	0.04
$k_p$	1.05	1.03	1.00	0.95

მეორე მოდელი - მოდელი სხვადასხვა ქვეყნებისათვის განსხვავებულ საანალიზო პერიოდებს მოიცავს. მოდელი დაფუძნებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვარტალურ მონაცემებზე. მონაცემები დაკორექტირებულია სეზონურობაზე. სხვადასხვა მოდელებში ვაკვირდებით ავტოკორელაციას ან/და ჰეტეროსკედასტურობას. მიმდინარე შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელასტიკურობის ჰეტეროგენურობას აღნიშნული მოდელებიც ადასტურებს. ამასთან, რაიმე პრინციპის გამოკვეთა აღნიშნულ მონაცემებზე დაკვირვებით არ ხერხდება. ამის მიზეზი საკუთრივ ყველა ქვეყნის შიგნით შინამეურნეობების განსხვავებული სტრუქტურა უნდა იყოს, რაც წინა მოდელის ანალიზის დროსაც იყო ნაჩვენები.

**ცხრილი 2 მოხმარების ფუნქციი შერჩეული ქვეყნების მიხედვით**

ქვეყანა	მოდელი
აზერბაიჯანი	$\log(C_{j,t}) = 0.1\log(Y_{j,t}) + 0.89\log(C_{j,t-1})$ $R^2 = 0.98, DW = 2.26,$ $JB(p) = 0.01, BG(p) = 0.18, BPG(p) = 0, ARCH(p) = 0$
სომხეთი	$\log(C_{j,t}) = 0.29\log(Y_{j,t}) + 0.7\log(C_{j,t-1})$ $R^2 = 0.94, DW = 1.95,$ $JB(p) = 0.38, BG(p) = 0.96, BPG(p) = 0.59, ARCH(p) = 0.079$
საქართველო	$\log(C_{j,t}) = 0.44\log(Y_{j,t}) + 0.55\log(C_{j,t-1})$ $R^2 = 0.96, DW = 2.11,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0.36, BPG(p) = 0.078, ARCH(p) = 0.12$
რუსეთი	$\log(C_{j,t}) = 0.12\log(Y_{j,t}) + 0.88\log(C_{j,t-1})$ $R^2 = 0.99, DW = 1.53,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0.038, BPG(p) = 0.75, ARCH(p) = 0.5$
თურქეთი	$\log(C_{j,t}) = 0.18\log(Y_{j,t}) + 0.81\log(C_{j,t-1})$ $R^2 = 0.98, DW = 1.86,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0, BPG(p) = 0.47, ARCH(p) = 0$
ესტონეთი	$\log(C_{j,t}) = 0.3\log(Y_{j,t}) + 0.67\log(C_{j,t-1})$ $R^2 = 0.98, DW = 1.66,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0, BPG(p) = 0.03, ARCH(p) = 0.055$

ლატვია	$\log(C_{j,t}) = 0.56\log(Y_{j,t}) + 0.4\log(C_{j,t-1}) \quad R^2 = 0.95, DW = 1.54,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0, BPG(p) = 0.8, ARCH(p) = 0$
ლიეტუვა	$\log(C_{j,t}) = 0.39\log(Y_{j,t}) + 0.59\log(C_{j,t-1}) \quad R^2 = 0.97, DW = 1.57,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0, BPG(p) = 0, ARCH(p) = 0.71$
ნიდერლანდები	$\log(C_{j,t}) = 0.14\log(Y_{j,t}) + 0.85\log(C_{j,t-1}) \quad R^2 = 0.76, DW = 2.23,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0.22, BPG(p) = 0.74, ARCH(p) = 0.02$
ავსტრია	$\log(C_{j,t}) = 0.46\log(Y_{j,t}) + 0.51\log(C_{j,t-1}) \quad R^2 = 0.86, DW = 1.66,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0, BPG(p) = 0.79, ARCH(p) = 0$
შვეიცარია	$\log(C_{j,t}) = 0.22\log(Y_{j,t}) + 0.77\log(C_{j,t-1}) \quad R^2 = 0.97, DW = 2.24,$ $JB(p) = 0, BG(p) = 0.2, BPG(p) = 0.4, ARCH(p) = 0$

ჩვენ შეგვიძლია გამოვკვეთოთ, წინა მოდელის მსგავსად პერმანენტული შემოსავლიდან მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებები, პერმანენტულ შემოსავლებში მიმდინარე შემოსავლის წონის, დანაზოგებისადმი საშუალო მიდრეკილების და მისი სტანდარტული გადახრების მაჩვენებლები გამოვთვალოთ და აღნიშნული მონაცემებით განვახორციელოთ შერჩეული ქვეყნების შედარებითი ანალიზი.

**ცხრილი 3 მოხმარების ფუნქციის პარამეტრები შერჩეული ქვეყნების მიხედვით**


ქვეყანა	$\lambda$	$k$	APS	St.dev APS
აზერბაიჯანი	0.11	0.93	0.52	0.10
სომხეთი	0.30	0.98	0.21	0.06
საქართველო	0.45	0.97	0.24	0.06
რუსეთი	0.12	0.97	0.48	0.14
თურქეთი	0.19	0.97	0.38	0.04
ესტონეთი	0.33	0.93	0.47	0.02
ლატვია	0.60	0.94	0.38	0.02
ლიეტუვა	0.41	0.95	0.36	0.02
ნიდერლანდები	0.15	0.93	0.55	0.02
ავსტრია	0.49	0.94	0.48	0.01
შვეიცარია	0.23	0.95	0.47	0.02

მოდელებიდან ჩანს (ცხრილი 3), რომ პერმანენტული შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელასტიკურობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქვეყნებს შორის და განისაზღვრება 0.93-0.97 დიაპაზონში. ამრიგად, პერმანენტული შემოსავლიდან მოხმარებისადმი ელასტიკურობა ჰემოგენურია.

ნახაზ 2-ის უკანა სიბრტყეში ჩვენ ვხედავთ ქვეყნებს, დანაზოგებისადმი საშუალო მიდრეკილების ნორმის დაბალი სტანდარტული გადახრით; ზედა მხარეს, დანაზოგებისადმი საშუალო მიდრეკილების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს; ხოლო, მარჯვენა მხარეს ქვეყნებს, პერმანენტულ შემოსავლებში მიმდინარე შემოსავლის დაბალი დონით; შესაბამისად, მაღალ განვითარებულ ქვეყნებში შინამეურნეობების დროის ჰორიზონტი მაღალი უნდა იყოს ანუ პერიოდი, რომლისთვისაც შინამეურ-

ნეობები გეგმავენ შემოსავლებსა და ხარჯებს და, შესაბამისად, დროთაშორისი ჩანაცვლების ელასტიურობა მაღალი უნდა იყოს.

### ნახაზი 2 ქვეყნების შედარებითი ანალიზი



საინტერესოა, რომ რუსეთი და აზერბაიჯანი, ისევე როგორც ნიდერლანდები, ხასიათდებიან დაბალი მიმდინარე შემოსავლის წონით და დაზოგვის მაღალი მაჩვენებლებით, თუმცა დაზოგვის მაჩვენებლის მაღალი ვარიაციით. ეს ქვეყნები ძირითადად რესურსების მწარმოებელი ქვეყნებია, რაც განსაზღვრავს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა ეს არ ახდენს გადამწყვეტ გავლენას ეკონომიკური აგენტების ურთიერთქმედებებზე და ამ ქვეყნებში დროთაშორისი ჩანაცვლების ელასტიურობა დაბალი უნდა იყოს.

მესამე მოდელი იკვლევს მოხმარების დროთაშორისი ჩანაცვლების ელასტიურობას. შერჩეული ქვეყნების ანალიზი აჩვენებს, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც  $\lambda$  დაბალია და EIS მაღალია, დანაზოგებისადმი საშუალო მიდრეკილების ვარიაცია დაბალია, რაც ადასტურებს ზემოთ გამოთხმულ მოსაზრებასაც. პერმანენტული შემოსავლების მაღალი დროით ჰორიზონტი შოკების მიმართ სისტემის მდგრადობას განაპირობებს და მოხმარების დროთაშორისი ჩანაცვლების მაღალი ელასტიურობით შინამეურნეობების ქვეყნის კორექტირების მეტ შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით შემოსავლების უთანასწორობის დაბალი დონე გარკვეულ წილად შეიძლება იყოს სისტემის მდგრადობის ფაქტორი. თუმცა, აღნიშნული ფაქტორის მოქმედება არაერთმნიშვნელოვანია, რადგან მთავარი შემოსავლების უთანაბრობა, არამედ შინამეურნეობების სტრუქტურაა. თუ შინამეურნეობები ნაკლებად იქნებიან მდგრად მდგომარეობაში, ისინი უფრო მობილურები იქნებიან. ამრიგად, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ისეთი ინსტიტუციური ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ შინამეურნეობების შესაძლებლობებს ჰქონდეთ მეტი წვდომა სასესხო კაპიტალის ბაზრებზე.

**ცხრილი 4 შერჩეული ქვეყნების მიხედვით EIS შედარება**

	<i>EIS</i>	st. error	<i>R2</i>
აზერბაიჯანი	0.09	0.31	0.09
სომხეთი	0.14	0.26	0.33
საქართველო	-0.82	0.44	0.32
რუსეთი	0.09	0.17	0.54
თურქეთი	0.004	0.13	0.3
ესტონეთი	0.10	0.10	0.22
ლატვია	0.02	0.15	0.15
ლიეტუვა	0.37	0.16	0.24
ნიდერლანდები	0.25	0.08	0.03
ავსტრია	0.15	0.06	0.21
შვეიცარია	0.18	0.05	0.22

საქართველოს მაგალითზე განხილული მოდელი (ცხრილი 5) აჩვენებს, რომ დაბალშემოსავლიან ჯგუფებში EIS დაბალია, საქმიანობიდან შემოსავლის არ მქონე ჯგუფებშიც EIS დაბალია. EIS ყველაზე მაღალი საშუალო შემოსავლიან ჯგუფებშია. ამის მიზეზი, შეიძლება იყოს ის, რომ დაბალ და მაღალ შემოსავლიანი ჯგუფები უფრო ახლოს არიან მდგრად მდგომარეობასთან, ვიდრე საშუალო შემოსავლიანი ჯგუფები. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ დაბალ შემოსავლიანი ჯგუფები ახლოს იქნებიან მდგრად მდგომარეობასთან, ეს გავლენას მოახდენს მაღალ შემოსავლიანი ჯგუფების EIS-ზე, რადგან საპროცენტო განაკვეთის არხით მათ ნაკლები შესაძლებლობა, საკუთარ პროექტებში, ჩართონ დაბალ შემოსავლიანი შინამეურნეობები. ეს, კი შეზღუდავს მაღალშემოსავლიანი შინამეურნეობების არჩევანს და მაშასადამე შეამცირებს EIS. მაშასადამე, შინამეურნეობების სხვადასხვა ჯგუფების EIS-ები გარკვეულ წილად ერთმანეთზე დამოკიდებულია.

**ცხრილი 5 საქართველოს მაგალითზე შემოსავლების ჯგუფების მიხედვით მიხედვით EIS შედარება**

შინამეურნეობების ჯგუფი	<i>EIS</i>	st. error	<i>R2</i>	F(p)	DW
საქმიანობიდან შემოსავლის არ მქონე	0.19	1.14	0.07	0.02	2.02
დაბალ შემოსავლიანი	-0.02	0.65	0.10	0.18	2.03
საშუალო შემოსავლიანი	1.16	0.84	0.30	0.005	2.04
მაღალ შემოსავლიანი	0.49	1.56	0.38	0.005	2.13

ჩვენ განვიხილეთ რემსეი-კეინსის წესის შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებისა და მოხმარების დროთაშორის უპირატესობის ფაქტორების ურთერთდამოკიდებულება, რათა გავგვეო საშუალოდ სხვადასხვა ქვეყნებში შინამეურნეობები რა მდგომარეობაში იმყოფებიან (იხ. დანართი).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ჰიპოთეზა, რომ რამზი-კეინსის წესი შეიძლება სუსტი იყოს დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში, გარკვეულ გამოხატულებას პოულობს დროთაშორისი ჩანაცვლების ელასტიურობისა და დროთაშორისი პრეფერენციების ანალიზში. ჩვენ ვხედავთ, რომ კრიზისების დროს  $\delta$  მეტია  $r$ -ზე და პირიქით, ასევე

ვხედავთ, რომ შეიძლება EIS იყოს უარყოფითი. ეს ნიშნავს, რომ მსგავს ქვეყნებში ერთი და იგივე სარგებლობის მისაღწევად, ორ პერიოდს შორის მოხმარება არ არის ერთ-ერთი მათგანის შემცვლელი და სარგებლიანობის ზრდისათვის ის უნდა გაიზარდოს როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო პერიოდში, მაშინ როცა ზოგ შემთხვევაში ისინი ურთიერთშემცვლელი ფაქტორები შეიძლება იყვნენ. უარყოფითი ან დაბალი ელასტიურობის მიზეზი არის ის, რომ ასეთი ქვეყნები ხასიათდებიან წარმოების დაბალი დონით და ძირითადად არიან რესურსების, ტურიზმის და სხვა ტექნოლოგიური პროდუქტების მწარმოებლები, ამიტომ მუდმივად განიცდიან მოხმარების დეფიციტს. კაპიტალური ინვესტიციების წილი დაბალია, რაც გავლენას არ ახდენს შინამეურნეობების საშუალო ქვევაზე.

**ცხრილი 6. r და δ დამოკიდებულება ქვეყნების მიხედვით**

პერიოდი	ნიდერლანდები		შვეიცარია		ავსტრია		ესტონეთი	
	r	δ	r	δ	r	δ	r	δ
2004	2.5%	-0.3%	0.8%	-9.5%	2.1%	-13.2%	2.2%	-79.4%
2005	2.3%	-1.3%	1.1%	-6.3%	1.9%	-13.5%	2.0%	-96.4%
2006	2.3%	2.8%	1.3%	-7.2%	2.0%	-12.2%	2.0%	-128.6%
2007	3.0%	-4.5%	2.1%	-9.6%	2.7%	-4.8%	2.8%	-81.7%
2008	3.9%	0.3%	3.1%	-5.2%	3.9%	-2.6%	3.7%	47.9%
2009	4.4%	11.9%	2.7%	-6.0%	4.3%	-1.0%	4.0%	142.1%
2010	2.6%	2.2%	0.8%	-9.7%	1.6%	-5.2%	1.4%	21.7%
2011	2.3%	2.1%	0.8%	-7.1%	1.1%	-8.3%	1.0%	-31.5%
2012	2.6%	7.2%	0.5%	-11.6%	1.6%	-2.3%	1.3%	-43.5%
2013	2.7%	6.6%	0.3%	-12.4%	1.3%	2.0%	0.8%	-37.2%
2014	2.1%	0.5%	0.3%	-5.3%	0.7%	-1.4%	0.4%	-37.1%
2015	1.9%	-6.1%	0.3%	-13.4%	0.6%	-2.7%	0.4%	-48.5%
2016	1.7%	-2.7%	-0.3%	-9.3%	0.4%	-10.2%	0.3%	-40.4%
2017	1.5%	-7.1%	-0.3%	-6.7%	0.3%	-13.2%	0.2%	-25.0%
2018	1.4%	-7.2%	-0.3%	-3.9%	0.2%	-7.3%	0.3%	-48.9%
2019	1.5%	-2.1%	-0.3%	-7.0%	0.2%	-3.6%	0.4%	-44.2%
2020	1.2%	26.5%	-0.6%	18.4%	0.2%	56.8%	0.7%	13.1%
2021	1.0%	-16.4%	-0.8%	-11.0%	0.1%	-26.8%	0.6%	-92.4%

პერიოდი	საქართველო		სომხეთი		ლატვია		ლიეტუვა	
	r	δ	r	δ	r	δ	r	δ
2004	8.8%	11.6%	6.9%	-54.4%	NA	NA	1.8%	-26.7%
2005	7.1%	11.7%	4.9%	-56.3%	2.2%	-511%	1.5%	-30.5%

2006	7.5%	39.9%	5.8%	-64.5%	2.0%	-916%	2.0%	-22.7%
2007	10.1%	16.4%	5.8%	-84.4%	2.6%	-581%	2.8%	-30.9%
2008	10.2%	22.2%	6.3%	-21.4%	3.8%	416%	4.2%	-5.8%
2009	11.2%	7.8%	6.6%	38.9%	4.3%	791%	4.0%	50.5%
2010	10.8%	24.8%	8.7%	-18.9%	3.0%	-98.0%	2.5%	10.8%
2011	10.1%	22.4%	9.0%	-18.1%	1.8%	-4.5%	1.0%	-10.6%
2012	11.5%	16.7%	9.2%	-57.2%	1.7%	-281%	1.1%	-6.6%
2013	10.7%	13.3%	9.6%	-31.7%	0.8%	-318%	0.8%	-11.5%
2014	9.7%	16.9%	10.2%	0.8%	0.4%	-39.5%	0.4%	-9.1%
2015	8.4%	13.0%	10.4%	66.3%	0.4%	-110%	0.3%	-11.0%
2016	8.9%	2.4%	14.1%	16.3%	0.3%	-171%	0.2%	-11.3%
2017	9.9%	18.3%	11.6%	-84.3%	0.3%	-143%	0.1%	-8.9%
2018	9.7%	17.0%	9.0%	-29.8%	0.4%	-151%	0.2%	-9.7%
2019	8.8%	16.1%	8.7%	-80.5%	0.7%	-0.1%	0.2%	-7.2%
2020	8.7%	21.1%	8.5%	118.2%	0.6%	221%	0.2%	8.7%
2021	10.2%	26.2%	8.1%	14.5%	0.4%	-359%	0.1%	-21.3%

პერიოდი	რუსეთი		თურქეთი		აზერბაიჯანი	
	r	δ	r	δ	r	δ
2004	4.5%	-128%	37.7%	-1934%	9.5%	-51.1%
2005	3.8%	-125%	24.3%	-1854%	9.2%	-6.3%
2006	4.0%	-128%	20.4%	-1052%	8.5%	-208%
2007	4.1%	-153%	21.6%	-1393%	10.6%	-191%
2008	5.1%	-118%	22.6%	255.7%	11.6%	-175%
2009	5.8%	61.5%	22.9%	1505.9%	12.2%	-125%
2010	8.6%	-	17.6%	-2757%	12.2%	-22.4%
		51.1%				
2011	6.0%	-	15.3%	-2950%	11.6%	-72.6%
		67.8%				
2012	4.4%	-	14.1%	-761.5%	10.9%	-111%
		77.9%				
2013	5.5%	-	17.2%	-1944%	10.2%	-96.5%
		50.8%				
2014	5.6%	-	15.3%	-740.4%	9.9%	-89.4%
		15.6%				
2015	6.0%	101%	16.9%	-1270%	9.2%	-92.4%
2016	9.2%	41.0%	14.9%	-945.8%	9.0%	-24.4%
2017	7.0%	-	14.6%	-1426%	7.7%	-13.6%



		30.5%				
2018	5.9%	- 40.3%	15.3%	-192.6%	8.4%	-46.7%
2019	5.4%	- 27.5%	23.3%	-379.7%	10.3%	-52.8%
2020	5.4%	90.9%	25.4%	-701.1%	9.7%	106.7%
2021	3.8%	211%	13.4%	-3976%	8.7%	-22.4%

### დასკვნები

1. შინამეურნეობების ქცევა შემოსავლის სხვადასხვა დონეზე განსხვავებულია, თუმცა შეიძლება მოქმედებდეს გარკვეული საერთო ფსიქოლოგიური კანონები, რომელიც განხილულ უნდა იყოს შინამეურნეობების სტრუქტურის და ურთიერთქმედების კონტექსტში.

2. მნიშვნელოვანი გავლენა შინამეურნეობების ქცევაზე შეიძლება ჰქონდეს ფაქტორებს, რომელიც ცვლიან შინამეურნეობების გრძელვადიან ბიუჯეტს ანუ გავლენას ახდენენ პერმანენტულ შემოსავლებზე და მოხმარებაზე. მაგალითად, ამგვარი შოკებად შეიძლება განვიხილოთ გადასახადების განაკვეთების ცვლილება, რადგან მათ შინამეურნეობების გრძელვადიან ბიუჯეტზე აქვთ გავლენა.

3. თუ შინამეურნეობები კმაყოფილების ისეთ დონეზეა, რომ შემოსავლის მცირე ზრდა არ აუმჯობესებს მის სასარგებლოებას, მაშინ ასეთი შინამეურნეობები არ პასუხობენ წამახალისებელ პროგრამებს.

4. საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს დაბალ შემოსავლიან ქვეყანაში შინამეურნეობების და დაბალ შემოსავლიან შინამეურნეობის ქცევაზე, ამის მიზეზია საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა მაღალი შემოსავლის უთანასწორობის, რისკისადმი დაბალი მიდრეკილების და დაბალი ელასტიურობის პირობებში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი, ი., 2008, მოხმარების კეინზიანური მოდელის ქართული ვარიანტი. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. თბილისი.
2. ანანიაშვილი, ი., & ბარდაველიძე, ა., 2018, საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებების ეკონომეტრიკული ანალიზი. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბილისი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 37-43.
3. ოსტაპენკო, ნ., & დოღონაძე, ი., 2016, ფულის მიწოდების გავლენა რეალურ გამოშვებაზე. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 4(1), 67-83.
4. ოსტაპენკო, ნ., & ტაბაღუა, ს., 2014, მოხმარების მაკროეკონომიკური ფუნქციის ძირითადი დეტერმინანტების ანალიზი. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2(2), 47-67.

5. Amromin, G., Nardi, M., & Schulze, K., 2018, Household inequality and the consumption response to aggregate real shocks. Retrieved from [www.nber.org](http://www.nber.org): <https://www.nber.org/papers/w24073>
6. Ando, A., & Modigliani, F., 1963. The “Life-Cycle” Hypothesis of Saving: Aggregate Implications and Tests. *American Economic Review*, 53, 55-84.
7. Attanasio, O.P., and Weber, G., 1995. Is Consumption Growth Consistent with Intertemporal Optimization? Evidence from the Consumer Expenditure Survey. *Journal of Political Economy* 103, 1121-57.
8. Campbell, J. Y., & Mankiw, N. G., 1991, The response of Consumption to Income: A Cross-Country Investigation. *European Economic Review*, 35, 757-764.
9. Christen, M., & Morgan, R., 2005, Keeping Up with the Joneses: Analyzing the Effect of Income Inequality on Consumer Borrowing. *Quantitative Marketing and Economics*, 3(2), 145-173.
10. Deaton, A., 1992, Understanding Consumption. Oxford: Clarendon Press.
11. Duesenberry, J. S., 1949, Income, Saving and the Theory of Consumer Behavior. London: Geoffrey Cumberlege Oxford University Press.
12. Evans M., 1967, The Importance of Wealth in the Consumption Function. *Journal of Political Economy*, 335-351.
13. Flavin, M. A., 1981, The Adjustment of Consumption to Changing Expectations About Future Income. *Journal of Political Economy*, 89, 974-1009.
14. Friedman, M., 1957, A Theory of the Consumption Function. Princeton: Princeton University Press.
15. Gourinchas, P.O. and Parker J.A., 2002, Consumption Over the Life Cycle. *Econometrica* 70, 47-89.
16. Hall, R.E., 1978. Stochastic Implications of the Life Cycle-Permanent Income Hypothesis: Theory and Evidence. *Journal of Political Economy*, 86, 971-987.
17. Hall, R.E., 1988. Intertemporal Substitution in Consumption. *Journal of Political Economy*, 96, 339-357.
18. Jappelli, T., & Pistaferri, L., 2017, The Economics of Consumption (Theory and Evidence). New York: Oxford University Press.
19. Keynes, J. M., 1936, The General Theory of Employment, Interest and Money. London: Macmillan.
20. Krueger, D., Mitman, K., & Perri, F., 2016, Macroeconomics and household heterogeneity. J. Taylor, & H. Uhlig (რედაქტორები), *Macroeconomics and Household Heterogeneity* (Vol. 2, გვ. 843-921). Amsterdam: Elsevier B. V. /North-Holland.
21. Krusell, P., & Smith, A., 1998, Income and Wealth Heterogeneity in the Macroeconomy. *Journal of Political Economy*, 867-896.
22. Kumhof, M., Rancière, R., & Winant, P., 2015, Inequality, Leverage, and Crises. *The American Economic Review*, 1217-124.
23. Modigliani, F., 1966, The Life Cycle Hypothesis of Saving, the Demand for Wealth, and the Supply of Capital. *Social Research*, 33, 160-217.
24. Ramsey, F., 1928, A Mathematical Theory of Saving. *Economic Journal*, 38(152), 543-559.

25. Tabagua, S., & Ostapenko, N., 2018, Some Fiscal and Monetary Aspects of Consumption Theory. ECOFORUM, 7(3(16)). მკვლევარული  
<http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/874/522-ღაბ>
26. Ромер, Д., 2015, Высшая макроэкономика. Москва, Издательский дом Высшей школы экономики.
27. Сакс, Д., & Ларрен, Ф., 1996, Макроэкономика. Глобальный подход. Москва, Дело.

*Nikoloz Ostapenko*  
*Doctor of Economics*

## **INCOME INEQUALITY AND HOUSEHOLD CONSUMPTION**

### **Expanded Summary**

The structural analysis of households is frequently overlooked in the formulation of state policies, which hinders the formation of an adequate vision. Studying the behavior of representative agents does not enable the examination of the principles governing the actual operation of policy transmission mechanisms. The reason for this is that various groups of households interact with each other, influencing the economy's sensitivity to different policy instruments. In such circumstances, the macroeconomic policies implemented by the state can lead to income redistribution. A fundamental question arises regarding the homogeneity of indicators of consumer behavior, such as consumption elasticities from different types of income, intertemporal substitution elasticities of consumption, average propensities to save, and various transmission channels.

This paper examines the reasons for differences in intertemporal substitution elasticities of consumption at various income levels and their impact on household interactions and the channels of interest in macroeconomic policy. Accordingly, differences in intertemporal substitution elasticities of consumption not only result in varying elasticities of consumption from different types of incomes but also contribute as an additional factor to their heterogeneity alongside differences between income levels. Differences between levels of individual incomes also influence intertemporal substitution elasticities of consumption. The analysis considers steady states or conditionally steady states of household consumption when the indicators of intertemporal consumption elasticity are very low or equal to zero

To address the aforementioned issues, the parameters discussed above were examined using data from selected countries (Georgia, Armenia, Azerbaijan, Russia, Turkey, Estonia, Lithuania, Latvia, the Netherlands, Austria, and Switzerland), as well as various income levels of households in Georgia. The analysis employed a modernized Evans model for a non-linear consumption function with constant elasticity coefficients applied to both the Georgia Household Survey data and the data from selected countries. We also consider the function proposed by Jappelli and Pistaferri to investigate intertemporal substitution elasticities of consumption

According to the models, the elasticities of consumption from permanent income are determined to be in the range of 0.95-1.05 for the models constructed for Georgia, and 0.93-0.98 for the models constructed for the selected countries. The models demonstrate the homogeneity of the elasticities of consumption from permanent income.

A comparative analysis of countries reveals that nations like the Netherlands, Switzerland, and Austria, despite the weight of current income in permanent income, exhibit high average propensities to save and low standard deviation values of average propensities to save. Moreover, in the mentioned countries, the elasticities of intertemporal substitution of

consumption are high, with low standard deviations. Conversely, in other countries, we observe lower indicators and/or higher standard deviations of these mentioned indicators

The model, based on the example of Georgia, demonstrates how the situation in low-income groups can impact high-income households. Furthermore, the model illustrates the heterogeneity of intertemporal exchange elasticity of consumption across income groups

The analysis also indicates that the Ramsay-Keynes rule may be less applicable in low-income countries. Additionally, it suggests that  $\delta$  is greater than  $r$  during crises and vice versa during booms.

Research shows: that the behavior of households at different income levels differs, although certain common psychological principles may apply. These should be considered within the context of household structure and interaction; Factors that alter the long-term budget of households, thereby affecting permanent income and consumption, can exert a significant influence on household behavior. For instance, such shocks may include changes in taxation, as they directly affect the long-term financial position of households; If households have reached a level of satisfaction where a small increase in income does not enhance their utility, they will not respond to incentive programs; Interest rate volatility does not significantly affect the behavior of households in low-income countries or low-income households, primarily due to limited access to credit resources, high-income inequality, low-risk propensity, and low elasticity.

მწვანე ეკონომიკა – GREEN ECONOMY

---

---

**Asif Mirlazim Mustafayev,**

*phd, associate professor,*

*The Ministry of Science and Education of the Republic of Azerbaijan*

*Leading researcher at the Institute of Economics;*

**Tariyel Musallim Qurbanov,**

*phd, associate professor,*

*The Ministry of Science and Education of the Republic of Azerbaijan*

*Leading researcher at the Institute of Economics;*

**Babayev Turgan Khalil,**

*phd, associate professor,*

*Ministry of Science and education of the Republic of Azerbaijan*

*Nakhchivan State University*

**PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF THE GREEN ECONOMY IN  
AZERBAIJAN**

**Annotation.** *The presented article is devoted to some problems related to the provision of green economy in Azerbaijan and ways to solve them. The article assessed the potential opportunities of Azerbaijan and noted state measures in this direction. It was especially noted that by hosting COP2024 at the end of 29, Azerbaijan once again confirmed the seriousness of the work done in this direction. In addition, the article emphasizes that the economic and environmental potential of the liberated territories of Azerbaijan will help to quickly achieve the country's goals for 2030. This is evidenced by the restoration work carried out in this direction.*

**Key words:** *green economy, environmental risks, renewable energy, economic development, sustainable development, COP29, etc.*

**Introduction**

A green economy is a concept of economic development aimed at improving human well-being and social equality, while significantly reducing environmental risks and environmental deficiencies. Green economy is also a concept that focuses on the harmonious combination of economic growth, social justice and environmental sustainability. It aims to create an economy that benefits people and the planet by minimizing negative environmental impacts. Looking at the main goals of this concept, we can note that ensuring sustainable development, as a result, is aimed at preventing and, in a sense, restoring the depletion of natural resources through their maximum efficient use. In addition, the protection of the ecological environment includes certain cost parameters in economic development in itself, which means the true nature of real economic growth.

It should be borne in mind that a green economy, like a sustainable economy, should ensure social justice. In this direction, a huge number of people around the world continue to live in conditions of extreme poverty. Meanwhile, environmental problems are also exacerbated. We tell how to overcome poverty without harming the land, and here in 2012, in a report by the International Association Oxfam, British economist Keith Ravort presented an alternative economic model-the "Donut economy". This concept involves achieving economic success by reducing inequality in society and avoiding the destruction of the planet. This

concept was quickly recognized internationally, including at the UN level. Already in 2017, Kate published the book "Donut economics: seven ways to think like an economist of the XXI century", which quickly became a bestseller and attracted the attention of industry experts. Against this background, more developed countries, where the level and quality of life are many times higher, increase the impact on ecology. Global warming observed today is the strongest in the last 200 thousand years, notes Petteri Taalas, secretary general of the World Meteorological Organization (WTO). In the report, the Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) notes that compared to the level of 2010, carbon dioxide emissions need to be reduced by 2030 by about 45%. Creating a balance between human needs and environmental tasks is the goal of the economy model developed by Kate Ravort. For this, the donut consists of two rings: the social foundation (inner ring) and the ecological ceiling. [1].

### **Main part**

It should be borne in mind that every year events of various levels are held to ensure the green economy and maintain the ecological balance in the world. One of them is the COP event, which has been held since 1995. The first event of the Conference of parties to the UN Framework Convention on Climate Change, hosted annually by a different country, was held in Berlin in March 1995, and the last-its 28th Session (COP28)-in Dubai, United Arab Emirates in 2023. The 29th Session of the conference of the parties, i.e. COP29, will be held in November this year in Azerbaijan, in Baku. The decision was made at the plenary session of COP28 in Dubai on December 11 last year. This is the world's number one international event, an international conference, not inferior to the UN General Assembly in terms of representation of countries. Baku will be the center of the world in two weeks, and the city will welcome about 70-80 thousand foreign guests.

One of the most important positive results of the conference is the further improvement of the quality of tourism services in the country. Of course, hundreds of new professional specialists in the field of Tourism and logistics will be trained, the quality of Tourism and public services will change in connection with the solution of many problems. A qualitative change is also expected in the field of Regional tourism, new routes and morning tours will be organized.

The holding of COP29 in Azerbaijan is, first of all, a recognition by the UN of Azerbaijan's fulfillment of its obligations on the climate issue. In addition, the holding of COP29 in Azerbaijan testifies to the recognition of political and economic stability in the country at the UN level.

Azerbaijan has participated in numerous political, economic and regional development projects. For example, for the fourth year in a row, our country chairs the second largest international organization after the UN-the Non – Aligned Movement. Azerbaijan has signed a declaration of strategic partnership with nine members of the European Union. This is a unique example in world politics, because very few countries are simultaneously members of the Organization of Islamic Cooperation and the Council of Europe. [2].

### **The main reform goal of Azerbaijan is to ensure the “green economy”**

The decision to hold COP29 in Baku also signifies global support for Azerbaijan's green energy policy. Accordingly, by Order of the president of the Republic of Azerbaijan Ilham Aliyev, 2024 was declared the “year of solidarity for the Green world” in Azerbaijan. Being an oil and gas country, Azerbaijan has identified the creation of green energy and the transportation of green energy to world markets as a new priority direction of energy policy. The export of electricity produced on the basis of renewable and green energy has led to the beginning of a new era in Azerbaijan's energy strategy. Azerbaijan's renewable energy

potential is very high. By 2030, the share of renewable energy in electricity investment is expected to increase to 30 percent in Azerbaijan. According to statistics, the technical potential of renewable energy sources in our country is 135 gigawatts on land and 157 gigawatts at sea. The economic potential of renewable energy sources is 27 gigawatts, including 3 thousand megawatts for wind energy, 23 thousand megawatts for solar energy, and bioenergy potential is 380 megawatts. The potential of mountain rivers is estimated at 520 megawatts. [3].

In other respects, assessing the potential of Azerbaijan in this direction, we can note that Azerbaijan, as a country with rich natural resources and a diverse climate, has significant potential for the development of a green economy. Consider the main areas where Azerbaijan can develop a green economy:

1. On renewable energy sources

**Solar energy:** Azerbaijan has a high potential for solar energy, especially in the southern regions, where the sunny days of the year are much higher than the average. The development of solar farms and the installation of solar panels in residential and commercial buildings can significantly reduce dependence on fossil fuels.

**Wind energy:** Azerbaijan's wind resources are particularly large in the coastal regions and elevations of the Caspian Sea. The installation of wind turbines and the development of wind energy parks can be a significant contribution to energy independence and environmental sustainability.

**Hydropower:** Azerbaijan has several rivers and reservoirs that can be used for hydroelectric power generation.

The development of small and medium-sized hydroelectric plants can contribute to the sustainable energy supply of remote and rural areas.

It can be noted that Azerbaijan is actively developing the renewable energy sector and reducing its dependence on oil revenues, which is seen as a step towards a green economy as a whole. In addition, Azerbaijan has committed to reducing greenhouse gas emissions by joining the Paris Agreement on climate change in 2016. The agreement provides for a reduction in greenhouse gas emissions on the planet as a whole with the aim of limiting global warming to 2 degrees relative to the pre-industrial period. As part of its obligations under the agreement, Azerbaijan has prepared a National Action Plan on Climate Change, which includes specific measures to reduce greenhouse gas emissions. In particular, in this aspect, the country plans to increase the share of renewable energy in electricity generation, as well as the energy efficiency of buildings and vehicles. Azerbaijan's National Action Plan on climate change, approved in 2018, includes the following key points:

1. Reducing greenhouse gas emissions. Azerbaijan has pledged to reduce greenhouse gas emissions by 2030 compared to 1990 by 35%.
2. Development of renewable energy. Azerbaijan plans to increase the share of renewable energy in total electricity generation by 2030 to 30%.
3. Energy efficiency of buildings and transport. He set as his goal to develop and implement programs to improve the energy efficiency of buildings and vehicles in Azerbaijan.
4. Protection of forests. Azerbaijan undertakes not only to preserve forest resources, but also to improve their management and use [4].

In cooperation with international organizations, Azerbaijan has received financial support for the implementation of projects in the field of renewable energy and energy efficiency. For example, the World Bank has allocated \$ 400 million to Azerbaijan to finance energy and climate projects. Thus, Azerbaijan is actively working on the implementation of measures to reduce greenhouse gas emissions and more efficient use of resources, which allows the country to be viewed as an active participant in the green economy.

2. On energy efficiency and emission reduction:

**Infrastructure modernization:** application of energy efficient technologies in the construction and reconstruction of buildings.

Stimulation of enterprises: creation of economic incentives for companies implementing environmentally friendly production processes and technologies.

Electric transport: development of infrastructure for electric vehicles, including charging stations, and stimulation of the use of clean transport.


### 3. On agriculture and Land Management

Organic farming: support and development for organic farming, which uses methods to minimize harmful environmental impacts.

Rational use of Water Resources: application of drip irrigation technologies and other methods of rational use of water in agriculture.

Land use and reforestation: degraded soils and reforestation programs that help preserve biodiversity and prevent soil erosion.

It should be borne in mind that over the past 20 years, the forest area on the total land area has increased by 2.8 percent in Azerbaijan. Based on the data given in Graph 1, we can note that serious measures of the state in this direction are expected for the prospective period. In particular, taking into account the work carried out to restore the liberated territories, serious development in this direction is expected.



Source: [5]

### 4. On Waste Management and recycling

Waste separation and recycling: creation of a system for separate collection and processing of household and industrial waste.

Composting: application of organic waste composting technologies that can be useful for both agricultural and urban green spaces.

Plastic reduction: programs to reduce the use of disposable plastic and develop alternative materials.


Speaking about the holding of the 29th conference of the UN Framework Convention on climate change (the Conference of Parties) in Baku (COP-29), The Economist recalled that according to the agreement adopted, the volume of carbon dioxide (CO<sub>2</sub>) emissions accelerating global warming is planned to be reduced in 2025 compared to the volume in 2005 by 28% and in 2030 by 45%.

"China alone accounts for 36.7% of these gases, which create a greenhouse effect in the energy and industrial sectors (2021 billion 11 million tons in 336). According to the results of 2021, the next 4 top countries: USA (5 billion 032 million tons), India (2 billion 674 million tons), Russia (1 billion 712 million tons), Japan (1 billion 602 million tons). In general, 10 countries have a 67% "share" in all carbon dioxide emissions. Given the above, it is not only



natural for developed countries to finance projects against climate change (sometimes more stringent requirements are put forward against smaller countries or financing projects is presented as a blessing), but they are even obliged to do more in this direction and allocate more funding to the issue”. [6]

Given that carbon dioxide (CO<sub>2</sub>) emissions worldwide have increased by more than 1990% since 60, it is certainly commendable that Azerbaijan has shown a fairly large decrease in this indicator.” A more realistic situation in this direction in Azerbaijan is presented in the following graph (see graph 2).



Source: <https://data.worldbank.org/country/azerbaijan>

#### 5. On ecological tourism:

Development of natural parks and reserves: creation and development of national parks, reserves and ecological paths that can attract tourists and contribute to the conservation of natural areas.

Support for local communities: involving local communities in the development of ecotourism, which can create jobs and stimulate local economic development.

### The result

Thanks to its natural resources, geographical location and desire to modernize the economy, Azerbaijan has significant potential for the development of the green economy. A successful transition to a green economy requires comprehensive development in various sectors, including energy, agriculture, waste management, tourism and legislation. Successful implementation of these initiatives will require joint efforts of government, business and civil society.

### Literature

1. <https://trends.rbc.ru/trends/green/6375d8f59a79471bf94c1947?from=copy>
2. <https://ereforms.gov.az>
3. <https://president.az/az/articles/view/62562>
4. Azerbaijan's National Action Plan on climate change (2018). <https://www4.unfccc.int/sites/ndcstaging/PublishedDocuments/Azerbaijan>
5. <https://data.worldbank.org/country/azerbaijan>
6. <https://banco.az>

**ასიფ მირლაზიმ მუსტაფაევი,**  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო  
ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

**ტარიელ მუსალიმ ყურბანოვი,**  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო  
ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

**ბაბაევი ტურგან ხალილი,**  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო  
ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **მწვანე ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები აზერბაიჯანში რეზიუმე**

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება აზერბაიჯანში მწვანე ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემას და მათი გადაჭრის გზებს. სტატიაში შეფასდა აზერბაიჯანის პოტენციური შესაძლებლობები და აღინიშნა სახელმწიფო ზომები ამ მიმართულებით. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ COP2024-ის მასპინძლობით აზერბაიჯანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ მიმართულებით გაწეული სამუშაოს სერიოზულობა. გარდა ამისა, სტატიაში ხაზგასმულია, რომ აზერბაიჯანის გათავისუფლებული ტერიტორიების ეკონომიკური და ეკოლოგიური პოტენციალი ხელს შეუწყობს ქვეყნის 2030 წლის მიზნების სწრაფად მიღწევას. ამას მოწმობს ამ მიმართულებით ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, გარემოსდაცვითი რისკები, განახლებადი ენერჯია, ეკონომიკური განვითარება, მდგრადი განვითარება, COP29 და ა.შ.

ეკონომეტრიკა - ECONOMETRICS

გივი ლემონჯავა

საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კომპანიის ფინანსური მოდელირება და პროგნოზირება

**ანოტაცია.** ამ სტატიაში წარმოდგენილია ფინანსური მოდელების მიმოხილვა, ფინანსური მოდელირების პროცესი, ცვლადი მოდელების პროგნოზირების მეთოდები და განიხილულია, ამ მოდელების კომპონენტების გამოყენების შესაძლებლობები ფინანსურ დიზაინში, ფინანსურ ანალიზსა და საინვესტიციო პროექტების მომგებიანობის შეფასებაში. ამ მოდელებისთვის ჩვენ შევიძუშავეთ სპეციალური კომპიუტერული პროგრამები Excel-ში, რომლითაც მათი მარტივად დანერგვა შესაძლებელია კომერციულ კომპანიებში.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური მოდელირება, სამი ანგარიშგების ფინანსური მოდელი, ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტის ანალიზი, გაყიდვების პროგნოზირების მეთოდები, საინვესტიციო პროექტების შეფასება, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC), წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV), შიდა ანაზღაურება (IRR).

შესავალი

კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტია ფინანსური მენეჯმენტი [3]. ნებისმიერი სახის ბიზნეს საქმიანობა დამოკიდებულია ფინანსებზე, რასაც სჭირდება შესაბამისი მენეჯმენტი. კომპანიის ფინანსები ეს არის ფულის მენეჯმენტის მიზანი და შედეგი. ის მოიცავს ფინანსურ მომსახურებებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს. ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციაა საჭირო ფონდების მოპოვება და მათი ეფექტურად გამოყენება [2]. ფინანსური მენეჯმენტი მჭიდრო კავშირშია კომპანიის ყველა ფუნქციონალურ ქვედანაყოფთან. ფინანსური ეკონომიქსი ეფუძნება ეკონომიკის მაკრო და მიკრო პრინციპებს. საინვესტიციო გადაწყვეტილებები ითვალისწინებს არსებულ მაკრო და მიკრო გარემოს. ბუღალტრული ჩანაწერები მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას. ბუღალტრული აღრიცხვა ქმნის ინფორმაციულ ბაზას, რომელიც ეხმარება ფინანსურ მენეჯერ გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს ორი სფერო მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ფინანსურ მოდელში ფართედ გამოიყენება მათემატიკასა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები, დისკონტის ფაქტორი, ფულის დროითი ღირებულება, ფინანსურ-კოეფიციენტური ანალიზი და სამუშაო კაპიტალის ანალიზი [12].

ფინანსური მოდელის უპირატესობა ის არის, რომ ის დინამიურად მაღალი სიზუსტით ამუშავებს და სწრაფად გარდაქმნის მონაცემებს ფინანსურ ინფორმაციად [5]. ფინანსური მოდელს შეუძლია შექმნას მომავლის სურათი და გამოყენებულ იქნას როგორც ფინანსური პროგნოზირების ინსტრუმენტი. ფინანსური მოდელი აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იყოს კონკრეტული ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების საქმეში. კომპანიის მენეჯმენტს ფინანსური მოდელი ეხმარება საინვესტიციო პროექტების მომგებიანობის შეფასებაში და ალტერნატივებს შორის საუკეთესოს შერჩევაში. მისი საშუალებით შეიძლება სწრაფად, საიმედოდ და მრავალმხრივ შეფასდეს კომპანიის სამეურნეო პოლიტიკის ცვლილების შედეგები.

ფინანსური მოდელი მოიცავს სამ ფინანსურ ანგარიშს [4]. პირველი არის მოგება-ზარალის ანგარიში, მეორე - ფინანსური პოზიციის, ბალანსის ანგარიში და მესამე - ფულის მოძრაობის ანგარიში. ფინანსური მოდელი ფორმულების საშუალებით დინამიურად აკავშირებს ამ სამი ანგარიშის მუხლებს. ყველა ანგარიში ინტეგრირებულია ისე, რომ ცვლილებები საწყის მონაცემებში ან დაშვებებში სწრაფად რეალიზდება და იქმნება განახლებული ფინანსური ანგარიშები [7]. ფინანსური ანგარიშების მოდელი ეფუძნება ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.


ნაშრომში შემოთავაზებულია ფინანსური მოდელები, რომელთა საფუძველზე კეთდება სამი ფინანსური ანგარიშის ფორმირება და პროგნოზირება, კოეფიციენტური ანალიზი, პროექტების ეფექტიანობის შეფასება და კრიტიკული ცვლადების მგრძობელობითი ანალიზი. ამ მოდელების პრაქტიკული რეალიზებულია გაკეთებულია Excel - ის გარემოში VBA<sup>25</sup> პროგრამული ენაზე შექმნილი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

### სამი ფინანსური ანგარიშის მოდელის კომპონენტები

ფინანსურ ანგარიშის პირველი კომპონენტია მოგება-ზარალის ანგარიში, მეორე - ბალანსის ანგარიში(ფინანსური პოზიციის ანგარიში) და მესამე - ფულის მოძრაობის ანგარიში. ფინანსური მოდელში ჩართული ფორმულები დინამიურად აკავშირებს ამ ანგარიშის მონაწილე ცვლადებს. მოცემული ანგარიშები მოდელში ისეა ინტეგრირებული, რომ ანგარიშებში მონაწილე პარამეტრებისა და ცვლადების ნებისმიერი ცვლილება სათანადოდ აისახება და სწრაფად ხდება ფინანსური ანგარიშების განახლება[6,7].

სამი ანგარიშის ფინანსური მოდელირება იტერაციული პროცესია, რომელს სტრუქტურა მოცემულია ნახ. 1 -ზე.

ნახ. 1



როგორც ამ ნახატიდან ჩანს, პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯების თანმიმდევრობას: 1) ისტორიული ფინანსური მონაცემების მოპოვება და შეტანა; 2) კომპანიის ისტორიული შედეგების ანალიზი და შეფასება; 3) ფინანსური და ოპერაციული დაშვებების გაკეთება, რომელთა საფუძველზე კეთდება: 4) მოგება-ზარალის პროგნოზირება, კაპიტალური ინვესტიციებისა და აქტივების, ფინანსური აქტივობების პროგნოზირება, ბალანსის პროგნოზირება და ფულადი ნაკადების პროგნოზირება; 5) სამომავლო ფინანსური რისკების შეფასება; 6) მგრძობელობითი ანალიზის შესრულება; 7) პროგნოზის შედეგების სტრუქტული ანალიზი.

<sup>25</sup> Visual Basic for Applications (VBA)

### მოგება-ზარალის ანგარიში

მოგება-ზარალის ანგარიშგება აჯამებს კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობებს. ის აჩვენებს კომპანიის კონკრეტული საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის ფინანსური შედეგებს წმინდა მოგებას ან ზარალის სახით:

წმინდა მოგება = (მთლიანი შემოსავლები + ამონაგები) – (მთლიანი ხარჯები + დანაკარგები)

მოგება - ზარალის ანგარიშის ფორმირებას აკეთებს FSAM პროგრამა. ეს ანგარიში კეთდება IAS შესაბამისი სტანდარტის შესაბამისად ორ ფორმატში. ერთი არის შიდა მოხმარების, ის მოიცავს 5 პერიოდს და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ანგარიშში მონაწილე ცვლადების ცვლილების ტენდენციებს, მეორე - სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

ზოგადად, მოგება-ზარალის ძირითადი კომპონენტებია: 1) საერთო მოგება (Gross Margin); 2) წმინდა ოპერაციული მოგება - მოგება პროცენტისა და გადასახადების გადახდამდე - EBIT ან PBIT; 3) მოგება დაბეგვრამდე; 4) წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ; და 5) გაუნაწილებელი მოგება.

ანგარიშის მთლიანობის და სისრულის პირობებში, სადაც შემოსავლები და ხარჯები სრულად, სწორად და ტრანსპარენტულად წარმოჩენილი, თუ ფიქსირდება ოპერაციული მოგების ზრდისა ტენდენცია, ეს მიანიშნებს შემოსავლების ხარისხის ზრდაზე. ასე რომ, ოპერაციული მოგება, როგორც ფუნქცია შემოსავლების, გაყიდული საქონლის თვითღირებულების, მთლიანი მარჟის, ოპერაციული და სხვა ხარჯების, საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების და საგადასახადო ხარჯის, მარტივად მოდელირდება და გამოითვლება Excel - ის ფურცელზე შესაბამისი მათემატიკური ფორმულებით, რომლებიც ჩართულია FSAM - IS (Income Statement) პროგრამაში.

### ბალანსი - ფინანსური პოზიციის ანგარიში

ბალანსი წარმოადგენს ფინანსური პოზიციის სურათს, რომელიც ფიქსირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ბალანსი შედგება სამი კომპონენტისაგან: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. აქტივები არის ეკონომიკური რესურსი, რომელთა მიმართ არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ ისინი მომავალში იქნება სარგებლის მომტანი. ვალდებულებები არის „კრედიტორების მოთხოვნები“, ის რაც მომავალში გადასახდელი იქნება გარე პირებისთვის. საკუთარი კაპიტალი ან მფლობელების კაპიტალი არის ვალდებულება მფლობელების მიმართ:

მფლობელების კაპიტალი = აქტივები - ვალდებულებები

აქტივები იყოფა ორ კატეგორიად: მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები. მიმდინარე აქტივები არა უმეტეს 12 თვიანი პერიოდისა კონვერტირება ფულში. მიმდინარე აქტივები მოიცავს ფულს, მოკლევადიან ინვესტიციებს, მისაღებ და თამასუქის ანგარიშებს, საწარმო ნედლეულის და მზა პროდუქციის მარაგებს და წინასწარ გადაიხლ ხარჯებს. ანალოგიურად, ვალდებულებებიც იყოფა ორ კატეგორიად: მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები. მფლობელების კაპიტალის კომპონენტებია მათი გადახდები კაპიტალში და გაუნაწილებელი მოგება.

ბალანსის მუხლები აღირიცხება აღრიცხვის ISA და IFRS საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. მოდელში გათვალისწინებულია ბალანსის ორი ფორმატი - ერთი შეესაბამება UK სტანდარტს, ხოლო მეორე - IAS.

ბალანსი იძლევა წარმოდგენას თუ როგორ მდგომარეობაშია ბიზნესი შემდეგი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით:

- **ლიკვიდურობა.** მიმდინარე აქტივების შედარება მიმდინარე ვალდებულებებთან ქმნის მკაფიო წარმოდგენას კომპანიის ლიკვიდური მდგომარეობის შესახებ. ის გვიჩვენებს, თუ რამდენი ფულია ხელმისაწვდომი კონკრეტულ მომენტში. ლიკვიდურობის რისკის შესამცირებლად კომპანიის ქმნის ლიკვიდურობის გარკვეულ ბუფერსაც.

- **ეფექტიანობა.** მოგება - ზარალის ანგარიშის ბალანსთან შედარებით, გვეძლევა საშუალება დავინახოთ, მაგალითად, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება აქტივების გამოყენება შემოსავლების მისაღებად, ან რამდენად ეფექტიანია გამოყენებული და საკუთარი კაპიტალი.

- **ლევერაჟი.** ბალანსის ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან გვიჩვენებს რამდენია ბიზნესი ლევერაჟი, რაც ავასებს კომპანიის ფინანსურ რისკს.

### **ფულის მოძრაობის ანგარიში**

თუ ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში იქმნება აღიარებული ბუღალტრული პრინციპებისა და სტანდარტების საფუძველზე, ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ფულის მოძრაობის ანგარიშზე, რადგან ის ასახავს რეალურად, ფაქტიურად არსებულ ფულს, ანუ ფულს ხელზე.

წარმოდგენილი მოდელი (CF) აკეთებს მოგება-ზარალისა და ბალანსის ანგარიშების რეკონსილაციას ისე, რომ ზუსტად იყოს ასახული ფულის რეალური ცვლილებები. მოკლედ, ფორმულის სახით, ეს გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$CEB = ICB + CGOs - CU$$

სადაც: CEB - ფულის ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; ICB - ფულის ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში; CGOs - ფული გენერირებული ოპერაციებიდან და სხვა წყაროებიდან; და CU - ოპერაციებში, ინვესტიციებში და სხვა აქტივობებში დახარჯული ფული.


ჩვეულებრივ, კომპანია ჩართულია ოპერაციული, საინვესტიციო და შემდეგი ფინანსური საქმიანობებში. ფულის მოძრაობის ანგარიში ასახავს ფულის ნაკადებს, რომლებიც არის ამ სამი აქტივობის შედეგი. ოპერაციული საქმიანობის შედეგია წმინდა მოგება ან წმიდა ზარალი, რომელიც ზრდის ან ამცირებს ფულს. ოპერაციული საქმიანობები არის ყველაზე მნიშვნელოვანი, და ისინი ქმნიან კომპანიის ფულის ძირითადი ბალანსს. ოპერაციულ საქმიანობას მიეკუთვნება: 1) გაყიდვებიდან მიღებული ამონაგები, 2) გადახდილი პროცენტი, 3) მოგების გადასახადი, 4) გადახდები მომწოდებლებთან, 5) პერსონალის ხელფასი და 6) სხვა ოპერაციული გადახდები.

კომპანიას საქმიანობის პროცესში უწევს სხვადასხვა ფიქსირებული აქტივების შექმნა. როდესაც ეს აქტივები ცვდება, კომპანია შეუძლია გაყიდოს ისინი. გრძელვადიანი აქტივების შექმნები და გაყიდვები არის საინვესტიციო ფულის ნაკადები. ოპერაციული ფულის შემდეგ, საინვესტიციო ფულის ნაკადები არის მეტად მნიშვნელოვანი.

კომპანიას ხშირად სჭირდება ფული დაფინანსებისთვის. დაფინანსება მოიცავს აქციების და ვალდებულებების გამოშვებას. აქციებს ყიდულობენ აქციონერები, ხოლო ვალდებულებებს - ბანკები. ამის შედეგი იქნება ფულის შემოდინება

კომპანიაში. ფულის გასავალი იქნება სესხების ან სხვა ფინანსური ვალდებულებების გამოსყიდვა. ამ პროცესის გრაფიკული სურათი მოცემულია ნახ 2 -ზე.

ნახ. 2



მოდელში რეალიზებული ფულის მოძრაობის ანგარიშის ფორმირების ალგორითმი, რომელიც ცნობილია არაპირდაპირ მეთოდის სახელით, სადაც წმინდა მოგება კორექტირდება არაფულადი ტრანზაქციების სხვაობებით. ის პირველ რიგში უჩვენებს ოპერაციებიდან მიღებულ ფულს, შემდეგ - ფულს, რომელიც მიღებული ან გამოყენებულია საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან. მოდელში ასევე ჩართულია პროცედურა, რომელიც ანგარიშობს ფულის შემდეგ კოეფიციენტებს:

- EBITDA / გაყიდვები
- წმინდა ოპერაციული ფულის ნაკადი (NOCF) / გაყიდვები
- ფულის ნაკადი ფინანსებამდე / გაყიდვები

მოდელში, ასევე ჩართულია პროცედურა, რომელიც აკეთებს თავისუფალი ფულის ანგარიშს. თავისუფალი არის ფული, რომელიც ხელმისაწვდომია ვალების მომწოდებლებისა და აქციონერების მოთხოვნების დასაფარად.

ფულის მოძრაობის ანგარიში აჯამებს ფულს და ფულის ექვივალენტს, რომელიც შემოედინება და გაედინება კომპანიიდან. ის უჩვენებს თუ რამდენად წარმატებულია ფულის მენეჯმენტი კომპანიაში და ინფორმაციულად ავსებს მოგება-ხარალისა და ბალანსის ანგარიშების.

### ფინანსური ანგარიშების პროგნოზირება

კომპანიის საქმიანობის დაგეგმვის აუცილებელი შემადგენელია ფინანსური პროგნოზირება. გადაწყვეტილებების მიღებს, ფინანსური პროგნოზირება ეხმარება საფუძვლიანი, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში. ფინანსური პროგნოზი გვიჩვენებს იმ სავარაუდო შედეგებს, რომლებიც შეიძლება დადგეს მომავალში სამოქმედოდ მიღებული პროგრამების რეალიზების შედეგად. როდესაც წინასწარ ცნობილია მოსალოდნელი შედეგები, მენეჯმენტს აქვს საშუალება რესურსები გაანაწილოს ოპერატიულად და ეფექტიანად.

ფინანსური პროგნოზის მომზადება მოიცავს ოთხ საფეხურს[8]. პირველ საფეხურზე განისაზღვრება ის პირველადი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია პროგნოზირებისთვის; მეორეზე, კეთდება გაყიდვების პროგნოზირება[14]; მესამეზე, კეთდება ფინანსური ანგარიშების სხვა დანარჩენი წევრების პროგნოზირება; და მეოთხეზე, ხდება პროგნოზირებული მაჩვენებლების საფუძველზე ერთიანი ფინანსური ანგარიშების მომზადება.

ხარჯების ერთ ნაწილზე გაყიდვების დონე ახდენს გავლენას, ხოლო მეორეზე - არა. პირველი არის ცვალებადი ხარჯები, მეორე - ფიქსირებული ხარჯები. პირველი დამოკიდებული იქნება გაყიდვების რაოდენობაზე, ხოლო მეორე - არა. ამიტომ, ხარჯების პროგნოზირებისთვის საჭიროა იქნება ხარჯები გაიყოს ამ ორ კატეგორიად.

გაყიდვების დონეს გავლენა აქვს ბალანსის მუხლებზე. გაყიდვების ზრდა, სავარაუდოდ, გამოიწვევს საბრუნავი კაპიტალის ზრდას. გაყიდვების ზრდის გარკვეულ დონეზე, მოსალოდნელია, შესაძლებელია საწარმოო სიმძლავრეები აღმოჩნდეს არასაკმარისი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაიზარდოს მოთხოვნა დაფინანსებაზე. ბალანსის იმ მუხლების მიმართ, რომლებიც გაყიდვების დონესთან მიმართებით აფიქსირებს პროპორციულობა, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ გაყიდვებთან მიმართებით პროცენტის მეთოდი. ეს, მართალია, ამარტივებს პროგნოზირების ამოცანას და ამცირებს პროგნოზირების ხარჯებს, მაგრამ აქ გარკვეული სიფრთხილე იქნება საჭირო. კერძოდ, პერიოდულად უნდა გადაიხედოს ბალანსის მუხლების გაყიდვებზე დამოკიდებულების სტატისტიკური შეფასება.

იმის შემდეგ, რაც ცნობილი გახდება გაყიდვების პროგნოზი, ბალანსის მუხლების მასზე დამოკიდებულების კოეფიციენტი, ფულადი ნაკადების პროგნოზირება იქნება შესაძლებელი. ამ პროცესის დასრულება იძლევა საკმარის მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშების სამეულის შესაქმნელად.

### **პროგნოზირების მოდელები**

პროგნოზირების ფარგლებში წარმოებს იმ ფაქტორების შეფასება და ანალიზი, რომლთაც გავლენა აქვთ შედეგობრივ ცვლადებზე. აქ, დიდი პრობლემაა ის, რომ, ხშირ შემთხვევაში, წინასწარ უცნობია გაურკვევლობის ხარისხი, რაც ზრდის პროგნოზირებული ცვლადების რეალურიდან აცდენის რისკს. პროგნოზირების შეცდომების შესამცირებლად საჭიროა ის სრულდებოდეს მოდელირების გამართული პროცედურით, რაც აუცილებლად უნდა გულისხმობდეს მოდელის ძირითადი წინაპირობებისა გადახედვას.

გაყიდვებისა და სხვა ცვლადების პროგნოზირებისთვის გამოყენებული წრფივი ტრენდის, მცოცავი საშუალოს, ექსპონენციალური მოსწორების მოდელები (ტრენდისა და სეზონურობის კომპონენტებით) და ავტორეგრესიული ინტეგრირებული მცოცავი საშუალოს მოდელი (ARIMA) [11].

ტრენდი არის დროით მწკრივი, რომლის აღწერა შესაძლებელია წრფით ან გლუვი მრუდით. ბიზნესისა და ეკონომიკური ცვლადის დროითი მწკრივის ტრენდი იძლევა დროში ცვლილების მოსწრებულ სურათს. ტრენდის წრფივი მოდელი შეიძლება არ იყოს რეალისტურია, მაგრამ მისი გამოყენება მიზანშეწონილია მაინც, შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1) ის ქმნის გარკვეულ ზოგად წარმოდგენას დაკვირვებული დროითი მწკრივის შესახებ; 2) ტრენდის მოცილება საწყის დროით მწკრივიდან იძლევა სეზონურობის კომპონენტის სურათს [9].

ნაშრომში, გაყიდვების პროგნოზირებისთვის შექმნილია პროგნოზირების პროგრამული მოდული, სადაც რეალიზებულია დროითი მწკრივის ბაზაზე პროგნოზირების 8 სახის მოდელი. აქედან ყველაზე მარტივია შემდეგი სახის წრფივი ტრენდის მოდელი:


$$\hat{T}_t = a + bt \quad (1)$$

ამ მოდელის შედეგი ნაჩვენებია ნახ. 3 - ზე.

ტრენდის მოდელი (1) ზოგჯერ იძლევა კარგ შედეგს, განსაკუთრებით მოკლევადიანი პროგნოზის შემთხვევაში. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიზნესისა და




ნახ. 3



როგორც ცნობილია, ეკონომიკური ცვლადების დროითი მწკრივის ტრენდი ცვალებადია დროში. ამდენად, რთული სავარაუდოა, რომ ცვლილების რეალური ტრენდი სრულად დაეტიოს ერთი წრფეზე. მიუხედავად ამის, წრფივი ტრენდის გამოყენება მიზანშეწონილია ორი მიზეზის გამო: 1) ის გარკვეულ წარმოდგენას იძლევა დაკვირვებული დროითი მწკრივის ცვლილების მიმართულების შესახებ; და 2) შესაძლებელია ის მოვამზოროთ პირველად დროით მწკრივს და უფრო მკაფიოდ დავინახოთ დროითი მწკრივის სხვა კომპონენტები - სეზონურობა და ციკლურობა.


პროგნოზირების მეორე მარტივი მოდელია ერთ კომპონენტია მცოცავი საშუალოს მეთოდი (MA) [14], რომლის შეგები წარმოდგენილია ნახ. 4 - ზე. როგორც ნახატიდან ჩანს მოდელს ახასიათებს გარკვეული „ჩამორჩენა“ ნაკლებობით. თუ დროითი მწკრივი კლებადია „ჩამორჩენა“ იქნება მეტობით. ამ ორი მოდელის გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი, თუ დროითი მწკრივი შეიცავს სეზონურობის და შემთხვევითი ცვალებადობის კომპონენტებს.

ნახ. 4




მკაფიო ტრენდის შემთხვევაში, როგორც ეს ჩანს ნახ. 5 - დან, კარგ შედეგს იძლევა ექსპონენციალური მოსწორების მოდელი [9].

ნახ. 5




როგორც ნახ 6 - დან ჩანს, შედარებით უკეთეს შედეგს იძლევა ტრენდით კორექტირებული ექსპონენციალური მოსწორების მოდელი [9].

ნახ. 6




სეზონურობის კომპონენტის არსებობას ითვალისწინებს პროგნოზირების ბოლო ორი მოდელი. კვარტალური და თვიური სეზონურობის კომპონენტების გათვალისწინება ხდება ორი გზით - კომპონენტების ჯამით და კომპონენტების ნამრავლით [1, 10]. პირველის შედეგები მოცემულია ნახ. 7 - ზე.

ნახ. 7



მეორე, მულტიფიკაციური მიდგომა რეალიზებულია იგივე დროით მწკრივზე და მისი შედეგი მოცემულია ნახ. 8 - ზე.



თუ შევადარებთ ამ ბოლო ორი მოდელის შედეგებს, აშკარაა დროითი მწკრივის კომპონენტების მოდელში მულტიფიკაციურად ასახვის უპირატესობა. ამ მოდელების გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც საქმე ეხება კვარტალურ ან თვიურ პროგნოზირებას, სადაც სეზონურობის ფაქტორის გავლენა შეიძლება იყოს არსებითი.

**ფინანსური კოეფიციენტები**

ფინანსური კოეფიციენტები ფინანსური ანალიზის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. კომპანიის საქმიანობის შედეგების საკმარისადსწორად და საფუძვლიანი ინტერპრეტირდება ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით[13]. განხილული წინა სამი მოდელი ქმნის ამ კომერციული ანალიზის შემავალ მონაცემებს, რაც და კიდევ ამ მოდელის სტრუქტურა ნაჩვენებია ცხრილ - 1 -ში.

ცხრილი 1

დასახელება	ფორმულა	შეფასება (კარგი / ცუდი)
<b>საკვანძო კოეფიციენტები</b>		
გაყიდვების უკუგება	NOP/გაყიდვები (%)	ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
აქტივების ბრუნვა	გაყიდვები/მთლიანი აქტივები	
აქტივების ლევერაჟი	მთლიანი აქტივები/ კაპიტალი	
კაპიტალი შემოსავლიანობა	NPAT/ კაპიტალი, (%)	

<b>მომგებიანობა</b>		
საერთო მოგება / გაყიდვები (%)		ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
წმინდა ოპერაციული მოგება / გაყიდვები (%)		
მოგება დაბეგრამდე / გაყიდვები (%)		
გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა (ROCE)		
ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობა (ROIC)		
აქტივების შემოსავლიანობა (ROA)		
<b>ოპერაციული ეფექტიანობა</b>		
მარაგები დღე		შემცირება - კარგი, ზრდა - ცუდი
დებიტორი დღე		შემცირება - კარგი, ზრდა - ცუდი
კრედიტორი დღე		ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
ფინანსური გეპი (დებიტორი + მარაგები - კრედიტორი)		შემცირება - კარგი, ზრდა - ცუდი
<b>ფინანსური სტრუქტურა</b>		
მიმდინარე კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები	ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
სწრაფი კოეფიციენტი	(ფული+საბაზრო ფასიანი ქაღალდები+მისაღები ანგარიშები	ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
სამუშაო კაპიტალი	მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები	ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
საერთო ბერკეტი (%)	მთლიანი ვალდებულებები/საკუთარი კაპიტალი	< 25% - დაბალი რისკი 25 - დან 50 % -მდე - ნორმალური; > 50% - ცუდი
წმინდა ბერკეტი (%)	(მთლიანი ვალდებულებები - ფული და ფულის ექვივალენტი) /საკუთარი კაპიტალი	< 25% - დაბალი რისკი 25 - დან 50 % -მდე - ნორმალური; > 50% - ცუდი
კრედიტუნარიანობა	EBIT/საპროცენტო ხარჯი	ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი

ფულადი ნაკადების კოეფიციენტები		
EBITDA / გაყიდვები (%)		ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
წმინდა ოპერაციული ფულის ნაკადი / გაყიდვები		ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი
ფულის მოძრაობა დაფინანსებამდე / გაყიდვები		ზრდა - კარგი, შემცირება - ცუდი

ამ ანალიზის შედეგი უნდა იყოს დასკვნა თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია კომპანია, რამდენად ძლიერია მისი დარგობრივი და კონკურენტული პოზიციები. მართალია, ის ვერ იძლევა ცალსახა პასუხს, რა არის კარგი ან ცუდი. მაგრამ, მაკრო და დარგობრივი ფაქტორების სრულად გათვალისწინების შემთხვევაში, ფინანსურ კოეფიციენტურ ანალიზს შეუძლია საფუძვლიანად შეაფასოს კომპანიის პერსპექტივები.

აქ არის სამი პრობლემა, რომლებიც იმსახურებს ყურადღებას:


- ოპერაციული ციკლის ეფექტიანობა - ოპერაციული რისკი
- საქმიანობის შედეგიანობა - მომგებიანობის რისკი
- ფინანსური სტრუქტურა - ფინანსური რისკი

ეს სამი რისკის დონე მეტყველებს თუ როგორია კომპანიის მდგომარეობა ხარისხობრივ და რაოდენობრივ განზომილებაში[4,7]. ოპერაციული ციკლი იწყება ფულით, რომლის საშუალებით ხდება ნედლეულის შეძენა, რომელსაც წარმოების ციკლი გარდაქმნის მზა პროდუქციაში. შემდეგ, კომპანია აწვდის მზა პროდუქციას კლიენტებს და უწევს დაუცადოს მათგან გადახდებს. რამდენადაც სწრაფად სრულდება ეს, იმდენად მცირეა ოპერაციული რისკი. თუ მზა პროდუქცია იყიდება ნელა და გადახრებიც ნელია, მაშინ კომპანიას უწევს გარეთ ეძებოს საჭირო ფინანსები, რაც ზრდის ფინანსურ ხარჯებს და ამცირებს მოგებას. ლიტერატურაში, ეს მდგომარეობა ცნობილია ბიზნეს რისკის სახელით.

ფინანსურ მოდელში რეალიზებულია ანალიზის კიდევ ორი მოდული, რომლებიც მენეჯმენტს ეხმარება დაინახონ ფინანსურ და ოპერაციულ ცვლადებში გამოსახული კომპანიის საქმიანობის ძირითადი შედეგები.


ნახ. 9 - ზე მოცემულია შედეგობრივი მაჩვენებლების ჩამონათვალი და მათი ცვლილების გრაფიკები.

ნახ. 9



თვალსაჩინოებისა და აღქმის გამარტივების მიზნით, მენეჯმენტის ანალიზის მოდული, MA, ფინანსურ კოეფიციენტებს წარმოადგენს (ნახ. 10) რაოდენობრივად, გრაფიკულად და მათი ცვლილების ტრენდს.

ნახ. 10



### კაპიტალის ღირებულების მოდელი

ბიზნესის საინვესტიციო გადაწყვეტილებები დიდად არის დამოკიდებული კაპიტალის ღირებულებაზე. საინვესტიციო პროექტის შეფასებისას, მენეჯმენტი განსაზღვრავს საჭირო კაპიტალის რაოდენობას და მის ღირებულებას. მხოლოდ ის საინვესტიციო პროექტები იმსახურებს ყურადღებას, რომელთა სავარაუდო შემოსავლიანობა აღემატება კაპიტალის ღირებულებას. ასე რომ, კაპიტალის ღირებულება უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში. კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულება(WACC)<sup>26</sup> არის ის მინიმუმი, რომელსაც დიდი ალბათობით უნდა გვიპირდებოდეს განსახილველი საინვესტიციო პროექტი.

WACC მოიცავს ორ კომპონენტს - საკუთარ კაპიტალს და ვალდებულებებს. მოდელში კაპიტალის ღირებულება ფასდება კაპიტალ აქტივის შეფასების მოდელით (CAPM)<sup>27</sup> და ზრდის მოდელით [3, 12 ]. კაპიტალის ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორებს შორის მოდელში გათვალისწინებულია შემდეგი:

- მოკლე და საშუალო ვადიანი საპროცენტო გარემო;
- საბაზრო და ინდივიდუალური რისკები;
- ფინანსური ბაზრის მდგომარეობა და კაპიტალთან წვდომადობა.

მოდელში გამოყენებულია ლევერაჟირებული და არალევერაჟირებული β. კაპიტალის ღირებულება ცვალებადია და ის დამოკიდებულია კომპანიის უნარზე გააგრძელოს სესხება. თუმცა, სესხების ზრდას თან სდევს ფინანსური რისკის ზრდა და, შესაბამისად, ახალი სესხის პროცენტის ზრდა. აქედან გამომდინარე, კაპიტალის

<sup>26</sup>  $WACC = w_d r_d (1 - T) + w_{ps} r_{ps} + w_{cs} r_s$

<sup>27</sup>  $r_s = r_{RF} + (RP_M) \beta_s$

ღირებულების მოდელში მიზანშეწონილია არა არსებული ვალდებულებების პორტფელის საშუალო საპროცენტო განაკვეთის გამოყენება, არამედ უმჯობესია გამოვიყენოთ ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

ბეტა კალკულაცი ითვლება სპეციალურად ამ მიზნისთვის დამუშავებული პროგრამის გამოყენებით, რომლის შედეგების ილუსტრაციას წარმოადგენს ნახ. 11.


კაპიტალის ღირებულების ზრდის მოდელში მონაწილეობს დივიდენდის ზრდის გ ცვლადი, რომლიც ითვლება შემდეგი ფორმულით:


$$g = \left( \frac{\text{FinalDividend}}{\text{StartingDividend}} \right)^{1/\text{NumberofPeriod}} - 1$$

კაპიტალის ღირებულების შეფასების ზრდის ზრდის მოდელის რეალიზაცია ნაჩვენებია ნახ. 12 - ზე. როგორც ამ ნახატიდან ჩანს, მოცემულ პირობებში, ზრდის განაკვეთი უდრის 14,7%, ხოლო კაპიტალის ღირებულება 16,19%.

კაპიტალის კიდევ ერთი კომპონენტი შეიძლება იყოს პრიველეგირებული აქციები, რომელთაც არ აქვთ ხმის უფლება. მათ აქვთ როგორც კაპიტალის, ასევე ვალის მახასიათებელი. მაგალითად, თუ პრიველეგირებული აქციაზე დივიდენდი არის 6, ხოლო პრიველეგირებული აქციის საბაზრო ფასი არის 0.6, მაშინ კაპიტალი პრიველეგირებული კომპონენტის ღირებულება იქნება  $6/0.6 = 10\%$ .

ნახ. 11






ნახ. 12

სასესხო ვალდებულებების ღირებულება გამოითვლება შემდეგი მარტივი ფორმულით:

$$r_d = \frac{\text{გადახდილი პროცენტი}}{\text{სესხების საშუალო რაოდენობა}}$$

WACC პროგრამის შემავალი და შედეგობრივი მონაცემები წარმოდგენილია ნახ. 13 - ზე. კალკულაციაში შესაძლებელია 4 მოდელის გამოყენება, სადაც პირველი არის CAMP, მეორე - ზრდის, მესამე - ობლიგაციის მეთოდი, და მეოთხე - პირველი ორის საშუალო.


ნახ. 13






ექსელის ამ ფურცლის გაგრძელება წარმოადგენს მგრძნობელობითი ანალიზის შედეგების მატრიცა (ნახ. 14), სადაც ცვალებადია კაპიტალის ღირებულება და სესხების ღირებულება. ნახ. 14 წარმოდგენილია ამ ანალიზის 3 გრაფიკი, რომლებიც შეესაბამება სესხის მიწიმაღლურ, საშუალო და მაქსიმალურ ღირებულებებს.

ნახ. 14



ექსელის ამ წიგნის ბოლო მოდულია კაპიტალის ზღვრული ღირებულების მოდელი. ამ მოდელის სტრუქტურა, შემავალი და შედეგობრივი ცვლადები წარმოდგენილია ნახ. 15 - ზე.

ნახ. 15



**საინვესტიციო პროექტის შეფასების მოდელი**

კომპანიებს უწევთ ინვესტირება პროექტებში, რომელთა შედეგი უნდა იყოს პოზიტიური ფულის ნაკადები იმისთვის, რომ იზრდებოდეს მათი ღირებულება და კაპიტალის მომწოდებლები სათანადოდ იყვნენ ანაზღაურებული. ეს რომ მოხდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტის შემოსავლიანობა უნდა აღემატებოდეს WACC - ს.

ამ პარაგრაფში ჩვენ განვიხილავთ მოდელს, რომელიც შექმნილია საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით. მოდელი რეალიზებულია ექსელის ფურცელზე VBA ენაზე დაწერილი IPAM - ის საშუალებით. საწყის მონაცემების საფუძველზე (ნახ. 16), მოდელი აფორმირებს პროექტის მოგება-ზარალის, ბალანსის და ფულის მოძრაობის ანგარიშებს.

ნახ. 16.

Investment Project Estimate Model		Show UserForm	Close
Scenario Name	??	Sales Volume S&A cost	
Prepared by	Project Management	Jan-21	50,000 (125,000)
Product Name and Code	MJD-987	Jan-22	50,000 (125,000)
Manager	??	Jan-23	50,000 (125,000)
Start Date	1-Jan-21	Jan-24	50,000 (125,000)
Initial Investment	1,000,000.00	Jan-25	50,000 (125,000)
Initial Sales Price per Unit	50.00		
Annual Price Change	(5.00%)		
Initial Cost per Unit	40.00		
Annual Cost Decrease	(10.00%)		
Project Life (yrs)	5.00 3/5/7/10/15/20		
Residual Value	0.00%		
Working Capital as % of Sales	10.00%		
Cost of Capital	13.00%		
Cost of Funds	10.00%		
Tax Rate	30.00%		
Tax Payment Delay	0.00		
Depreciation Tax Method:	The Accelerated Cost Recover		
Finance Lease or Buy	Buy Equipment		
	Arrers		

მოდელში გათვალისწინებულია პროექტის დაფინანსების საკუთარი და ლიზინგური ვარიანტი. ასევე გათვალისწინებულია ცვეთის რამდენიმე ვარიანტი და გადახდების წარმოების ორი ვარიანტი - პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს.

ამ მონაცემებისა და აღნიშნული მახასიათებლების შერჩეული ოპციების საფუძველზე, პროგრამა ითვლის პროექტის უკუგების პერიოდს, ბუღალტრულ შემოსავლიანობას, მიმდინარე წმინდა ღირებულებას (NPV), მომგებიანობის შიდა განაკვეთს (IRR) და სარგებელი/ზარჯი კოეფიციენტს. ეს შედეგები წარმოდგენილია მომდევნო ნახ. 17 - ზე.

ნახ. 17

	Buy	Lease
Payback Period, yr	3.1	2.5
Discounted Payback, yr	3.2	2.5
Accounting Rate of Return	59.83%	66.04%
Present Value at of Dicounted Cash Inflows	1,599,233	1,599,233
Less Initial Investment	(1,000,000)	(1,000,000)
NPV	599,233	599,233
Internal Rate of Return (IRR)	22.6%	17.5%
Benefit : Cost Ratio	159.9%	159.9%

IPAM - ჩართულია პროცედურა, რომელიც ასრულებს პროექტის მგრძობელობის ანალიზს რამდენიმე ცვლადის მიმართ. შედეგების სენსიტიურობა ნაჩვენებია ნახ. 18 -ზე.

ნახ. 18

(A) Sensitivity - Across: Seles Price per Unit and Down: Cost of Funds							
Data Teble Interval							
Initial Sales Price per Unit:				50.00			
Cost of Funds:				10.00%			
	47	48	49	50	51	52	53
8.00%	273,004	407,602	542,200	676,798	811,397	945,995	1,080,593
9.00%	241,279	373,306	505,333	637,360	769,388	901,415	1,033,442
10.00%	210,632	340,166	469,699	599,233	728,767	858,300	987,834
11.00%	181,020	308,134	435,248	562,362	689,476	816,590	943,704
12.00%	152,397	277,163	401,929	526,695	651,461	776,227	900,993

(B) Sensitivity - Across: Seles Price per Unit and Down: Inialil Cost per Unit							
Data Teble Interval							
Initial Sales Price per Unit:				50.00			
Initial Cost per Unit:				40.00	50		
	47	48	49	50	51	52	53
38.00	449,039	578,573	708,107	837,640	967,174	1,096,707	1,226,241
39.00	329,836	459,369	588,903	718,437	847,970	977,504	1,107,037
40.00	210,632	340,166	469,699	599,233	728,767	858,300	987,834
41.00	91,429	220,962	350,496	480,030	609,563	739,097	868,630
42.00	(27,775)	101,759	231,292	360,826	490,360	619,893	749,427

(A) ვიჩვენებს NPV – ის სენსიტიურობას გაყიდვების რაოდენობისა და ფონდების ღირებულების მიმართ; ხოლო (B) - ში ნაჩვენებია NPV – ის სენსიტიურობა გაყიდვების რაოდენობისა და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების მიმართ.

ამ ანალიზში არ არის ჩართული რისკის შეფასება, რაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და გათვალისწინებული იქნება ფინანსური მოდელირების თემის დამუშავების მომდევნო საფეხურზე, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება კომპანიის შეფასების მოდელის შექმნა და რეალიზება.

### დასკვნა

ფინანსურ მოდელს შორის ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა მოგება-ზარალის, ბალანსის და ფულის მოძრაობის ანგარიშების მოდელები. ამ ანგარიშების მოდელები რეალიზებულია Excel - ის გარემოში, სპეციალურად ამისთვის შექმნილი პროგრამული მოდულების სახით. ეს პროგრამები დინამიურად აკავშირებენ ერთმანეთთან ამ ანგარიშების კონკრეტულ მუხლებს. მათი და მიღებული დაშვებების ერთობლიობის ნებისმიერი ცვლილება სწრაფად და საჭირო სიზუსტით აისახება ამ სამი ტიპის ანგარიშებზე. მნიშვნელოვანია ამ პროცესის მეთოდოლოგიური გამართულობა, რომელიც ეფუძნება ბუღალტრული, ფინანსური და Excel - ის შესაძლებლობების ცოდნას.

ფინანსური ანგარიშების ან ფინანსური ბიუჯეტის პროექტირება ითხოვს შესაბამისი პროგნოზირების მეთოდების გამოყენებას. განსახილველი დროითი მწკრივის ბუნებისა და საპროგნოზო პერიოდის გათვალისწინებით, დამუშავებულია

პროგნოზირების რამდენიმე მოდელიდან უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც მაქსიმალურად პასუხობს გაყიდვებისა და ხარჯების პროგნოზირების დასახულ ამოცანებს.

ფინანსური მოდელირების მნიშვნელოვანი კომპონენტია კაპიტალის ღირებულების (AWCC) განსაზღვრა. ამ მიზნით, შექმნილია სპეციალური პროგრამული მოდული, რომელიც კაპიტალის ღირებულების რამდენიმე მეთოდის გამოყენებით განსაზღვრავს AWCC - ს. შემდეგ, ეს გამოყენებულია საინვესტიციო პროექტების შეფასების პროგრამული მოდულში, რომელიც იძლევა საინვესტიციო პროექტების ისეთი მახასიათებლების შეფასებას როგორცაა - NPV, IRR და კოეფიციენტი - სარგებელი პროექტიდან / ხარჯი. პროექტის შედეგიანობის სენსიტიური ანალიზი სრულდება ისეთ ცვლადებთან მიმართებით როგორცაა - გაყიდვების ფასი, ფონდის ღირებულება და ერთეული პროდუქციის ხარჯი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Bernard, T. A. (2004) Time series Forecasting using Holt-Winters Exponential Smoothing. Kanwal Rekhi School of Information Technology.
2. Brealey, R.A. and Myers, S. (1999) Principles of Corporate Finance, 6<sup>th</sup> edn, McGraw-Hill.
3. Brigham, E. F. and Ehrhardt, M. C. (2005) Financial Management, 11<sup>th</sup> edn, Thomson South-western.
4. Day, A. (2005) Mastering Financial Mathematics in Excel, Financial Times, Prentice Hall.
5. Fairhurst D. S. (2017) Financial Modeling in Excel For Dummies 1st Edition, Wiley & Sons.
6. Fraser, L. M. (2001) Understanding Financial Statements, Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
7. Hanke, J. and Wichern, D. (2008) Business Forecasting 9th ed. London: Pearson
8. Holt, C. C. (2004) Forecasting Seasonal and Trends by Exponentially Weighted Moving Average. International Journal of Forecasting 20, p. 5-10.
9. Kendall, M. G., Stuart, A. & Ord, J. K. (1983) Kendall's advanced theory of statistics. Vol. 3, Hodder Arnold, London.
10. Makridakis, S., Wheelwright, S. C. & Hyndman, R.J. (1998) Forecasting: methods and applications, 3rd edn, John Wiley & Sons, New York.
11. Richard A. Brealey; Stewart C. Myers; Brattle Group (2003) Capital Investment and Valuation. McGraw-Hill Professional.
12. Walsh, C. (2005) Management Ratios: Master the Management Metrics that Drive and Control Your Business, Prentice Hall.
13. Winters P. R. (1960) Forecasting Sales by Exponentially Weighted Moving Averages. Management Science 6, p. 324-342.

*Givi Lemonjava*

*Associated Professor of Georgian University*

## COMPANY FINANCIAL MODELING AND FORECASTING

### Expanded Summary

Any kind of business activity depends on finances, which needs proper management. The function of financial management is to obtain the necessary funds and use them effectively. Financial economics is based on macro and micro principles of economics. Investment

decisions take into account the existing macro and micro environment. The accounting system creates an information base that helps financial managers make decisions. These two areas are closely related. Financial management methods use mathematics and mathstats called econometrics. The discount factor, time value of money, cost of capital(WACC), capital structure theory, dividend theories, ratio analysis and working capital analysis are widely use in financial management. Any kind of business activity depends on finances, which ere important component of company management is financial management.

The financial model processes data with high accuracy and quickly transforms it into financial information. It allows to thoroughly study the variables involved in the financial analysis, to identify the critical ones and to evaluate their sensitivity. A financial model can create a picture of the future and be used as a financial forecasting tool. A financial model can also be used to find solutions to a specific business problem.

The financial model includes three financial accounts. The first is the profit and loss account, the second is the financial position, the balance sheet and the third is the cash flow account. The financial model dynamically links the items of these three accounts through formulas. All reports are integrated so that changes in the initial data or assumptions are quickly realized and updated financial reports are created. The financial reporting model is based on international financial and accounting standards.

The goals of financial modeling are: 1) Business assessment; 2) Capital attraction; 3) Business growth; 4) Purchase of businesses; 5) Sale of business assets; 6) Distribution of capital; 7) Budgeting and forecasting (planning for the years ahead); 8) Capital allocation (priority of which projects to invest in); 9) Valuing a business; 10) Financial statement analysis/ratio analysis; 11) Management accounting.

Financial analysts use appropriate financial models for the listed purposes. Models help management to make informed decisions. The business model is based on a set of basic assumptions, on the basis of which calculations necessary for financial analysis and evaluations are made.

Financial models are proposed in the work, on the basis of which the formation and forecasting of three financial reports, ratio analysis, evaluation of project effectiveness and sensitivity analysis of critical variables are done. The practical implementation of these models is done in the Excel environment with computer programs created in the VBA programming language. Computer programs are a good way to quickly, with the desired accuracy, make the effect of changing one part of the parameters included in the models on the other parts.

The financial model includes three financial statements. The first is the profit and loss account, the second is the financial position, the balance sheet and the third is the cash flow account. The formulas included in the financial model dynamically link the participating items of this report. These reports are integrated into the model in such a way that any changes in the parameters and variables involved in the reports are properly reflected and the financial reports are updated.

Although the structure of a financial plan can vary from company to company, in most cases the main components of most corporate financial plans are: 1) the income statement, 2) the balance sheet, and 3) the cash flow statement. As for the financial forecast, it evaluates the future results of the activity. The practice of forecasting involves four types of tasks: 1) forecasting sales, 2) forecasting cash flows, 3) forecasting budgets, and 4) forecasting revenues and expenses. Budgeting and financial planning are then based on these forecasting results.

Within the framework of forecasting, the assessment and analysis of the factors that have an impact on the resulting variables is carried out. Here, the big problem is that, in many cases, the degree of uncertainty is not known in advance, which increases the risk that the predicted variables deviate from the real ones. In order to reduce forecasting errors, it needs to be done with a proper modeling procedure, which must necessarily mean revising the basic assumptions of the model.

Linear trend, moving average, exponential smoothing models (with trend and seasonality components) and autoregressive integrated moving average model (ARIMA) are used to forecast sales and other variables.

Financial ratios are an important tool of financial analysis. The results of the company's activities are sufficiently correctly and thoroughly interpreted using financial ratios. The previous three models above discussed form the input data for analysis. The result of this analysis should be a conclusion on how viable the company is, how strong its industry and competitive positions are.

Business investment decisions are highly dependent on the cost of capital. When evaluating an investment project, management determines the amount of capital required and its cost. Only those investment projects are worthy of attention, whose expected return exceeds the cost of capital. So, the cost of capital is the most important indicator in making an investment decision. The weighted average cost of capital (WACC) is the minimum that the investment project under consideration should most likely promise.

WACC includes two components - equity and liabilities. In the model, the cost of capital is estimated by the capital asset valuation model (CAPM) and the growth model [3, 12]. Among the factors affecting the cost of capital, the model includes the following: 1) short and medium term interest environment; 2) market and individual risks; 3) Financial market situation and access to capital.

Leveraged and non-leveraged  $\beta$  are used in the model. The cost of capital is variable and depends on the company's ability to continue borrowing. However, the increase in loans is accompanied by an increase in financial risk and, therefore, an increase in interest on new loans. Therefore, in the cost of capital model, it is appropriate not to use the average interest rate of the portfolio of existing liabilities, but it is better to use the marginal interest rate.

An important component of financial modeling is determining the cost of capital (AWCC). For this purpose, a special software module has been created that determines the AWCC using several capital cost methods. Then, this is used in the software module for the evaluation of investment projects, which allows the evaluation of such characteristics of investment projects as - NPV, IRR and the ratio - benefit from the project / cost. A sensitive analysis of the project's effectiveness is performed with respect to such variables as - sales price, cost of funds and unit cost of production.

Companies need to invest in projects that must result in positive cash flows in order to increase their value and to adequately compensate capital providers. An important component of financial modeling is determining the cost of capital (AWCC). For this purpose, a special software module has been created that determines the AWCC using several capital cost methods. Then, this is used in the software module for the evaluation of investment projects, which allows the evaluation of such characteristics of investment projects as - NPV, IRR and the ratio - benefit from the project.

**Keywords:** financial modeling, three statements financial model, financial statement ratio-analyses, sales forecasting methods, investment projects valuation, weighted average cost of capital (WACC), net present value (NPV), internal rate of return (IRR).

სამართაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები – INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS

**რევაზ ჯავახიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, თსუ პ. გუგუშვილის სახ.  
ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი

**საქართველო შუა დერეფანში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები**

**ანოტაცია.** თანამედროვე პირობებში, მსოფლიოში განვითარებული ახალი მოვლენების ფონზე, კვლავ გააქტიურდა შუა დერეფნის მიმართ ინტერესი. ნაშრომში განალიზებულია საქართველოს, როგორც ამ დერეფნის სტრატეგიული სატრანზიტო-სატრანსპორტო კვანძის, წინაშე არსებული გამოწვევები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დერეფნის გამტარუნარიანობის, ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამალღებაზე, რაშიც რკინიგზის, ავტომაგისტრალის, საზღვაო პორტებისა და ტერმინალების ინფრასტრუქტურის სრულყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს შავი ზღვის ქვეშე ელექტროგადამცემი კაბელის გაყვანისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტების დაჩქარებულმა განხორციელებამ.

სატრანზიტო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სრულყოფის, დერეფნის ფუნქციონირებაში უახლესი ციფრული ტექნოლოგიებისა და მართვის საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის საფუძველზე, იგი შეიძლება მაღალკონკურენტულ მარშრუტად და ერთიან ლოგისტიკურ ქსელად ჩამოყალიბდეს. საქართველო კი, მისი გეოპოლიტიკური უპირატესობიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში შეიძლება არამხოლოდ კავკასიის რეგიონული ჰაბი, არამედ ევროპა-აზიის კონტინენტების დამაკავშირებელი ალტერნატიული მაღალკონკურენტიანი დერეფანი გახდეს.

**საკვანძო სიტყვები:** შუა დერეფანი, სატრანზიტო კვანძი, სატრანსპორტო დერეფანი, გამტარუნარიანობა, ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა, ევროპული ბაზრები, სატრანსპორტო გადაზიდვები, ტვირთბრუნვა.

\*\*\*\*

უმველესი დროიდან ევროპა-აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები საქართველოზე გავლითაც ხორციელდებოდა. სწორედ ამ გზით შექმნდა ჩინეთს ევროპულ ქვეყნებში თავისი მაღალხარისხიანი აბრეშუმის, რის გამოც ამ მაგისტრალს „დიდი აბრეშუმის გზა“ ეწოდა. შემდგომში, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, ამ გზას გარკვეულწილად დაუკარგა თავდაპირველი აქტუალობა, მაგრამ ცალკეულ მონაკვეთებზე იგი მაინც მოქმედებდა და ასრულებდა თავის სატრანზიტო ფუნქციას.

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე განხორციელებულმა უმნიშვნელოვანესმა ისტორიულმა მოვლენებმა: საბჭოთა კავშირის დაშლამ და ყოფილი რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამ, იაპონიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და ინდოეთის წარმატებულმა ეკონომიკურმა აღმავლობამ, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაჩქარებულმა ეკონომიკურმა განვითარ-

რებამ და ევროპულ და მსოფლიო ბაზრებთან ინტეგრირების სწრაფვამ, კვლავ დღის წესრიგში დააყენა ევროპა-კავკასია-აზიის ძველი ისტორიული სატრანსპორტო დერეფნის ხელახალი აღორძინება. 1990 წლის ვლადივოსტოკის საერთაშორისო კონფერენციაზე გაცხადდა ძველი „დიდი აბრეშუმის გზის“ თანამედროვე მრავალფუნქციურ სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნად ფორმირების იდეა, რომლის ხორცშესხმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1993 წელს ბრიუსელში ევროკავშირის ეგიდით ჩატარებულმა საერთაშორისო კონფერენციამ დასაბამი მისცა ტასისის ფარგლებში მსხვილმასშტაბიანი რეგიონული ტექნიკური დახმარების პროგრამის ჩამოყალიბებას, რომელსაც ეწოდა “ტრასეკა” /სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიისთვის/. მის ჩარჩოებში 1995-2010 წლებში განხორციელდა არაერთი ტექნიკური დახმარების პროექტი, რამაც უზრუნველყო მისი წევრი ქვეყნების სატრანსპორტო სისტემების ინსტიტუციონალური განვითარება და მართვის რეფორმირება, მათი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და დასავლურ მოთხოვნებთან შესაბამისობა, საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვების, საზღვრის კვეთის გამარტივება და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების სრულყოფა.

შუა დერეფნის ამოქმედების საწყის ეტაპზე მისი საქმიანობის შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. 1995-2002 წწ. საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვა 4-ჯერ, ხოლო 2002-2008 წლებში 40%-ით გაიზარდა, სადაც სატრანზიტო ტვირთების წილი 85%-ს აღწევდა. ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა საავტომობილო ტრანსპორტის (შესაბამისად 3,6-ჯერ და 1,6-ჯერ) და ბათუმისა და ფოთის პორტების ტვირთბრუნვის მაჩვენებლებიც, სადაც იგი 2000-2010 წწ. შესაბამისად უდრიდა 30%-სა და 91%-ს [2].

თუმცა, ბოლო პერიოდში საზღვაო გადაზიდვებისა და პანდემიის მხრივ არსებული პრობლემების ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩრდილოეთის მარშრუტის როლი, რომელიც რუსეთზე გავლით ჩინეთს აკავშირებს ევროპასთან. ამ სარკინიგზო მარშრუტით ჩინეთიდან ტვირთი გადაიზიდება ჯერ ყაზახეთში, იქიდან რუსეთში, შემდეგ კი ბელორუსიის გავლით ევროკავშირში.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთის მიმართულებების პარალელურად ჩინეთი, თურქეთი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბევრი ქვეყანა დიდი ხანია ცდილობდნენ ალტერნატიული მარშრუტის - შუა დერეფნის ამოქმედებას. ეს ყველაწინააღმდეგარად აწყობს ჩინეთს, ვინაიდან იგი ამრავალფეროვნებს ევროპასთან სავაჭრო გზებს, აფართოებს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და, იმავდროულად, კონკურენციას უწევს რუსეთის ინტერესებს ცენტრალურ აზიაში. თურქეთსაც აქვს თავისი ინტერესები თურქულენოვან ცენტრალურ კავკასიაში, სადაც იგი დიდი ხანია ცდილობს უფრო ძლიერად ფეხის მოკიდებას. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის კი შუა დერეფნის სრულყოფილი ამოქმედება საგრძნობლად ამძლიერებს მათ სატრანზიტო ფუნქციებს და, იმავდროულად, გვერდს უვლის მათთვის ნაკლებად სასურველ და ნაკლებად სანდო პარტნიორებს - რუსეთსა და ირანს, აგრეთვე, ინდოეთის ოკეანის ტრადიციულ საზღვაო მარშრუტს.

შუა დერეფნის მიმართ დიდი ინტერესის მიუხედავად, დღემდე მისი როლი ჩინეთ-ევროკავშირის შორის ტვირთების გადაზიდვაში მაინც უმნიშვნელოა (დაახლოებით 10%) ტრანსპორტირების დროის ხანგრძლივობისა და სიძვირის გამო. საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციის მონაცემებით, შუა აზიიდან ევროპის მიმართულებით შუა დერეფნით ტვირთების სარკონოგზო-საკონტინერო გადაზიდ-



ვები 22%-ით ძვირი და 50%-ით ხანგრძლივია, ჩრდილოეთის მარშრუტთან შედარებით [10]. გარდა ამისა, ჩრდილოეთის მარშრუტი ძირითადად ერთ ქვეყანაზე (რუსეთზე) გადის და მოიცავს მხოლოდ რკინიგზას, განსხვავებით შუა დერეფნისა, სადაც ტვირთბრუნვა ხორციელდება საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების კომბინაციით და არაერთ ქვეყანაზე გავლით, რომლის დროსაც საჭიროა მრავალი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება.

შუა დერეფნის განვითარებაში სერიოზული წინსვლა დაიწყო 2014 წელს ტრანსკაზახეთის, ხოლო 2017 წელს კი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გახსნით, მარშრუტის სრული გზა კი, პირველმა მატარებელმა გაიარა მხოლოდ 2019 წელს. რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედების დაწყებამ ევროპის დღის წესრიგში დააყენა ენერგომატარებლებისა და სხვა ტვირთების გადაზიდვების ალტერნატიული გზების ძიების საკითხი. დასავლეთის მიერ რუსეთისთვის სანქციების დაწესებამ კი აზია-ევროპის დამაკავშირებელი ალტერნატიული მარშრუტი - შუა დერეფანი საგრძნობლად გამოაცოცხლა. ჩინეთს ევროპასთან, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გავლით (რუსეთის გვერდის ავლით), ახლა შუა დერეფანიც აკავშირებს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია საქართველო.

სამწუხაროდ, ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებას ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევებით შეხვდა: საქართველოს რკინიგზა, ავტომაგისტრალი, საზღვაო პორტები და ტერმინალები მოსალოდნელი ტვირთების გადაზიდვისთვის მზად არ აღმოჩნდა, შეჩერებულია ანაკლის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაც. ეს მაშინ, როდესაც ბოლო წლებში შუა დერეფნით გადაზიდული ტვირთების მოცულობა სისტემატურად იზრდება და მომავალში იგი უფრო სწრაფად გაიზრდება, რაც თავისთავად გულისხმობს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებული პრობლემების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტას. ამ მხრივ იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ 2022 წლიდან დერეფნის გამოყენებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინეს უცხოურმა - ავსტრიულმა, გერმანულმა, დანიურმა, ფინურმა და ნიდერლანდურმა წამყვანმა გადამზიდვმა კომპანიებმა, რომელთაც დერეფნის გამოყენება დაიწყეს მაღალი ფასის, ხანგრძლივი დროისა და შესაძლო არასტაბილურობის პირობებში. თუმცა, დადებით მომენტი აქ ისაა, რომ დერეფნის გზაზე არცერთ ქვეყანას ევროკავშირისგან დაწესებული არ აქვს სანქციები.

ბოლო წლებში შეიმჩნევა შუა დერეფნის გარკვეული გააქტიურება. ომის, სანქციებისა და რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის დერეფანში ტვირთების გადაზიდვის გაძვირების, უსაფრთხოებისა და ლოგისტიკური პრობლემების გამო, ბოლო წლებში შუა დერეფანში ტვირთბრუნვა სისტემატურად იზრდება. მისი მემკვიდრით გადაზიდვები 2020 წელს 350 ათასი ტონიდან 2021 წელს - 530 ათას ტონამდე, ხოლო 2022 წელს კი, წინა წელთან შედარებით, 6-ჯერ გაიზარდა და 3,6 მლნ ტონას მიაღწია. ნავარაუდევია, რომ დერეფნის გამტარუნარიანობა 2025 წლისთვის 10 მლნ ტონამდე გაიზრდება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მისი წილი აზია-ევროპას შორის ტვირთების მოძრაობაში, ჩრდილოეთის მარშრუტთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა. ჩრდილოეთის მარშრუტით ჯერ კიდევ 2020 წელს გადაიზიდა 144 მლნ ტონა ტვირთი - 14-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე 2025 წელს უნდა გაატაროს შუა დერეფანმა [12]. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, ისმის კითხვა რამდენად შეუძლია შუა დერეფანს ჩრდილოეთის მარშრუტის ჩანაცვლება და რა აფერხებს მის განვითარებას?

შუა დერეფნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია მისი სიძვირე და არასანდოობა, რაც განპირობებულია რიგი ინფრასტრუქტურული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური გამოწვევებით:

- დერეფანში ტვირთები გადაიზიდება სახმელეთო და საზღვაო გზების კომბინაციით, რომელიც საჭიროებს ერთიდან მეორეზე სწრაფ და ეფექტიან გადაწყობას, რაც ხშირად ვერ ხერხდება პორტებისა და ტერმინალების დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის და ინტერმედიალური სატრანსპორტო სერვისების განუვითარებლობის გამო;
- კასპიის ზღვაში სატრანსპორტო გემების, საქართველოსა და აზერბაიჯანში კი - გადასაზიდი ვაგონების სიმცირე;
- კასპიის ზღვის რთული კლიმატური პირობები. უამინდობისა და ძლიერი შტორმების გამო, აზერბაიჯანში ზოგჯერ კვირეებით ფერხდება საბორნე გადაზიდვები;
- ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი და საზღვრის კვეთის სხვა ბარიერები;
- დერეფანში ერთიანი სატარიფო პოლიტიკა და ძალისხმევის არარსებობა ტვირთების მოზიდვისა და შეუფერხებელი ტრანსპორტირებისთვის;
- დერეფნის გაუციფრულება, რათა ტვირთის მოძრაობა, მისი კონტროლი და უსაფრთხოება უფრო მოქნილი და პროგნოზირებადი გახდეს;
- პოლიტიკური არასტაბილურობა.

შუა დერეფნის ქვეყნებისთვის ეს გამოწვევები კარგადაა ცნობილი, რომელთა დასაძლევად გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, რაც აისახა 5-წლიან რუკაში, რომელიც ყაზახეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა შეათანხმეს ერთმანეთთან 2022 წლის ნოემბერში. საჭიროა მომავალში დერეფნის ქვეყნების ძალისხმევის გაძლიერება საზღვაო და სახმელეთო გზების ტექნიკური მოდერნიზაციის, საზღვაო პორტებისა და ტერმინალების ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების, სატარიფო პოლიტიკის სრულყოფის, ერთიანი შეჯერებული ლოგისტიკური ციკლის ფორმირებისა და სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით.

რაც შეეხება საკუთრივ ელექტროენერგეტიკის სფეროს, ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ევროპის მიმართულებით შავი ზღვის ქვეშ ელექტროგადამცემი კაბელის გაყვანის პროექტის შექმნა. თანამედროვე მსოფლიოში, ეს ყველაზე გრძელი წყალქვეშა გადამცემი ხაზი, ერთმანეთს დააკავშირებს საქართველოსა და რუმინეთს, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში აზერბაიჯანული ელექტროენერგია გაიყიდება ევროპის ქვეყნებში. შავ ზღვაში ელექტრო კაბელის გაყვანას არა მხოლოდ დიდი ეკონომიკური, არამედ სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს. საქართველო ევროკავშირის ენერგოგაერთიანების წევრია, მაგრამ დღემდე მას პირდაპირი კავშირი არ აქვს ევროკავშირის ენერგოსისტემასთან. ამ კაბელის გაყვანის შემდეგ კი საქართველოს პირდაპირი ფიზიკური შეხება ექნება ევროენერგოგაერთიანებასთან. გარდა ამისა, კაბელს დასჭირდება დაცვა და ფუნქციონირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რის გამოც მნიშვნელოვნად გაფართოვდება ქმედებები შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოების დასაცავად.

კაბელი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებასა და დააჩქარებს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პრო-

ცეს. ამასთან, ახალი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა ქვეყანამ შეიმუშავოს ენერგეტიკის განვითარების განახლებული სტრატეგიული გეგმა და განსაზღვროს მისი პრიორიტეტები. საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა არა მხოლოდ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არამედ, შესაძლო შემთხვევაში, ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტისთვისაც.

სადღეისოდ, საქართველოს სატრანზიტო-სატრანსპორტო კვანძის მთელი სიმძლავრით ამოქმედებისა და მისი პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დაჩქარებას, რაც დიდად გაზრდის დერეფნის გამტარუნარიანობასა და სანდობას. ამ საქმეში ნიშვნელოვან როლს შეასრულებს მისი საკონტინერო ტერმინალი, რომელიც იქნება უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი და კონტინერების დამუშავების სისწრაფით გამორჩეული. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს პორტის გამტარუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებას, რაც, საბოლოო ჯამში, პოზიტიურად აისახება ტვირთების დამუშავებისა და გადაზიდვის ფასზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის პორტებში ყველაზე მაღალია რეგიონში [10].

უახლოეს მომავალში შუა დერეფნის სრული დატვირთვით ამოქმედება და გამტარუნარიანობის ამაღლება ნაკარნახევია აზია-ევროპისა და დერეფნის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაფართოებით. მსოფლიო ბანკის საპროგნოზო მონაცემებით ჩინურ და ევროპულ ბაზრებს შორის ვაჭრობა 2030 წლისთვის გასამმაგდება, ხოლო დერეფნის ქვეყნებს შორის შიდა ვაჭრობა 37%-ით, აღნიშნულ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობა კი - 28%-ით გაიზრდება [11]. ამასთან, გასაგები მიზეზების გამო, მომავალში სულ უფრო მეტად გაიზრდება ჩრდილოეთის მარშრუტიდან (რუსეთ-ბელორუსიაზე გავლით) ტვირთების შუა დერეფანში გადმორთვა.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ომის დამთავრების შემდეგ უკრაინის ეკონომიკის, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებას, სამშენებლო მასალებისა და სხვა პროდუქციის სახით, დასჭირდება დიდი მოცულობით ტვირთების გადაზიდვა, რომლის დიდი ნაწილი შუა დერეფნის მეშვეობით განხორციელდება. ამასთან, დერეფანი ძალზე მნიშვნელოვანია როგორც აზია-ევროპის, ისე სატრანსპორტო ჯაჭვის ქვეყნებისთვისაც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი სამომავლო განვითარების პერსპექტივას.

საქართველო, როგორც შუა დერეფნის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-სატრანზიტო კვანძი, სისხლხორცეულადაა დაინტერესებული დერეფნის მთელი სიმძლავრით ამოქმედებით, გამტარუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებით. ქვეყანას შეუძლია ძალზე დიდი სარგებელი მიიღოს სატრანზიტო გადასახადებისა და დამატებული ღირებულების შექმნით საქონელზე, რომელმაც შეიძლება საქართველოზე გავლით იმომრას. ამისთვის კი საჭიროა სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სრულყოფა-განვითარება, დერეფნის ფუნქციონირებაში უახლესი ციფრული ტექნოლოგიებისა და მართვის საერთაშორისო პრაქტიკის ფართოდ გამოყენება, სატრანზიტო ჯაჭვის ქვეყნების თანამშრომლობისა და ძალისხმევის გაძლიერება, რათა შუა დერეფანი მაღალკონკურენტულ მარშრუტად და ერთიან ლოგისტიკურ ქსელად ჩამოყალიბდეს.

საქართველო კი, როგორც აზია-ევროპის უმოკლესი სახმელეთო-საზღვაო დამაკავშირებელი კვანძი, მისი გეო-პოლიტიკური უპირატესობიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში შეიძლება არა მხოლოდ კავკასიის რეგიონული ჰაბი, არამედ 90

ამ კონტინენტების დამაკავშირებელი ალტერნატიული მადალკონკურენტუნარიანი სატრანზიტო დერეფანიც გახდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014.
2. პავლიაშვილი ს., გარაყანიძე ზ., საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2014.
3. ჭითანავა ნ., საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბ., 2018.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები.
7. <https://1tv.ge/news/levan-davitashvili-shua-derefnis-ganvitarebis-tema-didi-optimizmis-safudzvels-idzleva/>
8. <https://publika.ge/article/shua-derefani-saqartvelos-perspeqtiva-da-gamowvevebi/>
9. <https://www.amerikiskhma.com/a/7330250.html>
10. <https://forbes.ge/saqarthvelo-rogor-ts-shua-de/>
11. <https://civil.ge/ka/archives/571596>
12. <https://www.radiotavisupleba.ge/>
13. <https://ka.wikipedia.org/wiki/>

*Revaz Javakhishvili*

*Doctor of Economics, TSU Paata Gugushvili Institute of Economics,  
Head of the Department*

## GEORGIA IN THE MIDDLE CORRIDOR: REALITY, CHALLENGES, PROSPECTS Expanded Summary

Historically, communication between the countries of Europe and Asia was carried out through Georgia. It was along this road that China began to supply its high-quality silk to European countries, which is why this route was called the “Great Silk Road.”

The most important historical events at the turn of the 20th and 21st centuries once again put on the agenda the need to revive the ancient Great Silk Road. In 1990, at an international conference in Vladivostok, the idea was voiced to turn this old historical road into a modern transit and transport corridor, the implementation of which became possible only after the collapse of the Soviet Union.

Subsequently, large-scale regional technical assistance programs (“TRACECA”) were created within the framework of Tacis, within the framework of which in 1995-2010. A number of technical assistance projects were implemented, which ensured institutional

development and reform of the management of transport systems of its member countries, improvement of the legislative framework and compliance with Western requirements.

At the initial stage of the transport corridor, the results of its activities were very impressive. However, in light of recent shipping problems and the pandemic, the role of the northern route connecting China to Europe via Russia has increased significantly. Along with the northern direction, China, Turkey, many countries of the Caucasus and Central Asia have long been trying to implement an alternative route - the “Middle Corridor”. However, until now, its role in the transport of goods between China and the EU is still insignificant (about 10%) due to the duration and cost of transportation. According to the Georgian Logistics Association, rail container transportation of goods from Central Asia to Europe along the “Middle Corridor” is 22% more expensive and 50% longer compared to the northern route. In addition, the northern route mainly passes through one country (Russia) and involves only railways, unlike the “Middle Corridor”, where goods are transported by a combination of sea and land transport and pass through several countries, which is necessary for the interests of many countries . be taken into account.

The outbreak of Russian military operations in Ukraine put the search for alternative routes for transporting energy trains and other cargo on the European agenda, and the introduction of sanctions against Russia by the West significantly revived the “Middle Corridor”.

Unfortunately, our country is faced with a new geopolitical situation with great challenges: Georgian railways and roads, seaports and terminals were not ready for the expected cargo transportation, and the construction of the deep-water port of Anaklia was stopped.

In such a situation, the question naturally arises: to what extent can the middle corridor replace the northern route and what is holding back its development?

The main obstacles to the competitiveness of the Middle Corridor are its high cost and unreliability, which is due to a number of infrastructural, administrative and political problems:

- Cargo in the corridor will be transported along a combination of land and sea routes, which requires fast and efficient transfer from one to another, which is often impossible due to the low technical equipment of ports and terminals and the underdevelopment of intermediary transport services. ;
- Shortage of transport ships on the Caspian Sea, as well as shortage of transport cars in Georgia and Azerbaijan;
- Difficult climatic conditions of the Caspian Sea. Due to bad weather and severe storms, ferry services in Azerbaijan are sometimes delayed for several weeks;
- Infrastructural, legal and other barriers to crossing the border;
- Lack of tariff policy and unified efforts of the corridor countries to attract cargo and uninterrupted transportation;
- Digitalization of the corridor to make cargo movement, control and security more flexible and predictable;
- Political instability.

As for the electricity sector itself, an event of great importance for our country was the creation of a project to lay a power transmission cable along the bottom of the Black

Sea in the direction of Europe, which will connect Georgia and Romania. This places not only a large economic burden, but also other important burdens. Georgia is a member of the EU Energy Union, but currently has no direct connection with the EU energy system. Once this cable is installed, Georgia will have direct physical contact with the European Energy Union. In addition, the cable will need protection, so measures to ensure the security of the Black Sea transport corridor will be significantly expanded. The cable will make a significant contribution to establishing a closer connection with the European Union and will speed up the country's integration into the European Union.

Today, in order to commission the transit transport hub of Georgia to its full capacity and fully utilize its potential, special importance is attached to accelerating the construction of the deep-water port of Anaklia, which will significantly increase the throughput and reliability of the corridor. In this case, its container terminal will play an important role, which will be equipped with the latest technologies and will be distinguished by the speed of container processing. This will greatly contribute to increasing the capacity and efficiency of the port and corridor, which will ultimately have a positive impact on the price of cargo handling and transportation, which is the highest in the region at the ports of our country.

In the near future, the Middle Corridor will be put into operation at full capacity, and the increase in capacity is dictated by the further expansion of trade and economic relations between Asia-Europe and the countries of the corridor. It is also necessary to take into account the fact that after the end of the war, the restoration and development of the economy, transport and social infrastructure of Ukraine will require the transportation of large volumes of cargo, a significant part of which will be carried through the Middle Corridor. In addition, the corridor is very important both for Asia-Europe and for the countries of the transport chain, which significantly increases the prospects for its further development.

Georgia is very interested in seeing the corridor operate at full capacity, increasing its capacity and efficiency. The country can benefit greatly from transit taxes and the added value of goods that can move through Georgia.

Georgia, based on its geopolitical advantage, in the near future may become not only a regional hub of the Caucasus, but also an alternative highly competitive transit corridor connecting the continents of Europe and Asia.

**შოთა ვეშაპიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ ასოცირებული პროფესორი;

**სოფიკო კიტაშვილი**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი

### საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა

**ანოტაცია.** ამ ნაშრომის კვლევის მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს მრავალწლიანი ეკონომიკური ურთიერთობების გამოკვლევა, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის და იმ პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა, რომელიც ქვეყანას აქვს ეკონომიკური განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. ამ მიზნით, სტატია აანალიზებს ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის წარსულ გამოცდილებას, კანდიდატობიდან დღემდე. ნაჩვენებია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და ქვეყნის სტრატეგიული მიზანი - საქართველოს თავისუფლების, სტაბილურობის, განვითარების უზრუნველყოფა, ადამიანის, ოჯახის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობის, ღირსეული სიბერის, ადამიანის ყველა უფლების დაცვა. ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის რიგი პრიორიტეტული მიმართულებები და გრძელვადიანი პერსპექტივები, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორიული ასპექტები და საქართველოს ქმედითი ნაბიჯები ევროკავშირთან ინტეგრირების გასაღრმავებლად. ასევე გაანალიზებულია საქართველოს გამოწვევები სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: ინოვაციური განვითარება და სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ფუნქციის განვითარება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, დადგენილია ევროკავშირის დადებითი ჩართულობა მიღწეულ წარმატებებში.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიღება, ბუნებრივია, პოლიტიურ, წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება. საქართველოს ეძლევა დადებითი ცვლილებების, რეფორმების გატარების და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მყარი და გაზრდილი შესაძლებლობები. ქვეყანა უფრო მალე მიაღწევს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ტემპის ამაღლებას - კერძოდ, შეამცირებს უმუშევრობას, სიღარიბეს, გაზრდის საშუალო პენსიას, შემცირდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა, შემცირდება ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის გამონაბოლქვები, გაუმჯობესდება ჰაერის ხარისხი. ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია; საინტეგრაციო ბლოკი ყოველწლიურად გრანტების სახით გასცემს დიდი რაოდენობით თანხებს რეფორმების მხარდასაჭერად. დახმარების მიზანია განვითარდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ამაღლდეს განათლების ხარისხი, დამკვიდრდეს კარგი, მიუკერძოებელი, სამართლიანი, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მყოფ მმართველობა, დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს გარემოს დაცვა.

სტატიაში შედარებულია განვითარების ტემპები და ეკონომიკური მაჩვენებლები ევროკავშირის წევრ და არაწევრ განვითარებად ქვეყნებს შორის. გამოვლენილია ტენდენცია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა უფრო ნაკლებ დროში და შედარებით მარტივად აღწევს პროგრესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში.

საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა - ის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთგვარი ხიდის ფუნქციას ითავსებს დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. სწორედ ამგვარი მდებარეობა აძლევს ქვეყანას საშუალებას, რომ დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში. ამ მიმართულებით ქვეყნის პოტენციალის განვითარება, როგორცაა „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ტრანსკავკასიური ნავთობსადენის-„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენები, შავ ზღვაზე ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, საქართველოს სატრანსპორტო-ეკონომიკურ ჰაზად გადაქცევა, ასევე საერთო სარგებლობის მომტანი იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** ევროინტეგრაცია, კანდიდატი ქვეყანა, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ქვეყნის სტრატეგიული მიზანი.

### შესავალი

ევროკავშირი 27 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი საინტეგრაციო ბლოკია, რომელიც სათავეს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისგან იღებს და რომელსაც საფუძველი ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ ჩაუყარა. დღეს გაერთიანების კომპეტენცია ვრცელდება მისი ყველა წევრი სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, მოქალაქეთა უფლებებზე და სხვ. წევრი სახელმწიფოები, როგორც ცალკე, ასევე ერთიანად, დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკაზე, აღნიშნულის გამოა, რომ ევროკავშირის ეკონომიკა ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიანად ითვლება მსოფლიოში, კონკურენტუნარიანს უწოდებთ ეკონომიკას, რომელსაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპების სტაბილურად შენარჩუნება შეუძლია.

როგორც განვითარებულ ქვეყნებსა და გაერთიანებებს ახასიათებთ, ევროკავშირიც თავისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას არა ერთ დარგში სპეციალიზაციით, არამედ მრავალი სექტორის განვითარებით ინარჩუნებს. საინტეგრაციო ბლოკს აქვს მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო სექტორი, საკანონმდებლო ბაზა, ძლიერი პოლიტიკა აქვს შემუშავებული შიდა და საერთაშორისო კონკურენციასთან მიმართებითაც, მუდმივად ისწრაფვის სრულყოფისკენ ინოვაციებისა და კვლევის სფეროში და ამასთან, მის პრიორიტეტულ პერსპექტივას წარმოადგენს მდგრადობა; მდგრადი განვითარება საინტეგრაციო ბლოკის უმთავრესი მიზანი მასტრიხტისა (1992) [Maastricht Treaty 1992] და ამსტერდამის (1996) ხელშეკრულებების მიხედვით გახდა. გარდა მდგრადობისა, ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითად მიზნებად განისაზღვრა: ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ხელშეკრულებაში გარემოს დაცვის პრობლემებს დიდი ყურადღება ეთმობა. აღნიშნულ ხელშეკრულებაშივეა მითითებული, რომ ევროკავშირი მისწრაფის ეკონომიკის ჰარმონიული, დაბალანსებული და მდგრადი განვითარებისკენ. გარემოს დაცვის მაღალი დონისაკენ. [2]

მუდმივი სწრაფვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური გარემოს სრულყოფისკენ, გაერთიანებას მსოფლიო ეკონომიკის ძლიერ მოთამაშედ აქცევს, ეს კი, რა თქმა უნდა, არაერთი ევროპული სახელმწიფოსთვის ძლიერი მოტივატორია,



რომ გახდეს ევროკავშირის წევრი. საინტეგრაციო ბლოკის ღიაობა იმ ევროპული სახელმწიფოებისთვის, რომელთაც გაზიარებული აქვთ ევროკავშირის ფასეულობები, ფუნდამენტური პრინციპები და ღირებულებები, მაღალია, თუმცა გზა სავაჭრო პარტნიორობიდან წევრობამდე მარტივი არაა და მთელ რიგ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ მოთხოვნებს მოიცავს.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან თანამშრომლობა საქართველოსთვის დახმარების გაწევით შემოიფარგლებოდა, წლების განმავლობაში აღნიშნული ორმხრივი ვალდებულებების აღებით გამოიხატა. 1996 წელს ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში 10 წლით და საწინააღმდეგო პოზიციის არ არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელდებოდა. ამ შეთანხმებით ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, ერთდროულად ემუშავათ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად, ეს შეთანხმება გულისხმობდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ევროკავშირთან დაახლოებას. 2007 წელს ევროკავშირის რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდა და გაჩნდა საზღვაო საზღვარი საქართველო-ევროკავშირის შორის. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ევროკავშირი-საქართველოს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2016 წელს შევიდა ძალაში, აღნიშნულის მიზანია პოლიტიკური კავშირების გამყარება და ეკონომიკური ინტეგრაცია, საქართველომ და ევროკავშირმა ასევე ხელი მოაწერეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულებას (DCFTA), რომელიც განსაკუთრებული ტიპის შეთანხმებად არის მიჩნეული, რადგან იგი მოიცავს ევროკავშირის შიდა ბაზარში ინტეგრირების ამბიციურ ამოცანას, აღსანიშნავია, რომ DCFTA ასოცირების შეთანხმების მთავარი ღერძია და საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებასა და დივერსიფიცირებას ეხმარება. ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება მიენიჭათ.

\*\*\*

საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის უახლოესი ბოლო წლების ისტორიას თუ გადავხედავთ, 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი გააკეთა, ამავე წლის 17 ივნისს ევროკომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრებები უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განცხადებების შესახებ. 2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ. 2023 წელი საქართველომ კანდიდატის სტატუსით დახურა. ამ წლის მდგომარეობით - ქვეყანაში 3.7 მილიონი მოქალაქეა, მთლიანი სამამულო პროდუქტი 30.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 8 210 აშშ დოლარი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი 71.7 წელია, საქართველომ მიაღწია შესამჩნევ შედეგებს შემოსავლების ზრდასა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით. საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2022 წელს ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 15 880 აშშ დოლარს, ხოლო სიღარიბე 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 70.6 %-დან 47.7 %-მდე, შრომითმა ბაზარმაც განიცადა პოზიტიური ცვლილებები და უმუშევრობა 2021 წლის მაჩვენებელთან(20.6%) შედარებით შემცირებულია 16.4 %-მდე 2023 წელს. მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, იმ სტრუქტურულ გამოწვევებს

შორის, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას, აღსანიშნავია დაბალი პროდუქტიულობისა და მაღალი ხარისხის სამუშაო ადგილების შექმნის პრობლემა. მნიშვნელოვანი გამოწვევად უნდა დავასახელოთ დასაქმებულთა დაახლოებით 1/3-ის ჩართულობა სოფლის მეურნეობაში, ასევე, თვითდასაქმებულთა დიდი წილი ეკონომიკის სხვა სექტორებშიც. ქვეყნისთვის გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ დაბრკოლებად რჩება, სამუშაო ძალის ნაწილის კომპეტენცია და ხელმისაწვდომობა უნარ-ჩვევების შესაბამისობასთან კი დღესაც აქტუალური საკითხია. მსოფლიოს ბანკის მოხსენებაში ვკითხულობთ იმასაც, რომ საქართველო ტურიზმზე დამოკიდებულების გამო, დაცული არაა ეგზოგენური შოკებისგან. ბოლო წლებში ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური ინფლაცია ფიქსირდებოდა და ძირითადად 3%-6% -ს შორის მერყეობდა, თუმცა 2020 – 2022 წლებში ინფლაციის მაჩვენებელი საკმაოდ გაიზარდა, კერძოდ 5.2%-დან 11.9 %-მდე 2022 წლის ბოლოსთვის, ლოგიკურია, 2020- 2022 წლებში ინფლაციის ზრდა პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდსა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური საქმიანობის შენელებას დაეფუძვებოდა. 2023 წელს, როდესაც მსოფლიომ და დანარჩენ ქვეყნებთან ერთად საქართველომაც თავი დაააღწია პანდემიის გავლენას, ინფლაცია 2.47 % დაფიქსირდა, თუმცა არსებობს მოლოდინი შემდგომ წლებში მისი გაზრდისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ია. რაც შეეხება უმუშევრობას, 2023 წელს, შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრობამ ისტორიულ მინიმუმს მიაღწია- დაფიქსირდა 16.4 %, ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი კერძო სექტორშია, სახელმწიფო დიდ ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ფორმირებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზიდვაზე. საქართველო სულ უფრო მეტად მიმართავს თავის პოლიტიკას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისკენ, საკუთრების უფლებების დაცვასა და თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნაზე, ასევე, ხდება ადგილობრივი ბიზნესების წახალისება და ჯანსაღი საგადასახადო სისტემის ფორმირება. 2023 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა - 7.5 %-ით და შეადგინა 8210.1 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე, მშპ-ს ზრდაში ზოგიერთი სექტორის წვლილი დიდია, აღნიშნულს მიეკუთვნება: მშენებლობა, განათლება, პროფესიული სერვისები. საქართველო დიდწილად ეყრდნობა უცხოურ ინვესტიციებს, ეს არის ორმხრივი შანსი, როგორც ინვესტორებისთვის, ასევე საქართველოსთვის, ამ ტენდენციას აშკარად ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ტენდენცია, კერძოდ, 2023 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება გაიზარდა 30 %-ით და 505 მილიონ აშშ. დოლარს გადააჭარბა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი შემოდინება 2023 წლის პირველ 6 თვეში 1 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი იყო, ეს მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით 10%-ით მეტია, ხოლო პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 88%-ით მეტია.[52] იმისათვის, რომ საქართველოს საინვესტიციო კლიმატი იყოს მიმზიდველი ინვესტორისთვის, ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს საინვესტიციო გარემოს უსაფრთხოდ ფორმირება და ინვესტორების უფლებების დაცვა. იმ შემთხვევაში თუ ინვესტორი გადაწყვეტს უცხოელ ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის დავები შეიძლება, გადაწყდეს საერთაშორისო არბიტრაჟის გზით, ნაცვლად ადგილობრივი სასამართლოებისა. დავის გადაწყვეტის ეს მექანიზმი იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი დავის მოგვარება, მოხდება მესამე, მიუკერძოებელი, ნეიტრალური მხარის მიერ.

საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად მიიჩნია ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოსა და ისეთი კლიმატის შენარჩუნება, სადაც ინვესტორები დარწმუნებულნი არიან თავიანთი თანხების განთავსებაში სხვადასხვა სექტორში, რადგან იციან, რომ სამართლებრივი გარემო უზრუნველყოფს მათ დაცვას.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ბუნებრივია, პოზიტიურ, წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება, რომელიც ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას მთელი რიგი დადებითი ცვლილებებისა და რეფორმების გასატარებლად, რაც ქვეყნის კეთილდღეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. ევროკავშირისკენ აღებული გეზი რომ სწორი არჩევანია, ამას ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს, კანდიდატის სტატუსის პარალელურად, ევროკავშირი რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებთან გრძელვადიანი კონფლიქტების აღმოფხვრის პოლიტიკის მხარდამჭერი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოქმედებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზონის მახლობლად, ამასთან საინტეგრაციო ბლოკი საქართველოს მსხვილი ფინანსური მხარდამჭერია, ევროკავშირი მისი პრინციპებიდან და ფასეულობებიდან გამომდინარე ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და რეფორმებს, მხარდაჭერა გამოიხატება ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაში სამეზობლოს, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის (NDICI) ფარგლებში მოქმედებით. 2021-2024 წლისთვის საქართველოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი დაახლოებით 304 მილიონ ევროს შეადგენს, პრიორიტეტულ სფეროებად განისაზღვრა ეკონომიკა, ინსტიტუტები, ციფრული სფერო და მწვანე გარდაქმნა. [56]

ყურადსაღებია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა განიცადა, ეს ნაწილობრივ გატარებული ეკონომიკური რეფორმების დამსახურებაა, აღნიშნული რეფორმები მოიცავდა საგადასახადო მოსაკრებლების პროცედურის განახლებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, უცხოური ინვესტიციებისა და ვაჭრობისათვის ქვეყნის ღიაობის შენარჩუნებას, ბიზნეს-გარემოს გამარტივებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია, აღნიშნოს საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისკენ გადადგული ნაბიჯები. თუმცა, შეუძლებელია იმ გამოწვევების უგულებელყოფა, რომელიც ქვეყნისთვის ჯერ-ჯერობით გადაუჭრელია, მსგავს გამოწვევებს შესაძლოა, მივაკუთვნოთ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, კერძოდ, დარგში არსებული დაბალი ანაზღაურების გამო სულ უფრო მცირდება სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებულთა რიცხვი, ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ დარტყმას აყენებს საგანმანათლებლო სექტორს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში ჯერ თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, რაც ინოვაციური ეკონომიკის აუცილებელი მოთხოვნაა. ეს მკაფიო გამოწვევა სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ინტერესებში შედის, ქვეყნის მიზანი გამოწვევებზე მყისიერი და სწორი რეაგირებაა, შესაბამისად, საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება, რომლის ფარგლებშიც მოხდება მეცნიერთა ხელფასების ზრდა, განმტკიცდება სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღნიშნული ქმედებები იქნება ერთგვარი მოტივატორი მეცნიერებით დაინტერესებისა და მეცნიერთა პროდუქტიულობის ამაღლებისა, ამასთან მნიშვნე-

ლოვანია მეცნიერთა გლობალურ სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, რითიც მოხდება ერთმანეთის გამოცდილებების გაზიარება და უკვე ნაცადი, საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა ქვეყნის სამეცნიერო სფეროში; ამასთან, ინოვაციური პოლიტიკის განსაზღვრისას ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის ინოვაციების იმპორტის როლი ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლებაში, თუმცა ახალი, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების იმპორტი, თავისთავად დიდ ფულად საახსრებთან ერთად მოითხოვს, რომ ქვეყანაში იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები, იყოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და არ ჰქონდეს ადგილი პოლიტიკურ თუ სოციალურ დამაბულობას. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას ასევე საჭიროებს მცირე და საშუალო საწარმოები, ვინაიდან აღნიშნული სექტორის განვითარება უმუშევრობის შემცირებისა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ამ მიმართულებით ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება-გამძლიერებაში მაღალია, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მეტად ეფექტიანი მასტიმულირებელი ინსტრუმენტებით, როგორებიცაა: იაფი კრედიტები, რისკების დაზღვევა, სახელმწიფო შესყიდვების გაიოლება, საგადასახადო შეღავათები და სხვ. უფრო სწრაფად არის შესაძლებელი დარგის გამოცოცხლება.

საქართველოში არსებული გამოწვევა ინოვაციებსა და კვლევებთან მიმართებაში, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ კომპლექსურია, ის მოითხოვს ინოვაციური სისტემის ხუთრგოლიანი სისტემის ჩამოყალიბებას: მეცნიერება-სახელმწიფო-ბიზნესი-სამოქალაქო საზოგადოება-გარემო, აღნიშნული მოდელში ინოვაციების ღიაობის პრინციპი დაცულია, რაც გულისხმობს ინოვაციურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასა და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას. [1]

მნიშვნელოვანია, გააზრება იმისა, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი შეხებაშია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებთან, ცვლის მიზნების მიღწევის ხერხებსა და მეთოდებს, მაგრამ ეკონომიკის განვითარების პრინციპული ამოცანები იგივე რჩება: მდგრადობა, ეკონომიკური ეფექტურობა, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკის უნარი თვითგანვითარებისა და პროგრესისკენ, უსაფრთხოება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ქმედითი ნაბიჯების ეფექტიანობა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სწორ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. [15] ევროკავშირის მიერ გაწეული მხარდაჭერა, რომელიც გამოწვევებთან შეჭიდებისა და მათი გადაჭრის ერთ-ერთი წინაპირობაა, მიზნად ისახავს ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებას. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს, რომ ქვეყანამ თავისი ეკონომიკური პოტენციალი მაქსიმალურად იქნეს ათვისებული საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, დახმარება ხორციელდება ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებში.

საინტეგრაციო ბლოკი ხელს უწყობს მთავრობას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ევროკავშირი საქართველოს კონკრეტული მიმართულებებით განვითარებაშიც უჭერს მხარს. მხარდაჭერა საქართველოს ეხმარება გაძლიერებაში, ეკონომიკის მოდერნიზაციაში, კავშირების გამყარებასა და საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაში „ავაშენოთ უკეთესად“ პრინციპის ფარგლებში. გარდა 80 000 მცირე და საშუალო მეწარმის მხარდაჭერისა, მომდევნო წლებში ევროკავშირი სა-

ქართველოში ინვესტიციებს შემდეგ ფლაგმანურ პროექტებშიც განახორციელებს: - ელექტრო და მონაცემთა კაბელების გაყვანა შავ ზღვაში ; საბორნე კაპიტალიზაცია შავ ზღვაში - აღნიშნული საინვესტიციო გეგმისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 1.2 მლრდ ევროს შეადგენს. [56]

სამომავლო გეგმებთან ერთად, მნიშვნელოვანია, საქართველოს ამჟამინდელი საგარეო სავაჭრო პოზიციის მიმოხილვა- საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლიდან ზრდის ტემპით ხასიათდება და ამ ტენდენციას 2023 წლის ჩათლით ინარჩუნებს. 2023 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 21 529 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5%-ით მეტია, ექსპორტი გაზრდილია 9.1 %-ით და შეადგენს 6090,6 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი გაზრდილია 14%-ით და შეადგენს 15 438.45 მლნ აშშ დოლარს, სავაჭრო სალდო კვლავ უარყოფითია - 9 347.8 მლნ. აშშ დოლარი. პროდუქციის მიხედვით ადგილობრივი ექსპორტი, რომელიც მთლიანი ექსპორტის 46%-ს შეადგენს, ძირითადად შემცირდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე: ფროშენადნობი(ექსპორტის კლება 60%-ით), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (კლება 54%-ით), ძვირფასი ლითონის მადნები(კლება 23%-ით), აზოტოვანი სასუქები(კლება 44%-ით), თხილი და კაკალი (კლება 13%-ით), განსხვავებით აღნიშნულისგან, ადგილობრივ პროდუქციაში ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ისეთ მნიშვნელოვან სასაქონლო პოზიციებზე, როგორცაა ოქრო(ზრდა 8.9%), სპირტიანი სასმელები(ზრდა 11.1%), უალკოჰოლო სასმელები(ზრდა 31.4), მინერალური წყალი (ზრდა 18%), ღვინო (ზრდა 9.2 %), ელექტროენერგია (ზრდა 13.2%), გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდის დიდი წილი მოდის რეექსპორტზე, ის გაზრდილია შემდეგ პოზიციებზე: სატვირთო ავტომობილები (ზრდა 45%), მსუბუქი ავტომობილები (ზრდა 135%), სიგარეტები (ზრდა 24%), სამედიცინო ხელსაწყოები (ზრდა 23%), სამკურნალო საშუალებები (ზრდა 16%), გამოთვლელი მანქანები(ზრდა 50%) და მიკროავტობუსები (ზრდა 104%). მთლიანობაში, 2023 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქმა ავტომობილებმა - 2 126.6 მლნ აშშ დოლარი-რაც მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 35%-ს შეადგენს, მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები - მთლიანი ექსპორტის 8%-ით, ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნაყურალური ღვინოები, რომლის ექსპორტიც მთლიან ექსპორტში 4.3%-ითაა გაზრდილი, გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 15%-ით და სამრეწველო პოზიციების ექსპორტი 7%-ით, რაც შეეხება იმპორტს 2023 წლის უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფი იყო მსუბუქი ავტომობილები (მთელი იმპორტის 20.5 %), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (მთელი იმპორტის 7.6%), დაფასოებული სამკურნალო საშუალებები(იმპორტის 3.5 %), გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 9 %-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 15 %-ით, იმპორტი საქართველოში ძირითადად შემდეგ სასაქონლო პოზიციებზეა გაზრდილი: ნაღბის კარაქი (10%-ით), გაყინული ღორის ხორცი (42%-ით), შაქარი (11%-ით), მეტალოკონსტრუქციები (იმპორტის ზრდა 56 %-ით), მსუბუქი ავტომობილები (85 %-ით), სატელეფონო აპარატები (16%-ით), სამკურნალო საშუალებები (34 %-ით), იმპორტის კლება დაფიქსირდა: ნავთობის აირებზე (3%-ით), ფრინველის ხორცსა და გაყინულ სუბპროდუქტებზე (2 %-ით), მხენარეულ ზეთზე (იმპორტის კლება 4 %-ით), ხორბალზე (11%-ით), ხორბლის ფქვილზე (45%-ით), მანგანუმის მადნებზე (37%-ით), ძვირფასი ლითონის მადნებზე (40%-ით),

სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე (69 %-ით), ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე (13%-ით).

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ანალიზი, ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, 2023 წელს საქართველოს ბრუნვა საინტეგრაციო ბლოკთან გაიზარდა 15 %-ით და საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 21% შეადგინა, იმავე პროცენტული მაჩვენებელი რაც 2022 წელს იყო, ამასთან ექსპორტი შემცირდა 18 %-ით და 704.4 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა(საქართველოს მთლიანი ექსპორტის 11.6 %), ხოლო იმპორტი გაიზარდა 24%-ით და 3 795.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (საქართველოს მთლიანი იმპორტის 24.6%).

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 22%-ით შემცირდა, 576 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 81.8% დაიკავა (საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 20.6%). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში შემცირდა 6%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა 21 %-ით, ამასთან ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე: სპირტიანი სასმელები (ზრდა 27%-ით), ხილ-ბოსტნეულის კონსერვები (46%-ით), მინერალური წყალი (17%-ით), საბურავები და რეზინის პნევმატური სალტები (ზრდა 31 %-ით), გამომთვლელი მანქანები (111%-ით ზრდა), აზოტოვანი სასუქები (94 %-ით), ღვინო(0.3 %-ით). ექსპორტი შემცირებულია შემდეგ პოზიციებზე: სპილენძის მადნები და კონცენტრატები (კლება 32 %-ით), ფეროშენადნობი (კლება 75%-ით), მსუბუქი ავტომობილები(კლება 19%-ით), თხილი (32%-ით); რაც შეეხება იმპორტს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი ევროკავშირიდან გაიზარდა 29%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 23 %-ით, ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე: კარაქი(73 %-ით), საკვები ინგრედიენტები (31 %-ით), სამედიცინო ხელსაწყოები (46 %-ით), სასმელების წარმოებაში გამოსაყენებელი ნარევი (27%-ით), სატვირთო ავტომობილები (55 %-ით), სატელეფონო აპარატები (44%-ით), სამკურნალო საშუალებები (21 %-ით), მსუბუქი ავტომობილები (57%-ით), ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე: ფრინველის ხორცი (2%-ით კლება), შაქარი (კლება 52 %-ით), ლაბორატორიული რეაგენტები (კლება 14 %), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (კლება 22 %-ით).[54]

2020 წლიდან ევროკავშირში ევროკომისიის ჩარევით ამოქმედდა ონლაინ პორტალი Access2Markets, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსათავსებლად, აღნიშნულ პორტალზე ევროკავშირის სხვა საგარეო სავაჭრო პარტნიორებთან ერთად ვნახავთ საქართველოსაც, პორტალზე შესაძლებელია ისეთი ინფორმაციების მოძიება, როგორცაა ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, ტარიფები, ეროვნული გადასახადები, საქონლის წარმოშობის დადგენის წესები, საბაჟო პროცედურები, იმპორტთან დაკავშირებული ფორმალობები და პროდუქტთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები, სავაჭრო ბარიერები და ნაკადები, აღნიშნული პლატფორმა ეხმარება კომპანიებს, იპოვონ ახალი შესაძლებლობები, გამოავლინონ პოტენციური პარტნიორები და გაერკვნენ პროცედურულ ნაწილში. ნათელია, რომ მიუხედავად კვლავ არსებული უარყოფითი სავაჭრო სალდოსა, ქვეყნის მთლიან ექსპორტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინის, მინერალური წყლების ექსპორტის წილის ზრდა (იგულისხმება როგორც ევროკავშირის ქვეყნები, ასევე სხვა სავაჭრო პარტნიორები), პოზიტიური ტენდენციაა, ვინაიდან საქართველოს ხელთ არსებული

რესურსებიდან გამომდინარე, ცხადია, აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში შედარებითი უპირატესობით სარგებლობს, აქედან გამომდინარე, ქვეყნის უნარი, მოახდინოს იმ პროდუქციის ექსპორტი, რომლის წარმოებაშიც შედარებითი უპირატესობა აქვს, დადებითი მოვლენაა და სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული საქართველოს იმ მიმართულებით მხარდაჭერაზე, რაც თავად საინტეგრაციო ბლოკისთვისას პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროკავშირი საქართველოში მხარს უჭერს კლიმატის ცვლილებების მოგვარების მცდელობებს; EU4Climate პროექტისა და მრავალი ინფრასტრუქტურული ინვესტიციის დაფინანსებით, ევროკავშირი ცდილობს ქვეყანას დაეხმაროს სათბურის გაზების ემისიის შემცირებაში. ის ასევე მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის დანერგვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, დაცული ტერიტორიების განვითარებასა და წყლის რესურსების დაცვაში წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის სრულყოფით, ამასთან წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის აღწურვილობის უზრუნველყოფით. ევროკავშირი ასევე ეხმარება საქართველოს ნარჩენების გაუმჯობესებულ მართვაში, კვების მდგრად სისტემაზე გადასვლაში, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ევროკავშირის აქტიურობა გამოიხატება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში საქართველოს მუშაობის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით. აღნიშნული პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანა სოფლად სიდარების შემცირებაა. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას, და ასევე ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება შემდეგ ძირითად საკითხებს ითვალისწინებს:

1. სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება და მათი დახმარება სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში;
2. სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
3. სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, გარემო პირობების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით. 2013-2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოსთვის ENPARD-ის ფარგლებში გამოიყო შეადგენს 234.5 მილიონ ევროს[53].

პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერასთან ერთად ევროკავშირის ინტერესებში შედის პარტნიორ და მით უფრო კანდიდატ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა, სასამართლოს მიუკერძოებლობა და გენდერული თანასწორობა. საქართველოში ევროკავშირი მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა პრაქტიკის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პოზიტიურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჯანსაღი სამართლებრივი გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, ორივე სფეროში მაინც რჩება გამოწვევები, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ჯანსაღი საკანონმდებლო გარემოს ფორმირებას განსაკუთრების საარჩევნო პროცესისას, აუცილებელია, პროცესი იყოს

გამჭირვალე. ამ მიმართულებით საქართველო 2024 წლის არჩევნების მოახლოებასთან ერთად მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას.

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის - „პროგრესის სახლი“ - ის მიერ შემოთავაზებულ კვლევაში, რომელიც მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ - ის ფარგლებში (პროექტი დაფინანსებულია NDO(National Endowment for Democracy) - ის მიერ) - გაანალიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი ინსტიტუტების სტაბილური პროგრესი საინტეგრაციო ბლოკის წევრობის პირველივე წლებიდან დღემდე და პარალელი გავლებულია საქართველოსთან. 2004 წელს ევროკავშირს შეუერთდა ესტონეთი, ლატვია, კვიპროსი, მალტა, ლიეტუვა, სლოვენია, სლოვაკეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი და უნგრეთი - 2004-2021 წლების პერიოდში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზით, ვლინდება, რომ გაერთიანების წევრობიდან აღნიშნულმა ქვეყნებმა ძალიან მალე მიაღწიეს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ტემპის ამაღლებას - კერძოდ, შეამცირეს უმუშევრობა, სიღარიბე, გაიზარდა საშუალო პენსია, შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა, შემცირდა ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის გამონაბოლქვები, გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხი; მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნა საქართველოს პროგრესული ნაბიჯები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან მიმართებაში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების იმავე ასპექტები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებს, კერძოდ, 2022 წლის მონაცემებით, ევროკავშირის მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში შეადგენს 37 433.3 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც საქართველოს 2022 წლის მაჩვენებელი 6731.2 აშშ დოლარს შეადგენს; რაც შეეხება უმუშევრობას, 2023 წლის მონაცემებით უმუშევრობა ევროკავშირში აღწევს 6%-ს, მაშინ როდესაც საქართველოს იმავე წლის ანალოგიური მაჩვენებელი 16.4 %-ია; აღსანიშნავია 2020 წლის მონაცემები იმ ახალგაზრდების წილთან დაკავშირებით, რომლებიც არც სწავლობენ და არც მუშაობენ - გამოიკვეთა, რომ საქართველოში ორჯერ მაღალია, ევროკავშირის იმავე მაჩვენებელთან შედარებით; ამავე, 2020 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური პენსია ევროკავშირის ქვეყნებში (1201 ევრო) დაახლოებით 18-ჯერ აღემატება საქართველოს მაჩვენებელს (64 ევრო). გარდა ამისა, ევროსტატის 2018 წლისა და საქსტატის 2021 წლის მონაცემებით, საგანმანათლებლო სფეროში ევროკავშირში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 11-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში, ხოლო ჯანდაცვაში დასაქმებულთა შემოსავალი 9-ჯერ აღემატება, იმავე მაჩვენებელს საქართველოში. უშუალოდ იმ სახელმწიფოებთან თუ გავავლებთ პარალელს, რომლებიც ევროკავშირში 2004 წელს გაწევრიანდნენ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მიუხედავად 2004 წელს საქართველოსა და აღნიშნული ქვეყნების დაახლოებით ერთნაირი ეკონომიკური პოზიციებისა, ევროკავშირის წევრობამ ზემოთ აღნიშნულ 10 ქვეყანაზე დადებითი გავლენა მოახდინა, კერძოდ, უმუშევრობის მაჩვენებელი აღნიშნულ ქვეყნებში 2021 წლის მონაცემებით განახევრებულია მაშინ, როდესაც საქართველოში ამავე პერიოდის მონაცემებით მხოლოდ 3 %-ითაა შემცირებული; 2014-2020 წლებში 2004 წლის გაფართოების 10 ქვეყანაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსია ევროში საშუალოდ 20 %-მდეა გაზრდილი, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 34%-ია ლარში, თუმცა ევროში დაანგარიშებით საშუალო



პენსიის ზრდა არ ფიქსირდება; კეთილდღეობაზე საუბრისას, აუცილებელია, აღვნიშნოთ შინამეურნეობების მიერ გაწეული ხარჯები დასვენებასა და კულტურაზე, ევროკავშირის 2004 წლის გაფართოების 10 სახელმწიფოში დასვენებასა და კულტურაზე 2021 წელს შინამეურნეობები საშუალოდ თვიური შემოსავლის 8%-ს ხარჯავდნენ, მაშინ, როდესაც საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 %-ია. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლაა, გამონაბოლქვთან დაკავშირებით იკვეთება ტენდენცია, რომ მიუხედავად 2004 წელს ევროკავშირის გაფართოების 10 ქვეყანაში არსებული CO<sub>2</sub>-ის ემისიის 2-ჯერ მაღალი მაჩვენებლისა, ვიდრე ეს საქართველოში იყო, წევრობის შემდეგ, 2019 წლისთვის ქვეყნებმა შეძლეს აღნიშნული მაჩვენებლის 65%-ით შემცირება, როდესაც საქართველოში ამავე პერიოდისთვის ეს მაჩვენებელი 8%-ითაა შემცირებული, უთანაბრობა იკვეთება ჰაერის დაბინძურებისა და ჰაერის დაბინძურების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობებს შორისაც, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის 27 ქვეყანას თუ ცალკე აღებულ 2004 წლის გაფართოების 10 სახელმწიფოს შორის. [57] ამასთან, 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით (GCI) თუ ვიხელმძღვანელებთ, ნათელია, რომ 2004 წლის გაფართოების 10 ქვეყანას შორის ბოლო, 47-ე ადგილს უნგრეთი იკავებს, მაშინ როდესაც საქართველო 74-ე ადგილზეა. [55]

აღნიშნული განვითარების ტემპებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება ევროკავშირის წევრ და არაწევრ განვითარებად ქვეყნებს შორის გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ ტენდენცია, რომ საინტეგრაციო ბლოკის წევრი ქვეყანა უფრო ნაკლებ დროში და შედარებით მარტივად აღწევს პროგრესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში. დღეს, საქართველოს კანდიდატის სტატუსი, გვაძლევს შესაძლებლობას, ვიფიქროთ სამომავლო გაწევრიანებაზე; აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სლოვენის, მალტის, კვიპროსის, ბულგარეთის, რუმინეთისა და ხორვატიის მაგალითიდან გამომდინარე, ევროკავშირში გაწევრიანებას კანდიდატის სტატუსის მიღებიდან საშუალოდ 6 წელი დასჭირდა; ამასთან, ყველაზე დიდი დრო გაწევრიანების მოლაპარაკებებს სჭირდება და ის ეხება თითქმის ყველა ასპექტს, როგორცაა: ფუნდამენტური საკითხები; ადგილობრივი ბაზარი; კონკურენცია და ინკლუზიური ზრდა; მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი კავშირები; რესურსები, სოფლის მეურნეობა და კოოპერაცია; საგარეო ურთიერთობები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კანდიდატი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტსა და ევროკავშირის საშუალო მთლიან სამამულო პროდუქტს შორის განსხვავება მცირდება, იზრდება კავშირები საინტეგრაციო ბლოკთან, ეს გამოიხატება სავაჭრო ურთიერთობებშიც, მაგალითად, ბულგარეთის შემთხვევაში 2000-2006 წლებში, როდესაც ქვეყანას კანდიდატის სტატუსი ჰქონდა, ქვეყნის ექსპორტი ევროკავშირში საკმაოდ გაიზარდა და წლიური ზრდის ტემპის 23 % შეადგინა, ასევე გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დაახლოებით 8-ჯერ, 2000-2006 წლებში გაუმჯობესდა ბულგარეთის საკრედიტო რეიტინგი(S&P). აღნიშნული ტენდენცია, ერთი მხრივ, გამომდინარეობს იქიდან, რომ კანდიდატი ქვეყანა ატარებს რეფორმებს, რომელიც ჩვეულებისამებრ კანდიდატი ქვეყნის მოვალეობას წარმოადგენს, რათა მოიპოვოს უფლება, გახდეს საინტეგრაციო ბლოკის წევრი სახელმწიფო და აღნიშნული რეფორმების გატარება, ბუნებრივია, აუმჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას და უკე-

თეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კლიმატს ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირი კანდიდატ ქვეყნებს გაძლიერებასა და ევროპულ ფასეულობებთან დაახლოებაში სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს, რაც ასევე კანდიდატი ქვეყნის გაძლიერებაში გამოიხატება; ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ევროკავშირის მიერ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისა და თურქეთისთვის გამოყოფილი სახსრები იყოფა შემდეგნაირად: გაწევრიანებამდელი მხარდაჭერის ინსტრუმენტი - 14 მილიარდი ევრო (კანონის უზენაესობა - 15%, კარგი მმართველობა - 17 %, მწვანე დღის წესრიგი - 42%, კონკურენცია და ინკლუზიური ზრდა - 22 %, ტერიტორიული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა - 4 %), ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის - 9 მილიარდი ევრო (ტრასპორტი, ენერჯეტიკა, მწვანე და ციფრული გარდაქმნა), ქვეყნების მიხედვით, ბოსნია და ჰერცეგოვინაში ჩაიდო ინვესტიციები სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ მრეწველობაში, მეტალურგისა და ხე-ტყის მრეწველობაში, ჯამური ღირებულებით 30 მილიონი ევრო, ჩრდილოეთ მაკედონიაში ევროკავშირმა განახოციელა ინვესტიცია 6 რეგიონული სამედიცინო ცენტრის აღჭურვაში (25 მილიონ ევრომდე) და ამასთან დაეხმარა სახელმწიფოს სერბეთთან სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში (6.5 მილიონი ევრო), რითაც გამტარუნარიანობა გაიზარდა 30 %-ით, დასავლეთ ბალკანეთსა და თურქეთში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ათასობით ფერმა და აგრო-სასურსათო გადამამუშავებელი საწარმო მოდერნიზდა

(400 მილიონ ევრომდე), ალბანეთში შეიქმნა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მცირე და საშუალო მასშტაბის საგზაო ინფრასტრუქტურა(51 მილიონი ევრო), აღნიშნული პროექტის შედეგად სოფლები დაუკავშირდა ცენტრალურ მაგისტრალებს, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმს და სოფლის მეურნეობის დარგს, რადგან გზა გაიხსნა გასაღების ბაზრებისკენ. [56]

ევროკავშირი საქართველოსთვისთვისაც მნიშვნელოვან მხარდაჭერს წარმოადგენს, მასწავლებლების დამეგობრების პროგრამა „eTwinning Plus“ ევროპისა და მისი მეზობელი ქვეყნების სკოლების თანამშრომლების ხელშესაწყობად შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, პროგრამა საშუალებას იძლევა, მასწავლებლები ევროპის მასშტაბით ყველაზე საინტერესო საგანმანათლებლო ქსელში ჩაერთონ, საქართველოში პროგრამის ფარგლებში ონლაინ პლატფორმის დამკვიდრება მიზნად ისახავს ქართველი და ევროპელი პედაგოგების დამეგობრებას, აქტიურ კომუნიკაციასა და გამოცდილების გაზიარებას, პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო. ევროკავშირის შემდეგი პროგრამა, რომელიც ასევე საქართველოშიც ვრცელდება არის „ჰორიზონტი ევროპა“, რომელიც კვლევისა და ინოვაციების დარგში ევროკავშირის ძირითადი დაფინანსების პროგრამაა, ბიუჯეტით - 95.5 მილიარდი ევრო, თანხა 7 წლის განმავლობაში (2021-2027 წწ.) გრანტების სახით გაიცემა. 2021 წლის 7 დეკემბერს ევროკომისარმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც საქართველოს „ჰორიზონტი ევროპა“-სთან ასოცირების სტატუსს ანიჭებს, შეთანხმებაზე ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულება, ევროპული კვლევითი სივრცის პრინციპების დანერგვასა და დაცვაზე. ქართველ ნოვატორებს, მკვლევრებსა და ქართულ კვლევით ორგანიზაციებს შეუძლიათ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან თანაბარი სტატუსით მიიღონ. საქართველოში მოქმედებს ევროკავშირის პროგრამა განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით - „ERASMUS +“, პროგრამის მიზანია განათლების

მოდერნიზება, ცოდნისა და დასაქმების დონის ამაღლება, ტრენინგების კულტურის დამკვიდრება და ახალგაზრდებთან მუშაობა, 2021-2027 წლის ბიუჯეტი შეადგენს 26 მილიარდ ევროს. „შემოქმედებითი ევროპა“ ასევე ევროკავშირის ის პროგრამაა, რომელიც საქართველოშიც მოქმედებს, ის შეიქმნა ევროპული კულტურისა და ხელოვნების სფეროს მხარდასაჭერად, მიზნად ისახავს ხელოვანთა როლის ზრდას, ეკონომიკურ წინსვლასა და სამუშაო ადგილების შექმნას, 2021-2027 წლებზე გათვლილი ბიუჯეტი შეადგენს 1,85 მილიარდ ევროს, პროგრამა მხარს უჭერს ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, მათ შორის საქართველოშიც. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ასევე უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო და სამეწარმეო კუთხითაც, მაგალითად, EU4BUSINESS, რომლის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში-პროექტი 2018 წელს ამოქმედდა და 2039 წლამდე გრძელდება. ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის- 2009 წელს ამოქმედებული პროექტი მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერას დამატებითი დაფინანსების მდგრადი უზრუნველყოფით, ეს გამოიხატება მიკრო და მცირე საწარმოებისა და კერძო მეურნეობების მხარდაჭერით. საინტეგრაციო ბლოკს წვლილი შეაქვს ასევე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გაძლიერებაში, სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორის მხარდაჭერაში, რომელიც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო (ENPARD) პროგრამის მე-4 ფაზის (2021-2025 წწ.) მიზანს წარმოადგენს; დღემდე გრძელდება ევროკავშირის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) საერთო პროგრამა - საქართველოში COVID19 პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება ტელემედიცინისა და ციფრული სამედიცინო ტექნოლოგიების საშუალებით. საქართველოში ხორციელდება ასევე „ერთიანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის II ფაზის“ და „ევროკავშირის წყლის ინიციატივა +“, რომლის ფარგლებშიც ხდება გარემოსდაცვითი მონიტორინგი და მონაცემთა ანალიზის სისტემის მოდერნიზება, პროექტის მიზანს ძირითადად წყლის რესურსების ეფექტიანი მართვა წარმოადგენს; ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში ხორციელდება პროექტები ადამიანის უფლებათა დაცვაზე, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე, ევროპული სკოლების დანერგვაზე, სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეების დაკავშირებაზე (EU4DIGITAL) და სხვ. [ Projects – EU for Georgia]

როგორც ჩანს, ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია; საინტეგრაციო ბლოკი ყოველწლიურად გრანტების სახით გასცემს 120 მილიონ ევროს რეფორმების მხარდასაჭერად, დახმარება გამომდინარეობს მიზნიდან - განვითარდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ამაღლდეს განათლების ხარისხი, ადგილი ჰქონდეს კარგ, მიუკერძოებელ, სამართლიან, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მყოფ მმართველობასთან, დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს გარემოს დაცვა. ევროკავშირის მხრიდან დახმარება გამოიხატება როგორც მთავრობისთვის პირდაპირი ფინანსური დახმარებით, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის პროექტებითა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამოყოფილი გრანტების სახით.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობას, გარდა ზემოთ მოყვანილი ფინანსური დახმარებებისა და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, სხვა მეტად მნიშვნელოვანი და პოლიტიკურ-კულტურული დატვირთვაც გააჩნია ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა - ის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთგვარი ხიდის ფუნქციას ითავსებს დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. სწორედ ამგვარი მდებარეობა აძლევს ჩვენს ქვეყანას საშუალებას, რომ დაიკავოს დიდი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში. ამ მიმართულებით რომ ხდება ქვეყნის პოტენციალის განვითარება, მოწმობს „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ტრანსკავკასიური ნავთობსადენის-„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენები, შავ ზღვაზე ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, საქართველოს სატრანსპორტო-ეკონომიკურ ჰაზად გადაქცევა, ასევე საერთო სარგებლობის მომტანი იქნება.

როგორც უკვე ვნახეთ, ევროკავშირს ამ მიმართულებით სამომავლო გეგმებიც აქვს საქართველოში და ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკა ევროკავშირის ინტერესის სფეროცაა, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოზიციების გამყარება დიდიწილად დამოკიდებულიცაა იმაზე, თუ როგორ შეძლებს საქართველო, გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რადგანაც ამ მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები მას სასურველი რეალობის წინაშე დააყენებს - დაჩქარდება ქვეყნის ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში.

### დასკვნა

ევროკავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან ქვეყნისთვის დემოკრატიული განვითარებისა და სანდობის წყაროდ შეიძლება, ჩაითვალოს. საქართველოსთან თანამშრომლობს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და მისი აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოებით მიზნით. 1992 წლიდან საქართველო ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპზეა და გრძელვადიანი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტაბილურობისკენ მიიწევს, რასაც მოჰყვება მოპოვებული ევროკავშირის კანდიდატი სტატუსი, როგორც შედეგი. ევროპულ სივრცეში ინტეგრირების გაღრმავება, მკაფიო და მტკიცეა.

2020 წლიდან ევროკავშირში ევროკომისიის ჩარევით ამოქმედდა ონლაინ პორტალის Access2Markets, ამოქმედების შედეგად ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსათავსებლად. ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული საქართველოს იმ მიმართულებით მხარდაჭერაზე, რაც თავად საინტეგრაციო ბლოკისთვისას პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროკავშირი საქართველოში მხარს უჭერს კლიმატის ცვლილებების მოგვარების მცდელობებს; პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერასთან ერთად ევროკავშირის ინტერესებში შედის პარტნიორ და მით უფრო კანდიდატ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა, სასამართლოს მიუკერძოებლობა და გენდერული თანასწორობა. აღნიშნული განვითარების ტემპებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება ევროკავშირის წევრ და არაწევრ განვითარებად ქვეყნებს შორის გვაძლევს საშუალებას, გამოვაჯინოთ ტენდენცია, რომ საინტეგრაციო ბლოკის წევრი ქვეყანა უფრო ნაკლებ დროში და შედა-

რებით მარტივად აღწევს პროგრესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში;

წევრი ქვეყნების წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კანდიდატი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტსა და ევროკავშირის საშუალო მთლიან სამამულო პროდუქტს შორის განსხვავება მცირდება, იზრდება კავშირები საინტეგრაციო ბლოკთან, ეს გამოიხატება სავაჭრო ურთიერთობებითაც,

როგორც ჩანს, ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია; საინტეგრაციო ბლოკი ყოველწლიურად გრანტების სახით გასცემს 120 მილიონ ევროს რეფორმების მხარდასაჭერად, დახმარება გამომდინარეობს მიზნიდან - განვითარდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ამალდეს განათლების ხარისხი, ადგილი ჰქონდეს კარგ, მიუკერძოებელ, სამართლიან, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მყოფ მმართველობასთან, დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს გარემოს დაცვა. ევროკავშირის მხრიდან დახმარება გამოიხატება როგორც მთავრობისთვის პირდაპირი ფინანსური დახმარებით, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის პროექტებითა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამოყოფილი გრანტების სახით.

საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა - ის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთგვარი ხიდის ფუნქციას ითავსებს დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. სწორედ ამგვარი მდებარეობა აძლევს ჩვენს ქვეყანას საშუალებას, რომ დაიკავოს დიდი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში. ამ მიმართულებით რომ ხდება ქვეყნის პოტენციალის განვითარება, მოწმობს „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ტრანსკავკასიური ნავთობსადენის-„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენები.

ევროკავშირის გაფართოების ქვეყნების ანალიზითა და, ზოგადად, ევროკავშირის ფასეულობების, ღირებულებების, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მოცემულობების გაანალიზებით, ამასთან საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის მიმოხილვით, ნათელია, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია დადებითი შედეგების მომტანია. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალებას ევროპასთან დაახლოება წარმოადგენს, მეორე მხრივ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, თავად საინტეგრაციო ბლოკის ინტერესიცაა. სამართლიანია, აღვნიშნოთ, რომ ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებები, ვიზალიზერალიზაცია და ახლა უკვე ახალი მოცემულობა - კანდიდატის სტატუსი, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯებია ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. კანდიდატის სტატუსი ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა დიდია ვალდებულებებიც და გამოწვევებიც; მნიშვნელოვანია, დროის, რესურსების ეფექტიანად გამოყენება. ევროკავშირთან ინტეგრირების გაღრმავება საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის საუკეთესო ალტერნატივაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze, R. (2022). The main directions of the Innovation Development Strategy of the Georgian Economy. *Ekonomisti* (2). 22-30. (In Georgian)
2. Abesadze, R., Bibilashvili, N. (2021). Economic problems of environmental protection. *Ekonomisti* (1). 25-33. (In Georgian)

3. Abuselidze, G. (2019). European integration of Georgia and financial-economic condition: achievements and challenges. *European Journal of Sustainable Development*, 8(1), 53-53.
4. Abuselidze, G. (2021). Competitiveness analysis of the georgian transport and logistics system in the black sea region: challenges and perspectives. In *Computational Science and Its Applications–ICCSA 2021: 21st International Conference*, Cagliari, Italy, September 13–16, 2021, Proceedings, Part IV 21 (pp. 133-148). Springer International Publishing.
5. Bedianashvili G. (2021). Macroeconomic and cultural determinants of the covid-19 pandemic crisis. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 15(2):191-197.
6. Bedianashvili, G., & Kokhreidze, G. (2023). Public debt and foreign direct investment in small countries in the context of economic growth. *Sociālo Zinātņu Vēstnesis*, (1), 7-28.
7. Danelia I. (2021). Impact of COVID-19 on Container Shipping Industry Case of Georgia. DOI:10.13140/RG.2.2.27147.00807 Conference: Container Transportation in Georgia: market, claims and freight issues. [https://www.researchgate.net/publication/354316469\\_Impact\\_of\\_COVID-19\\_on\\_Container\\_Shipping\\_Industry\\_Case\\_of\\_Georgia](https://www.researchgate.net/publication/354316469_Impact_of_COVID-19_on_Container_Shipping_Industry_Case_of_Georgia)
8. Danelia I. (2021). Intercontinental Transportation of Containerized Cargo and The Middle Corridor. DOI: 10.13140/RG.2.2.25469.28640. Conference: “Increasing the competitiveness of international rail transport in the framework of TRACECA”. [https://www.researchgate.net/publication/354319821\\_Intercontinental\\_Transportation\\_of\\_Containerized\\_Cargo\\_and\\_The\\_Middle\\_Corridor](https://www.researchgate.net/publication/354319821_Intercontinental_Transportation_of_Containerized_Cargo_and_The_Middle_Corridor)
9. Gaganidze G. (2018). Foreign Trade of Georgia, Moldova and the Ukraine with the European Union after Signing the Association Agreement. *Ecoforum Journal*, Volume 7, Issue 1(14). (In Georgian).
10. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. (1). 40-46. (In Georgian).
11. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, (1). 35-39. (In Georgian).
12. Jamagidze, L. (2019). Institution Importation in Georgia-EU Trade Relations. *Journal “Ekonomika da Biznesi*, (3), 199-216.
13. Jamagidze, L. (2022). Georgia-Romania Economic Cooperation and the New Regional Challenges. *EURINT*, 9(1), 133-150.
14. Karchava, L., Veshapidze S., & Ciabrishvili, K. (2023). Economic Perspective Of Establishing Strategic Partnership Between China And Georgia. DOI suffix: 10.36962/NEC18032023-7. *The New Economist* N 3 (2023), Vol 18, Issue 3 (In Georgian).
15. Lazarashvili, T. (2023). The Role of Innovative Security in the State’s National Security System. 235-241. (In Georgian). [https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-234-241\\_5](https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-234-241_5)
16. Papava V. (2016). Georgia’s choice: the European Union or the Eurasian Economic Union. *GFSIS, Expert Opinion*, 57, <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-eng.pdf>.
17. Papava V. (2018). Assessment of Economic Growth in the Post-Communist Members of the European Union and the Eastern Partnership States (May 23, 2018). *GFSIS Expert Opinion* 101.
18. Papava V. (2018). The economics in crisis and the main directions for transformation of economic science. *Transformations*, 3-4(98-99): 90-108.
19. Papava, V. (2020). *Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century*. iUniverse. Bloomington.
20. Papava, V. (2020). Georgia’s European Way During the Period of Pandemic Deglobalization. *Rondeli Blog*, August 6, <https://gfsis.org.ge/blog/view/1091>.

21. Papava, V. (2022). On Sanctionomics. *Eurasia Review*, March 14. Available at: <https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped>.
22. Papava, V. (2022). Cold War vs. Hot War in 2022. *Eurasia Review*, February 28. Available at: <https://www.eurasiareview.com/28022022-cold-war-vs-hot-war-in-2022-oped>
23. Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. *ZeszytyNaukowe UNIWER-SYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Adminis-tracjaiZarządzanie*. Scientific Journal, Nr 107. pp. 97-105
24. Putkaradze R. (2018). TRADE RELATIONS BETWEEN GEORGIA AND THE EUROPEAN UNION AFTER SIGNING THE ASSOCIATION AGREEMENT. South East European University. 2nd International Scientific Conference on Business and Economics. May 25. [conf.seeu.edu.mk](http://conf.seeu.edu.mk). CONFERENCE PRO-CEEDINGS. Tetovo, Republic of Macedonia. p. 183-188.
25. Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union’s Eastern Partner-ship Countries: Historical Aspects and Challenges. *Journal, Ecoforum Jour-nal*. Volume 8, Issue 1(18).
26. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia.
27. Silagadze A. (2018). Gini Index-Wealth Distribution in the Post-Soviet Countries. *BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES*, vol. 12, no.3.
28. Silagadze A. (2022). Economics Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. *BULLETIN OF THE GEOR-GIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES*, vol. 16, no. 3, p. 130-135.
29. Silagadze A., Atanelishvili T., & Silagadze N. (2022). Covid depression and search for a new paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(1): 121-125.
30. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia’s Economy. *Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS)*.
31. Shengelia, T. (2019). Research methodology and the impact of social en-trepreneurship on the solution of social problems in Georgia.
32. Shengelia, T., Berishvili, K., & Jganjgava, K. (2022). IMPROVING THE METHODOLOGY OF MEASURING SOCIAL CAPITAL IN INTERNATIONAL COMPANIES. *Sciences of Europe*, (97), 15-18.
33. Veshapidze, S. (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*, (13-4), 14-18.
34. Veshapidze, S. (2023). Modern priorities of ensuring foreign economic security of Georgia. *EKONOMISTI* 19 (3), 85-99 (In Georgian).
35. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). In *Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in* (p. 79).
36. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(4), 152-157.
37. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). On State Intervention in the Econ-omy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS*. - International Scientific Collection - Vol. 5. Kyiv - CUL. <https://doi.org/10.5281/zenodo.5807500>.
38. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6373197>
39. Veshapidze, S., & Mchedlishvili, Z. (2021). Ilia Chavchavadze about competition. *World economy and international economic relations*, Vol. 4. Pp. 91-95.

40. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. *The New Economist*, 16(2), 1–1. DOI: <https://doi.org/10.36962/NEC6102202133> (In Georgian).
41. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. *Globalization and Business*, 12, 32-36. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003>
42. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., Zoidze G. (2022). “Modern technologies to overcome the challenges of globaliza–tion”. *Entrepreneurship*. Volume: 10, Number: 2. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=1074987>
43. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value choices of the community in the context of the covid-19 pandemic (ს ა ზოგ ა დო ე ბ ი ს დ ი რ ე ბ უ ლ უ ბ ი თ ი ა რ ზ ე ვ ა ნ ი კ ო ვ ი დ - 19 კ ა ნ დ ე მ ი ო ს კ ი რ ო ბ ე ბ შ ი ) URI: <http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1405> (In Georgian).
44. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., & Chantladze, N. (2024). Modern international economic relations of Georgia. (In Georgian).
45. Zubiashvili T. Contemporary Migratory Situation in Georgia. *Refereed International Journal of Multidisciplinary Thought (IJMT)*, Volume 5, No 4. 2015, USA. pp. 25-32. <http://universitypublications.net/ijmt/0504/pdf/B5R172.pdf>
46. Zubiashvili, T., Veshapidze, Sh. Labor Emigration and Employment in Georgia. (Co-authorship). *Humanities and Social Sciences Review*, Volume 09, Number 01, 2019, USA. pp.127-136. <http://www.universitypublications.net/hssr/0901/html/E9X94.xml>
47. Zoidze, G. (2021). Importance of Euro-Atlantic Integration: Democracy, Security and Economic Development. *Three Seas Economic Journal*, 2(3), 1-7.
48. Zoidze, G., Abuselidze, G., & Veshapidze, S. (2023). Economic Vulnerability of Small Powers. *Journal of Geography, Politics and Society*, 13(3), 1-12.
49. Zoidze, G., & Tkhliaishvili, G. (2021). Prospects of intermodal transportation and logistics channels development for Georgia. In *Proceedings of 25th International Scientific Conference. Transport Means*.
50. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). *The Modern Economy and Values*. Cambridge Scholars Publishing. P. 125.
51. Adult learning initiatives. An official website of the European Union. Adult learning initiatives - European Education Area ([europa.eu](http://europa.eu))
52. Abashmadze, R., Muradian, E. (2024). Georgia in 2023. Report on the Country’s Economy. [Georgia in 2023: Report on the Country’s Economy - PB Services Georgia](#)
53. Agriculture and rural development are important priority areas for EU in Georgia. These are supported through ENPARD. EU IN GEORGIA. [ENPARD - EU for Georgia \(eu4georgia.eu\)](#)
54. Georgia’s foreign trade in 2023. Ministry of Economic and Sustainable Development. [ftt\\_2023.pdf \(economy.ge\)](#). (In Georgian).
55. . Global competitiveness report 2019. World Economic Forum. [WEF TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf \(weforum.org\)](#)
56. Waiting for the EU candidate country status. Tbc capital. [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge). (In Georgian)



**Shota Veshapidze,**

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor  
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;*

**Sofiko Kitashvili,**

*Master's student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Faculty of Economics and Business*

## **GEORGIA'S EUROPEAN INTEGRATION PERSPECTIVE**

### **Expanded Summary**

The purpose of the research of this work is to examine the long-term economic relations between the European Union and Georgia, to reveal the economic potential of Georgia and the priority directions that the country has on the way to European integration. For this purpose, the article analyzes the past experiences of some EU member states, from candidacy to the present day. It shows the prospects for Georgia's economic development and the country's strategic goal - ensuring freedom, stability, and development of Georgia, safeguarding human, family security, health, social status, dignified ageing, and protecting all human rights.

The paper analyzes several priority directions of the European Union and its long-term perspectives, the historical aspects of cooperation between Georgia and the EU, and Georgia's proactive steps to deepen integration with the EU. It also analyzes the challenges Georgia faces in various fields, such as innovative development and the development of the transport-logistics function, which is a key precondition for the utilization of the country's economic potential. The positive involvement of the EU in the achieved successes has been identified.

Obtaining EU candidate status is naturally considered a positive and forward-looking step. Georgia is given solid and enhanced opportunities for positive changes, reforms, and raising the country's welfare. The country will more quickly achieve a higher pace of population welfare growth — specifically, it will reduce unemployment and poverty, increase the average pension, reduce mortality from road-transport accidents, decrease CO<sub>2</sub> emissions in the atmosphere, and improve air quality. The European Union is Georgia's largest donor; the integration bloc annually provides substantial amounts of grants to support reforms. The aim of the assistance is to develop the economic situation, raise the quality of education, establish good, unbiased, fair governance harmonized with European standards, and protect human rights, environmental protection being defined as one of the priority directions.

The article compares development rates and economic indicators between EU member and non-member developing countries. It reveals the tendency that the EU member country achieves progress in economic, political, and social spheres more quickly and relatively easily.

Georgia is one of the leading transit countries — its geopolitical location serves as a kind of bridge between the West and Central Asia. This location allows the country to occupy an important place in global economic processes. Developing the country's potential in this direction, such as the "Europe-Caucasus-Asia Corridor Program," the Transcaucasian pipelines—"Baku-Tbilisi-Ceyhan" and "Baku-Tbilisi-Erzurum" gas pipelines, the Black Sea ports of Batumi and Poti, and the construction of the deep-water port of Anaklia, turning Georgia into a transport-economic hub, will also be beneficial.

**Keywords:** *Euro-integration, candidate country, country's economic potential, country's strategic goal*

*თენგიზ ვერულავა*

*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი,  
ბიზნესის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი*

### **ექიმების როლი სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის ფორმირებაზე**

**ანოტაცია.** ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელს წინასწარი ინფორმაცია აქვს და შეუძლია საკუთარი გემოვნების შესაბამისად აირჩიოს, თუ ვისგან, სად და რა ფასებში იყიდოს სასურველი საქონელი. იგი სრულიად დამოუკიდებელია გამყიდველისაგან. მომხმარებელი საქონლის ყიდვისას ითვალისწინებს საკუთარ შემოსავალს და ცდილობს მისი მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენებას, ანუ გვევლინება როგორც რაციონალური მყიდველი. თუმცა, ზოგ შემთხვევებში (მაგ., ავტომობილის ან წყალგაყვანილობის შეკეთება) მომხმარებელი სრულყოფილად არაა ინფორმირებული ამა თუ იმ საქონლის შესახებ და უძნელდება არჩევანის გაკეთება. ასეთ დროს ადამიანები მიმართავენ ინფორმირებულ აგენტებს, რომლებიც მათ ეხმარებიან არჩევანის გაკეთებაში.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა ჯანდაცვის სფეროში. სამედიცინო მომსახურების ბაზარი ხასიათდება გაურკვეველობის დიდი ხარისხით და ინფორმაციული ასიმეტრიულობით. მომხმარებელს ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება საჭირო სამედიცინო მომსახურების მოცულობაზე და მკურნალობის მეთოდებზე. სამედიცინო მომსახურების მოცულობის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ექიმს და არა პაციენტს. ექიმი ახდენს პაციენტის მდგომარეობის შეფასებას, განსაზღვრავს მოთხოვნას და ნიშნავს საჭირო მკურნალობას. ამ დროს პაციენტი, როგორც წესი, შეზღუდულია შეაფასოს ექიმის ქმედებების რაციონალურობა, რადგან არ შეუძლია დაასაბუთოს მიწოდებული სერვისების საჭიროება. პაციენტი დამოკიდებული ხდება ექიმზე და წარმოიშობა ექიმის როგორც პაციენტის აგენტის მოდელი, სადაც ექიმი განსაზღვრავს პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურების მოცულობას.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს სამედიცინო ბაზარზე ექიმების როლი ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის ფორმირებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** სამედიცინო ბაზარი, სამედიცინო სერვისებზე მოთხოვნა, მიწოდებით პროვოცირებული მოთხოვნა.

### **მიწოდებით პროვოცირებული მოთხოვნა სამედიცინო ბაზარზე**

ექიმი წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებელს, რომელსაც აქვს თავისი ეკონომიკური მოტივაცია. შედეგად, შესაძლებელია წარმოიშვას მისი როგორც აგენტის როლსა და როგორც მომსახურების მიმწოდებელს შორის კონფლიქტი. ექიმმა ეკონომიკური მოტივაციის შედეგად შეიძლება გაზარდოს საჭირო პროცედურების მოცულობა, მომსახურების ნაკრებიდან გამორიცხოს იაფფასიანი შემცველები, შეარჩიოს მომსახურების ის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავადმყოფოს ან

პოლიკლინიკის სრულ დატვირთვას. აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება გახდეს დამატებითი პროცედურების დანიშვნის ან ჰოსპიტალიზაციის გახანგრძლივების მიზეზი, გარდა ამისა, სამკურნალო-დიაგნოსტიკურმა ღონისძიებებმა შეიძლება გაზარდონ მოთხოვნა სამედიცინო დახმარებაზე და გამოიწვიონ რეალურად საჭირო სამედიცინო მომსახურების, და მისი ღირებულების დევალვაცია.

განვიხილოთ ექიმების გავლენა პაციენტის მოთხოვნაზე სრული ინფორმაციის სიტუაციაში. კვლევები ადასტურებენ, რომ სრული ინფორმაციის დროს ექიმები გავლენას ვერ ახდენენ პაციენტის პრეფერენციებზე. ასეთ შემთხვევაში ექიმის იცის პაციენტის პრეფერენციები, ხოლო პაციენტს შეუძლია შეაფასოს ექიმის მიერ მიწოდებული სერვისების მახასიათებლები. ექსპერტების მტკიცებით, პაციენტები შედარებით ინფორმირებულნი არიან მომსახურების დაახლოებით მეოთხედთან მიმართებით, უმთავრესად ხშირად მორეციდივე მარტივი დაავადებების, ზოგჯერ კი ქრონიკული დაავადებების შესახებ (Pauly, 1980). ასეთ დროს პაციენტი რაციონალურად ირჩევს მომსახურების იმ სახეს, რომელიც მისთვის მისაღებია. აღნიშნული სიტუაცია ყველაზე მეტად დამახასიათებელია კერძო სტომატოლოგიური სერვისების ბაზრისათვის: პაციენტს სთავაზობენ შედარებით ძვირადღირებულ ან იაფფასიან მასალებს, და იგი ირჩევს მისი გადამხდელუნარიანობის დონის მიხედვით.

სრული ინფორმაციის შემთხვევაში ექიმები სამედიცინო მომსახურების მოხმარების მოცულობაზე გავლენის მოსახდენად ფლობენ ორ შესაძლებლობას. პირველი გულისხმობს სხვადასხვა პაციენტებში ერთი და იგივე დაავადების მკურნალობის პროცესის არაერთგვაროვნებას. პაციენტები შეიძლება ფლობდნენ საკუთარი დაავადების ბუნების და მათი მკურნალობის მეთოდების შესახებ ყველა აუცილებელ ცოდნას, მაგრამ მათ არ აქვთ ნათელი წარმოდგენა სერვისების დამატებითი მოცულობის სარგებლების შესახებ. თეორიულად პაციენტებმა შეიძლება უარი თქვან სერვისების გარკვეულ მოცულობაზე სამკურნალო პროცედურების ძირითადი ნაწილის ჩატარების შემდეგ. მაგრამ პრაქტიკულად ამის გაკეთება რთულია. როდესაც პაციენტს არ სურს დამატებით დანიშნული სერვისების მიღება და მიმართავს სხვა ექიმს, იგი კარგავს მკურნალობაზე უკვე გაწეული ხარჯების ნაწილს.


სერვისების მოცულობის განსაზღვრის მეორე შესაძლებლობა განპირობებულია საექიმო საქმიანობის ბევრი მახასიათებლის რთული გაზომვადობით. აქ იგულისხმება არამატერიალური და ძნელად იდენტიფიცირებადი რესურსები, რომლებსაც ექიმი დებს პაციენტის მკურნალობაში. თითოეული პაციენტისათვის ცნობილია ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორცაა: ექიმთან კონტაქტის ხანგრძლივობა, ექიმის გულისხმიერება და ყურადღებანიანობა, სამკურნალო ტაქტიკის ახსნა და სხვა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ექიმის დანახარჯები აუცილებელი კლინიკური ინფორმაციის მიებაზე და საკუთარი კვალიფიკაციის ამღლებაზე. მკურნალობის ეს არამატერიალური რესურსები ხშირად გაუგებარია პაციენტისათვის. ძნელია არამატერიალური გაზომვა, არამედ ფულადი ფორმით გამოსახვაც. შესაბამისად, ექიმი ცდილობს აინაზღაუროს ასეთი სახის არამატერიალური ხარჯები სერვისების მოცულობის გაზრდით.

მომსახურების მიწოდებლები (ექიმები) გავლენას ახდენენ მოთხოვნის მოცულობაზე. ამ ფენომენს ეწოდება *ინდეცირებული მოთხოვნა* ან მიწოდებით პროვოცირებული მოთხოვნა, როდესაც ექიმი ხელმძღვანელობს საკუთარი ინტერესებით და პაციენტს უნიშნავს ჭარბ სერვისებს.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ჯანდაცვის ეკონომისტების 68%, ეკონომისტების 77% და ექიმების 67% დაეთანხმა მტკიცებას, რომ ექიმებს შეუძლიათ პაციენტების მომსახურების მოხმარებაზე გავლენა და შედეგად ადგილი აქვს მიწოდებით პროვოცირებულ მოთხოვნას (Fuchs, 1996). ნახატზე ეს სიტუაცია წარმოდგენილია გრაფიკულად. ხაზი D1 ასახავს ინდივიდის მოთხოვნას მკურნალობაზე სრული ინფორმაციის პირობებში. ეს არის სამედიცინო მომსახურების ფასისა და მოცულობის თანაფარდობა მომხმარებლის პრეფერენციების გათვალისწინებით. ინფორმაციის ასიმეტრიის არსებობისას მოთხოვნა შეიძლება გადავიდეს D2 პოზიციაზე, სადაც ფასი და რაოდენობა (P2 და Q2) ოპტიმალურზე მაღალია. ინფორმაციის ასიმეტრიის ბუნება ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდმა, თუნდაც იცოდეს თავისი დაავადების ბუნება და მისი მკურნალობის მეთოდები, შეიძლება არ იცოდეს რა სარგებელს მოუტანს სამედიცინო მომსახურების დამატებითი ერთეული, ექიმთან დამატებითი ვიზიტი ან სხვა სპეციალისტთან კონსულტაცია.

D1 და D2 ხაზებს შორის მანძილი წარმოადგენს ინდუცირებულ მოთხოვნას. კვლევები ადასტურებენ ექიმების ტენდენციას გაწეული მომსახურების მოცულობის გაზრდისკენ. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ქირურგების რაოდენობის ზრდა შეერთებულ შტატებში, თანაბარი მოთხოვნის ფაქტორების დროს, არ ამცირებს, არამედ ზრდის საბაზრო ფასებს, რაც ირიბად ასახავს ინდუცირებული მოთხოვნის არსებობას (Fuchs, 1978).

ნახატი. მოთხოვნა, პროვოცირებული მიწოდებით



ზოგჯერ ექიმი შეიძლება დაინტერესებული იყოს სამედიცინო დახმარების მოთხოვნის გაზრდით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი ანაზღაურებისათვის გამოიყენება შესრულებული სამუშაოს მიხედვით დაფინანსების მეთოდი. ჯ. ჰიქსონმა (1987) აჩვენა, რომ პედატრები, რომელთა ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, პაციენტებზე ზრუნვის სერვისებს ახდენენ იმაზე

მეტი მოცულობით, ვიდრე ეს რეკომენდირებულია ამერიკის პედიატრიის აკადემიის მიერ, და არ აკეთებენ ამას როდესაც იღებენ ფიქსირებულ ხელფასს (Hickson et al., 1987).

ა. ეპსტეინმა (1986) აჩვენა, რომ ექიმები უნიშნავენ 50%-ით მეტ ეკგ-ს და 40%-ით მეტ რენტგენოგრაფიას როდესაც მათი ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ვიდრე სულადობრივი მეთოდით გადახდისას (Epstein, 1986). ამგვარად, სამედიცინო ბაზრის ნაკლოვანებები, კერძოდ, ინფორმაციის ასიმეტრია, მიგვანიშნებს, რომ სამედიცინო მომსახურების მოთხოვნაზე გავლენას ახდენენ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები, ექიმები. ამასთან, მკვლევართა აზრით, მოთხოვნის ზრდა ხელს არ უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, იგი განაპირობებს დამატებითი რესურსების მობილიზაციის საჭიროებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვა, უფრო ეფექტური სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ ის მოულოდნელად ჩნდება. უფრო ხშირად ადამიანებს არ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ, როდის დასჭირდებათ სამედიცინო დახმარება. ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენება დაზღვევა. თუმცა, თავად ჯანმრთელობის დაზღვევას აქვს საბაზრო ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის ასიმეტრიის არსებობასთან: დაზღვეული უკეთ არის ინფორმირებული მისი ავადმყოფობისა და შესაძლო სამომავლო ხარჯების შესახებ, ვიდრე მზღვეველი. ამიტომ, ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის სისტემაში მწვავედ დგას არახელსაყრელი შერჩევისა და ეთიკური საფრთხის საკითხები, რის შედეგადაც გაწეული სამედიცინო დახმარების მოცულობა არ შეესაბამება სოციალურად ოპტიმალურს.

ინფორმაციული ასიმეტრიის არსებობა უარყოფითად აისახება სამედიცინო მომსახურების ბაზარზე. ხშირად, ინდივიდებს არ აქვთ ინფორმაცია თავიანთი დაავადების, მკურნალობის ცალკეული მეთოდების ეფექტურობის შესახებ. უფრო მეტიც, სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა სახეები ადამიანს სჭირდება არარეგულარულად ან მხოლოდ ერთხელ, რაც არ იძლევა დაგროვილი გამოცდილების გამოყენების საშუალებას მომავალში გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მომხმარებლები ვერ განასხვავებენ კარგ და ცუდ მკურნალობას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიზანმიმართულად მოიძიონ საუკეთესო სამედიცინო მომსახურება ბაზარზე. ავადმყოფობის შემთხვევაში, ისინი სავარაუდოდ მიმართავენ მიმწოდებელს, რომელთანაც დაამყარეს ხანგრძლივი ურთიერთობა. ჯანდაცვის მიმწოდებლის ინტერესებში შედის კარგი რეკუტაციის შენარჩუნება, ხოლო ამის სანაცვლოდ პროვაიდერი იღებს მონოპოლიურ ძალაუფლებას მომხმარებელზე, რაც ასევე ამცირებს საბაზრო ურთიერთქმედების ეფექტურობას.

ინფორმაციის ასიმეტრიის პრობლემის სიმძიმე განპირობებულია იმით, რომ მყიდველისთვის ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია ხარჯებთან. თუმცა, დროთა განმავლობაში, ინფორმაციის მოპოვების ღირებულება შეიძლება შემცირდეს. ბოლო წლებში ინტერნეტი სულ უფრო ხშირად გამოიყენება ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ბევრმა ქვეყანამ დაიწყო ჯანდაცვის პროვაიდერების მუშაობის ხარისხის შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნება.

სამედიცინო ბაზარზე რესურსების ეფექტურ განაწილებას ხელს უშლის გარე ეფექტები. ჯანდაცვის ზოგ სერვისს აქვს დადებითი გარე ეფექტი. მაგალითად, ინფექციური დაავადებების მკურნალობა ან ვაქცინაცია ქმნის სარგებელს არა მხო-

ლოდ მათთვის, ვინც მასში მონაწილეობს (კერძო სარგებელი); არამედ საზოგადოების ყველა სხვა წევრისთვის (გარე სარგებელი).

გარე ეფექტი ასევე დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობასთან. ზოგადად, ჯანმრთელ ადამიანებს აქვთ უფრო მაღალი შრომის პროდუქტიულობა, ნაკლები გაცდენები ავადმყოფობის გამო და მეტი სიცოცხლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, ინდივიდების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას აქვს დადებითი გარე ეფექტი მშპ-ის ზრდის კუთხით.

ამგვარად, ჯანდაცვის სექტორში სამომხმარებლო მოთხოვნის მთავარი ფაქტორია ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე წარმოადგენს ჯანმრთელობაზე მოთხოვნისგან წარმოებულს. სამომხმარებლო გადაწყვეტილებები განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ფაქტიური ფასის მიხედვით, რომელსაც პაციენტი პირდაპირ იხდის. ეს ორი ფაქტორი ყოველთვის ერთდროულად მოქმედებს: პაციენტი ირჩევს სერვისის ხარისხს, რომლის დროსაც ითვალისწინებს ფასს, ანუ ირჩევს მისთვის ყველაზე უფრო სარგებლიან შეფარდებას „ფასი - ხარისხი“.

ამ არჩევანზე გავლენას ახდენენ მრავალი სხვა ფაქტორები: სამედიცინო მომსახურების ფიზიკური ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების დემოგრაფიული და კულტურული მახასიათებლები. სხვადასხვა დაავადებების დროს სამედიცინო მომსახურების გაწევის თავისებურებები. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებზე ინფორმაციის არსებობა.

სამედიცინო მომსახურების მომხმარებელი ჩვეულებრივ ეყრდნობა სხვა მომხმარებლების აზრს ან ექიმების აზრს, რომელიც სთავაზობს მკურნალობის ვარიანტებს, ანუ ინფორმაციაზე, რომლის მიღება და შეფასება მოითხოვს დროის და რესურსების გარკვეულ ხარჯებს. რაც უფრო მაღალია ვარიანტების რაოდენობა, მით უფრო დიდია ეს ხარჯები. არჩევისას ითვალისწინებენ გვერდით ხარჯებსაც, რომლებიც დაკავშირებულია აუცილებელი დახმარების მიღებაზე, მაგალითად ტრანსპორტის ხარჯები, შემოსავლის შესაძლო დაკარგვა სახლიდან მოშორებით მკურნალობის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

### **სამედიცინო სერვისებზე მოთხოვნა, როგორც ჯანმრთელობაზე მოთხოვნისგან წარმოებული**

ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიაში ითვლება, რომ ინდივიდები ყიდულობენ სერვისებს და საქონელს სარგებლიანობის მაქსიმიზაციის მიზნით, ანუ საქონლისა და სერვისების მოხმარებას მათთვის მოაქვს კმაყოფილება. დღეისათვის ეკონომისტები იყენებენ სამომხმარებლო მოთხოვნის ანალიზის უფრო რთულ მეთოდს - ისინი გვთავაზობენ განვასხვავოთ ბაზარზე შეძენილი საქონლები და ფუნდამენტური ღირებულებები, რომელთა უზრუნველყოფა შეიძლება ამ საქონლების მოხმარებით. ჯანმრთელობა ასეთ ფუნდამენტურ ღირებულებას განეკუთვნება, რადგან მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია მათი განწყობა, და არა მხოლოდ სამედიცინო სერვისები. ადამიანებს აქვთ ჯანმრთელობაზე მოთხოვნა, ხოლო მისი შენარჩუნებისათვის ყიდულობენ სამედიცინო სერვისებს. ამგვარად **სამედიცინო სერვისებზე მოთხოვნა არის ჯანმრთელობაზე მოთხოვნისგან წარმოებული.**

ამერიკელი ეკონომისტის მ. გროსმანის მიხედვით, ჯანმრთელობა შეიძლება განვიხილოთ როგორც სამომხმარებლო სარგებელი, ასევე საინვესტიციო, რადგან რაც უფრო მაღალია ჯანმრთელობის მდგომარეობა, მით მაღალია ადამიანის, რო-

გორც მუშაკის მწარმოებლურობა, რადგან მცირდება დაავადების ხანგრძლივობა, იზრდება შრომისუნარიანობა, და შესაბამისად იზრდება შემოსავლების მიღების უნარი, რაც ზრდის მისი როგორც მომხმარებლის შემოსავლებს.

რადგან დროთა განმავლობაში ხდება ჯანმრთელობის ამორტიზაცია, მისი დონის გაზრდისათვის საჭიროა შესაბამისი ინვესტიციები, მათ შორის სამედიცინო მომსახურების ყიდვა. გროსმანმა შეიმუშავა ფორმალური მოდელი, რომელშიც სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა განიხილება როგორც ჯანმრთელობაზე მოთხოვნისგან წარმოებული. წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ყოველი ინდივიდი დროის ყოველ მომენტში ახორციელებს რაციონალურ არჩევანს სამედიცინო სერვისების ნაკრებსა (რომელიც უზრუნველყოფს მის ჯანმრთელობას) და ყველა დანარჩენ სარგებლებს შორის.

გროსმანის მოდელი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი გვიხსნის თუ როგორ ახორციელებს ადამიანი სამედიცინო მომსახურების შერჩევას. საქმე იმაშია, რომ გროსმანის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების მთლიანი ფასი მოიცავს ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე დროის (დაავადების ხანგრძლივობა და მკურნალობის დრო) ხარჯებსაც. რაც უფრო მაღალშემოსავლიანია ადამიანი მით მეტი სურვილი აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს სამუშაო დრო. მდიდრებისათვის დაავადების დროის ფასი უფრო მაღალია ვიდრე ღარიბებისათვის. მდიდრები შედარებით ნაკლებად რეაგირებენ სამედიცინო სერვისების საბაზრო ფასზე, რადგან მათთვის უფრო მნიშვნელოვანია დროის ფასი. მაღალშემოსავლიანი პირები ცდილობენ საკუთარი სამუშაო დროის მაქსიმიზაციას და შედარებით მეტ ინვესტიციას დებენ თავიანთ ჯანმრთელობაში. მათთვის დროის ფასი მეტია, ვიდრე სამედიცინო მომსახურების ფასი. აქედან გამომდინარე, მათი მზადყოფნა, გადაიხადონ მკურნალობა უფრო მაღალია, შესაბამისად, მეტია მოთხოვნა სამედიცინო დახმარებაზე. ღარიბებისათვის ფასი მნიშვნელოვანი ფაქტორია, შესაბამისად, მომსახურებაზე უარის თქმა უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Pauly MV. (1980). Doctors and their workshops: economic models of physician behavior. Chicago: University of Chicago Press.
2. Fuchs VR. (1996). Economics, Values and Health Care Reform. American Economic Review, No 86.
3. Hickson GB., Altemeier WA., Perrin JM. (1987). Physician reimbursement by salary or fee-for-service: effect on physician practice behavior in a randomized prospective study. Pediatrics, 80(3), 344-350.
4. Epstein RA. (1986). Medical Malpractice, Imperfect Information, and the Contractual Foundation for Medical Services. Law and Contemporary Problems, 49(2), 201-212. <https://doi.org/10.2307/1191422>.

*Tengiz Verulava*

*Doctor of Medicine, Professor*

*Director of Health Policy Institute, School of Business, Caucasus University*

## THE ROLE OF DOCTORS IN THE FORMATION OF DEMAND FOR MEDICAL SERVICES

### Expanded Summary

In the normal market, the consumer has prior information and can choose according to his taste, from whom, where, and at what prices to buy the desired goods. It is completely independent of the seller. When buying goods, the consumer takes into account his income and tries to use it to the maximum benefit, that is, he appears as a rational buyer. However, in some cases (eg, car or plumbing repair) the consumer is not fully informed about this or that product and it is difficult to make a choice. At such times, people turn to informed agents to help them make choices.

The situation is even more difficult in the health sector. The market of medical services is characterized by a high degree of uncertainty and information asymmetry. The customer does not always have the opportunity to decide on the amount of medical services and treatment methods needed. The decisive role in determining the scope of medical services is assigned to the doctor, not the patient. The doctor assesses the patient's condition, determines the requirement, and prescribes the necessary treatment. At this time, the patient is usually limited to evaluating the rationality of the doctor's actions, because he cannot justify the need for the services provided. The patient becomes dependent on the doctor and the model of the doctor as a patient agent is born, where the doctor determines the amount of medical services needed by the patient.

The paper aims to study the role of doctors in the medical market in the formation of demand for health services.

**Keywords:** medical market, demand for medical services, supply-induced demand.



*ნატალია დავლაშიერიძე*  
Доктор экономики

**НОБЕЛЕВСКИЕ ЛАУРЕАТЫ ПО ЭКОНОМИКЕ ПОЛ МИЛГРОМ И ЭЛИНОР  
ОСТРОМ О РОЛИ ВОДНЫХ РЕСУРСОВ КАК ОДНОГО ИЗ ВАЖНЕЙШИХ  
АСПЕКТОВ УКРЕПЛЕНИЯ ЭКОНОМИКИ СТРАНЫ**

*Аннотация.* Голубая экономика подразумевает всю экономическую деятельность, связанную с океанами, морями и побережьями. Вода фактически является «жидким золотом» – важнейшим ресурсом на Земле, без которого люди не смогут ни жить, ни развивать многие виды бизнеса. За последние 40 лет использование воды в мире каждый год увеличивается на 1%, и оно продолжит расти вплоть до 2050 года. Однако, население отдельных стран с низким и средним уровнем дохода уже сталкивается с дефицитом воды, а с годами его будет становиться все больше.

Нобелевские лауреаты по экономике Пол Милгром и Элинор Остром проанализировали и предложили механизмы для оценки и оптимального распределения водных ресурсов, а также эффективные варианты их использования.

Данные теоретические исследования могут иметь значительную практическую пользу для Грузии, так как вода представляет собой первую потребность человеческой жизни после воздуха, и именно поэтому считается уникальным минералом, по количеству которого Грузия является одной из самых богатых стран.

**Ключевые слова:** голубая экономика, теория аукционов, рыночный дизайн.

**Введение**

Одна из целей устойчивого развития ООН предусматривает обеспечение к 2030 году наличия и рационального использования водных ресурсов и санитарии для всех стран. В целом более рациональное и бережное отношение человечества к окружающей среде, климату и ресурсам должно стать ключом для решения как климатических проблем, так и водного кризиса.

Согласно новому докладу, подготовленному участниками и партнерами механизма «ООН – водные ресурсы» и опубликованному ЮНЕСКО, сегодня 2,2 миллиарда человек все еще живут без доступа к чистой питьевой воде, а 3,5 миллиарда не имеют доступа к безопасным санитарным условиям. Таким образом, цель ООН по обеспечению такого доступа для всех к 2030 году далека от достижения, и есть основания опасаться, что это неравенство может продолжать расти<sup>28</sup>.

На конференции ООН по водным ресурсам, прошедшей в 2023 году<sup>29</sup>, водный кризис был признан глобальной проблемой, поскольку каждая страна так или иначе сталкивается со сложностями, связанными с водой. Основной причиной кризиса была названа неразумная эксплуатация планеты и ее ресурсов людьми. Как пишет CNBC со ссылкой на данные Службы по изменению климата Copernicus (C3S) Европейского Союза<sup>30</sup>, 2023 год оказался самым жарким за всю историю наблюдений. В 2023 году впервые в истории зафиксировано превышение температуры каждого дня в течение года на 1°C по сравнению с доиндустриальным периодом. Но если сейчас проанализировать данные за 2024 год, то температура в январе, феврале, марте, апреле и мае<sup>31</sup> является

<sup>28</sup> <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000388948>

<sup>29</sup> UN 2023 Water Conference | Department of Economic and Social Affairs

<sup>30</sup> <https://climate.copernicus.eu/?amp&amp>

<sup>31</sup> <https://climate.copernicus.eu/may-2024-marks-12-months-record-breaking-global-temperatures>

рекордной по сравнению с предыдущим 2023 годом, который уже, в свою очередь, считается рекордным по своим показателям, что дает основание предположить, что и 2024 год превзойдет достигнутый температурный порог.

\* \* \* \*

**Пол Милгром** профессор гуманитарных и естественных наук Стэнфордского института исследований экономической политики (SIEPR), а также Стэнфордской высшей школы бизнеса (GSB) и факультета управленческих наук и инженерии Инженерной школы, разделил Нобелевскую премию по экономике в 2020 году с Робертом Уилсоном за новаторскую работу в области дизайна аукционов по созданию рынков для товаров и услуг, которые невозможно продать традиционными способами. Теперь он решает другую проблему XXI века – нехватка воды. Ученый считает, что река Колорадо, «кровь жизни Запада», находится в опасности обмеления. Десятилетия чрезмерного использования и засухи резко сократили запасы воды, угрожая экосистеме, которая поддерживает 40 миллионов человек и 5,5 миллионов акров сельскохозяйственных угодий в близлежащих штатах и некоторых частях северной Мексики. Это создает необходимость резкого сокращения потребления воды, но семь штатов, которые используют ресурсы реки Колорадо, не могут договориться о том, насколько меньше каждому из них нужно взять на себя в долгосрочной перспективе, во многом потому, что не совсем ясно, кому принадлежат какие законные права на реку и кто должен получить приоритет над другими по доступу к воде. Если штаты не смогут договориться, федеральное правительство, как сообщается, угрожает сделать за них трудный выбор.

Управление водными ресурсами, по словам Милгрота, созрело для исправления ситуации на рынке – не только в бассейне реки Колорадо, но и во всем мире, поскольку нехватка воды, усугубляемая изменением климата, становится определяющей проблемой 21 века<sup>32</sup>. Уже недостаточно оставлять решения по использованию воды на усмотрение федерального правительства, правительства штата и местных органов власти. «Мы пытаемся решить ряд проблем 21-го века с помощью технологий 20-го века и законов 19-го века», — считает он.

Милгром входит в состав междисциплинарной Стэнфордской команды, возглавляемой Билли Фергюсоном, которая разработала тщательно продуманный план того, как новые рынки торговли водой могут решить ключевые политические проблемы, связанные с водой, а также обеспечить ее оптимальное распределение, одновременно предоставляя стимулы для крупных пользователей находить лучшие способы при меньших затратах. Милгром и Фергюсон изложили свое предложение в рабочем документе, опубликованном Национальным бюро экономических исследований<sup>33</sup>. Их вариант использования – Калифорния, одна из крупнейших заинтересованных сторон в бассейне реки Колорадо, чья система разделения поверхностных вод, поступающих из рек и ручьев, особенно сложна и непрозрачна. Большая часть их плана заимствована из работы Милгрота, проведенной с целью помочь Федеральной комиссии по связи (FCC) решить проблему предоставления большего количества радиоволн компаниям беспроводной связи, чтобы они могли удовлетворить растущий потребительский спрос на мобильные услуги. Как известно, Милгром возглавил команду экспертов в области экономики и информатики через свою компанию Auctionomics для создания добровольного рынка торговли нового типа лицензиями на радиочастотный спектр, что в результате обеспечило мобильную связь в том виде, в котором мы ее знаем сегодня. Организованный им двухэтапный аукцион принес в общей сложности 20 миллиардов долларов радио- и телеоператорам и еще 10 миллиардов долларов Казначейству США.

<sup>32</sup> <https://qz.com>

<sup>33</sup> Billy A. Ferguson & Paul Milgrom. Market Design for Surface Water. WORKING PAPER 32010. DOI 10.3386/w32010. ISSUE DATE December 2023

По своей сути, их идея рынка воды была призвана преодолеть основные недостатки нынешней политики. В Калифорнии, например, применяется подход к поверхностным водам по принципу «первым пришел — первым обслужен», при котором первые правообладатели — среди них фермы и ранчо, построенные 100 и более лет назад — имели приоритет в доступе к рекам и ручьям перед прибрежными городами, такими как Лос-Анджелес и Сан-Диего, появившимися позже. В Калифорнии также действует положение «используй или потеряй», которое требует от правообладателей ежегодно потреблять свои поверхностные воды, иначе они рискуют получить меньше воды в будущем. Технически они могут продавать излишки воды другим пользователям, но на практике это сложно сделать. «Система устроена таким образом, что у вас есть стимулы использовать все выделенные средства и нет стимулов к экономии»<sup>34</sup>.

Более эффективный подход заключался бы в установлении нового права собственности, направленного на доставку воды тем, кто в ней больше всего нуждается и готов за нее платить. Помимо прочего, это новое право будет основываться на том, сколько воды потребляется, а не отводится, и корректироваться по мере изменения уровня осадков от года к году. При этом появляются стимулы экономить воду – возможно, путем перехода на маловодные культуры или установки более эффективных систем очистки воды – и продавать то, что им не нужно, не нанося ущерба потребителям, расположенным ниже по течению (так называемый «обратный поток»). А поскольку вода станет финансовым активом, Милгром и Фергюсон говорят, что фермеры и другие правообладатели будут иметь более легкий доступ к кредитам или другому капиталу для оплаты инвестиций в водосберегающие технологии. Хотя это и не обратит вспять изменение климата и не вызовет дождей, оно будет иметь большое значение для обеспечения долгосрочной устойчивости и необходимого уровня гибкости в распределении воды<sup>35</sup>.

Для реализации данной теории в 2020 году CME Group выпустила фьючерсы на индекс воды в Калифорнии. Так вода присоединилась к другим сырьевым товарам, торгуемым на Уолл-стрит. Этот шаг стал отражением страха общества перед дефицитом воды. Фермеры, хедж-фонды и муниципалитеты могут застраховаться или сделать ставку на будущую доступность воды в Калифорнии, крупнейшем сельскохозяйственном рынке США. Водный индекс Nasdaq Veles был запущен в 2018 году. Как пишет Bloomberg, индекс устанавливает еженедельную базовую спотовую цену на права на воду в Калифорнии, подкрепленную средневзвешенным по объему цен сделок на пяти крупнейших и наиболее активно торгуемых рынках штата. Фьючерсы рассчитываются финансово и не требуют фактической физической поставки. По мнению базирующейся в Чикаго компании CME, фьючерсы помогают пользователям воды управлять рисками и лучше согласовывать спрос и предложение. Уолл-стрит уделяет все больше внимания бизнес-рискам, связанным с водой. Как сообщает Quartz<sup>36</sup>, корпоративные активы на сумму около \$15,5 млрд. оказались в трудном положении из-за противодействия общества и изменений в законодательстве, вызванных водным дефицитом. В последние годы суверенные фонды благосостояния и крупные трасты, такие как BlackRock и Franklin Templeton, начали включать водные риски компаний в свои модели оценки и инвестиционные решения. Институт мировых ресурсов публикует популярные карты, на которых показаны уровни водного стресса в любой точке мира.

<sup>34</sup> Billy A. Ferguson & Paul Milgrom. Market Design for Surface Water. WORKING PAPER 32010. DOI 10.3386/w32010. ISSUE DATE December 2023

<sup>35</sup> Данные вопросы сегодня находятся в центре внимания, например, 10-й ежегодной конференции, организованной Центром Билла Лейна 27 марта 2024 г. по теме «Устойчивое управление ресурсами реки Колорадо», а также Конференции по устойчивому развитию «Вода как средство существования» 19 апреля 2024 г.

<sup>36</sup> [https://www.nber.org/system/files/working\\_papers/w32010/w32010.pdf](https://www.nber.org/system/files/working_papers/w32010/w32010.pdf)

Инвесторы накладывают на них карты глобальных операций компании, чтобы определить области, где они могут подвергаться риску.

Если в Калифорнии наблюдаются проблемы с водой, то в таких штатах, как Аризона, рынок воды довольно ликвиден, и землевладельцы могут продавать воду, текущую под их землей и мимо нее, так же, как они продавали бы лес или урожай. В Аризоне уже наблюдаются волны крупных инвесторов, наводнивших штат, чтобы скупить богатые водой земли и получить доход от продажи «жидкого золота» отчаявшимся муниципалитетам. В то же время в Вашингтоне уже появились общественные движения за запрет торговли водой из опасений, что ресурс, обеспечивающий основные потребности, превратят в финансовый товар. Однако Милгрэм и Фергюсон считают, что лучше позволить рынку решать, кто будет владеть водой.

The cause of severe damage to the forest ecosystem across the country is its illegal and uncontrolled extraction as a result of human's wrong economic activity. However, due to the current situation, it is very difficult to radically refuse the use of forest in various directions, because most of the family farms use it for heating and cooking.

The legal basis of forest management is created by the law "Forest Code", which is based on internationally recognized principles and modern approaches to sustainable forest management. Forest protection includes an extensive system of measures. The main goal of forest care is to maintain and improve its ecological balance to air quality.

Georgia undertook the obligation to introduce sustainable forest management approaches through the Georgia-EU Association Agreement, according to which it is necessary to protect the forest cover and take measures to prevent illegal logging and trade related to it.



As a member of the international community, Georgia is committed to implementing the UN Sustainable Development Goals, which, among other things, include sustainable forest management, increasing forest cover, and restoring degraded forests by 2030 (Goal 15).

Objectives related to air protection are among the national priorities of the United Nations Sustainable Development Goals. According to the green economic initiative of the United Nations Environmental Protection Program, the green economy is a model of economic development that aims at sustainable development and reduction of negative impact on the environment, and the use of new technologies and innovations based on sustainable development to improve the quality of life. Georgia is also involved in this process along with other countries.

Atmospheric pollution has no borders. To improve the existing conditions, it is not enough for our country to take care of an independent, stable ecological situation. The involvement of all states is necessary here because the global character of nature used in solving ecological problems requires joint action by states. During the last decade, in many European countries, extensive greening has been carried out, research centers are being created, and scientific and technical programs are being prepared, which are aimed at supporting innovative ecological technologies, ensuring a sustainable environment. Some European countries are trying to become zero-emission industrial countries by 2030. Our country should share the experience of those countries that entrust their work and efforts to ensure sustainable development in the country.

The problem of air pollution has not been completely solved in any country, but in many European countries, the USA, Canada, and Japan, the implementation of strict policies, regulations, and regular monitoring systems have significantly reduced emissions and concentrations of pollutants in the air. In many countries, air quality has gone hand in hand with economic development and wealth growth, meaning that efforts to reduce air pollution have not hindered a country's economic growth.

### **Conclusions and recommendations**

At the modern stage, the problem of air pollution remains one of the leading environmental problems worldwide. As a result of industrialization, consumption of energy resources, and population growth, atmospheric air pollution is increasing. Consequently, the results of pollution are visible. Protection of atmospheric air from pollution by anthropogenic activities is one of the most important factors determining the ecological security of any country.

Ambient air quality is one of the main challenges for our country. In Georgia, the problem of atmospheric air pollution is fixed in the largest cities of the country, as well as near large industrial facilities and industrial zones.

To improve the quality of the ambient air and minimize the emission of harmful substances into the air, we consider it necessary to:

Development of renewable, alternative energy, which will fundamentally reduce the consumption of energy resources and related emissions.

The gradual tightening of vehicle emission norms and their control.

In enterprises, the presence a self-monitoring system of dispersion in the ambient air, as well as filters (cleaning devices). In addition, the introduction of resource-saving and low-waste available technologies, to reduce as much as possible the non-targeted use of products and their behavior as waste. Searching for optimal ways of recycling waste and its reuse, which is harmoniously combined with the principle of circular economy.

Solving the waste problem by introducing policies and practices that will help prevent and reduce waste generation on the one hand, and separate waste collection, reuse, and recycling on the other hand, creating new innovative business opportunities.

To reduce air pollution, infrastructure development, mainly, implementation of a monitoring system in those cities and regions of the country where there are high risks of pollution.

Provision of environmental impact mitigation measures to minimize the spread of dust.

A different integrated approach to air protection typical for European countries will be created, which is based on taking appropriate measures against air pollution in a specific region in such a way that it does not cause an increase in air pollution in another region.

All this will be possible with the development of an innovative economy in the country and as a result of the formation and development of the "green" and "circular" economy within it.

### References

1. Abesadze R. "Circular" economy and waste management. "Economy and Society" magazine of the Institute of Economics named after Paata Gugushvili TSU. 16/06/2022
2. Abesadze R. "Green" economy. "Economy and Society" magazine of the Institute of Economics named after Paata Gugushvili TSU. 23/05/2022
3. Ambient air quality. of environmental information and Education Center. Tbilisi 2021
4. Dvalishvili L. Innovations in the field of air protection in Georgia: Current situation and prospects. TSU Paata Gugushvili Publishing House of the Institute of Economics. TSU Scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics collection. 2020 Vol. XIII
5. Dvalishvili L. Ambient air quality and pollution in Georgia. "Economy and Society" magazine of the Institute of Economics named after Paata Gugushvili TSU. 21/05/2024.
6. The Fourth National Program of Environmental Protection Actions of Georgia 2022-2026. March 2022.
7. <https://www.undp.org/ka/georgia/publications/klimatis-tsvlileba-gamocvevebi-da-problemebis-dadzlevis-gzebi>
8. <http://ekolog.ru/mejdunarodnij.opit-vsfero-ohani-atmosfernogo-vozduha-razviti.htm/>
9. <https://www.iqair.com/georgia>
10. <https://www.iamat.org/risks/air-pollution>
11. <https://greenpole.org/>
12. <https://mepa.gov.ge>
13. <https://matsne.gov.ge>
14. [www.air.gov.ge](http://www.air.gov.ge)
15. [www.wikipedia.org.ge](http://www.wikipedia.org.ge)
16. [www.unenvironment.org](http://www.unenvironment.org)

**ლია დვალიშვილი**

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის  
მეცნიერი თანამშრომელი

### **ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში**

#### **რეზიუმე**

ცხოვრების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია ჰაერის მაღალ ხარისხზე. ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ემისიების ზრდა პირდაპირ კავშირშია ჰაერის ხარისხის გაუარესებასთან, რის შედეგადაც მაღალია სიკვდილიანობით გამოწვეული ზარალისა და ცხოვრების ხარისხით გაუარესებით მიყენებული ზიანის ამსახველი მონაცემები.

ჰაერის დაბინძურება საფრთხეს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის, რადგან იგი ერთდროულად გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე.

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყნის მასშტაბით ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული საფრთხეების უმთავრესი მიზეზი არის გამონაბოლქვი.

პრობლემის მართვა მოითხოვს გარემოს დაცვის მართვის საუკეთესო უნარებს. საერთაშორისო ორგანიზაციების და ეროვნული მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, რეფორმები და მდგრადი ინიციატივები წარმოადგენს ქვაკუთხედს, ქვეყანა გახდეს უკეთესი, სუფთა, მწვანე.

დოქტორანტიზისა და მაგისტრანტიზის სამეცნიერო ნაშრომები  
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

**გიგი ელიზბარაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*

**საქართველოს თანაზომიერი განვითარების არსისა და მისი შეფასების  
ინდიკატორების შესახებ**

**ანოტაცია.** სტატიის მიზანია თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კუთხით საქართველოში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი მინიმიზაციის გზების ძიება. ამისათვის შევიმუშავებთ ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასების ინდიკატორებს. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს შევასოთ საქართველოს დედაქალაქის განვითარების დონესა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისბალანსი. მიღებული შედეგების საფუძველზე კი წარმოვადგინებ რეკომენდაციებს თუ რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს ქვეყანაში იმისათვის, რომ არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარება მინიმუმამდე დავიდეს და ქვეყანამ შეძლოს ეკონომიკური განვითარების გზაზე შეუფერხებლად სვლა.

**საკვანძო სიტყვები:** თანაზომიერი ეკონომიკური განვითარება, დისბალანსი, თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტები, ეკონომიკური განვითარების დიაპაზონები.

**შესავალი**

ქვეყნის თანაზომიერი განვითარება თანამედროვე პერიოდის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რასაც ჩრდილქვეშ აყენებს დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი. არ არსებობს ქვეყანა, თუ ის ძალიან მცირე ზომის არ არის, რომელსაც აღნიშნული დისბალანსი არ ახასიათებს [კაპავა, 2013]. არათანაბარი განვითარების დროს რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი და შესაბამისად, რეგიონებთან შედარებით ცხოვრების სტანდარტიც მაღალია, რაც იწვევს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დედაქალაქში თავმოყრას და რეგიონების დეპოპულაციას.

დეპოპულაციას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამამძიმებელ გარემოებას, თითქმის მთელი მსოფლიო ებრძვის, რომლის აღმოსაფხვრელადაც საჭიროა მისი მამოძრავებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, ინსტიტუციური თუ სოციო-კულტურული ფაქტორების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება [Plieninger, et al., 2016: 204]. ეკონომიკური ფაქტორებიდან აღსანიშნავია რეგიონში ინვესტიციების სიმცირე, კაპიტალის ხელმიუწვდომლობა და უმუშევრობა. სოციალური ფაქტორებიდან, ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონში შემოსავლების დაბალი, ხოლო ფასების მაღალი დონე. ინსტიტუციური ფაქტორები ეხება იმ მახასიათებლებსა და ელემენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინსტიტუტების ფუნქციონირებას და აყალიბებენ საზოგადოებრივ, თუ ორგანიზაციულ ქცევას. პოლიტიკური ფაქტორების ქვეშ კი მოიაზრება მთავრობის მიერ გასატარებელ იმ ღო-


ნისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული პროცესების ხელშეწყობას ან თავიდან აცილებას ემსახურება [EP, 2023].

რეგიონების დეკონსოლიდაციის შედეგად დედაქალაქში კონცენტრირებული მოსახლეობის რაოდენობა იწვევს ნაკლებად კვალიფიციური სამუშაო ძალის ჭარბ მიწოდებას, ხელფასების შემცირებას და უმუშევრობის საერთო დონის ზრდას. ამავდროულად მოსახლეობისგან დაცარიელებულ რეგიონებში ეკონომიკური აქტივობა ქრება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის უკუსვლას იწვევს.

მოცემული კვლევის მიზანი თემის აქტუალობიდან გამომდინარე, თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებაა, რომლისთვისაც გამოყენებულია თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების შეფასების ავტორის მიერ შემუშავებული ინდიკატორები. მას შემდეგ, რაც გამოვლინდება დისბალანსი საქართველოს დედაქალაქისა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის, დაიწყება მისი მინიმუმამდე დაყვანის გზების ძიება, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურ დონეზე შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

**საქართველოს ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასების მეთოდოლოგია** თანაზომიერი განვითარების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანსაც საქართველოს მოსახლეობაში თბილისის მოსახლეობის წილის დადგენა წარმოადგენდა. ვინიდან, საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყანაა და ამასთანავე ევროკავშირისკენ მისწრაფვის, განვიხილეთ, როგორც პოსტსაბჭოთა, ასევე ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის დედაქალაქის დემოგრაფიული მდგომარეობა (იხ. დიაგრამა1) [CP, n.d].

დიაგრამა 1



გამოვლინდა, რომ გამოკვლეული ორმოცი ქვეყანის დედაქალაქს შორის თბილისის მოსახლეობის წილის პროცენტულ მაჩვენებელს - 33%-ს, მხოლოდ მეზობელი სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქის შესაბამისი დემოგრაფიული მაჩვენებელი აღემატება. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი თბილისში ცხოვრობს, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. მართალია, ზოგიერთ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოსაც უფიქსირდება მაღალი მაჩვენებლები ამ კუთხით, თუმცა განვითარებული ეკონომიკის წყალობით, მათი მოსახლეობა ქვეყნის შიგა ეკონომიკურ დისბალანსს ნაკლებად განიცდის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 2 383,3 ადამიანს, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 1 კვ. კმ-ზე სიმჭიდროვეს 18,4-ჯერ აღემატება, გურიისას - 45-ჯერ, იმერეთისას - 31,8-ჯერ, კახეთისას 87,9-ჯერ, მცხეთა-მთიანეთისას - 143,7 ჯერ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისას - 396-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთისას - 58,1-ჯერ, სამცხე-ჯავახეთისას - 102-ჯერ, ქვემო ქართლისას - 34,3-ჯერ, შიდა ქართლისას - 31,6-ჯერ [საქსტატი, 2023ბ]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრავალფეროვანი რელიეფი გააჩნია და მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოთვლისას დაუსახლებელი ტერიტორიების ფართობებიც იღებს მონაწილეობას, მოცემული ციფრები მაინც სავალალო მდგომარეობის მანიშნებელია რეგიონებისთვის.

ქვეყნების უმეტესობისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების დღის წესრიგში უნდა იდგეს აღნიშნული უთანაბრობის მინიმუმამდე დაყვანა. თითოეული ქვეყნის რეალური განვითარებისთვის უნდა არსებობდეს გარკვეული ბალანსი რეგიონისა და დედაქალაქის განვითარებას შორის, რის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის ყველა ტერიტორიული ერთეულის მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ამ პრობლემის თვალნათლივ საჩვენებლად, შევიმუშავეთ ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების დონის შეფასების ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება თითოეული ქვეყნის ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების ერთმანეთთან შედარება. (სტატივაში განხილულია მხოლოდ დედაქალაქისა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების, როგორც ერთმანეთთან, ასევე ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებასთან შედარება). ამისათვის შევიმუშავეთ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის  $K_{R1}$ ,  $K_{R2}$ ,  $K_{C1}$ ,  $K_{C2}$  კოეფიციენტები და მათი გამოსათვლელი ფორმულები, რომელთა ზოგად აღნიშვნასაც წარმოადგენს  $K_{xn}$ :

**1. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი ( $K_{R1}$ )** ერთმანეთს ადარებს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარების დონეებს:

$$K_{R1} = \frac{RGDP/RN - GDP/N}{GDP/N} = \frac{RGDP/RN}{GDP/N} - 1;$$

სადაც: GDP მთლიანი სამამულო პროდუქტია, RGDP - რეგიონის მთლიანი სამამულო პროდუქტი, N - ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო RN - რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა.

**2. დედაქალაქის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონული გადახრის კოეფიციენტი ( $K_{R2}$ )** გვიჩვენებს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონიდან:

$$K_{R2} = \frac{RGDP/RN - CGDP/CN}{CGDP/CN} = \frac{RGDP/RN}{CGDP/CN} - 1;$$

სადაც: CGDP დედაქალაქის მთლიანი სამამულო პროდუქტია, ხოლო CN - დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა.

3. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი ( $K_{C1}$ ) ვიზუალურად, დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონიდან:

$$K_{C1} = \frac{CGDP/CN - GDP/N}{GDP/N} = \frac{CGDP/CN}{GDP/N} - 1;$$

4. რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი ( $K_{C2}$ ) წარმოადგენს დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონიდან:


$$K_{C2} = \frac{CGDP/CN - RGDP/RN}{RGDP/RN} = \frac{CGDP/CN}{RGDP/RN} - 1.$$

თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების გამოსათვლელ ფორმულირებასთან ერთად ამ კოეფიციენტების რიცხვით ღერძზე განლაგებისთვის და თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსის განსაზღვრისთვის ასევე შევიმუშავეთ ეკონომიკური განვითარების სამი დიაპაზონი. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების არეალს ის დიაპაზონი განსაზღვრავს, რომელშიც ყველაზე მაღალი გადახრის მქონე კოეფიციენტი მოექცევა, კოეფიციენტების მოდულის სიმცირე კი ნაკლები უთანაბრობის მანიშნებელია. აღნიშნული დიაპაზონები შემდეგი კვადრატული ფუნქციების ამონახსნებია:

$$I) K^2 < 0,25, \quad II) \begin{cases} K^2 > 0,25 \\ K^2 > 1 \end{cases}, \quad III) K^2 > 1.$$

I დონის დიაპაზონია „თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“ ( $-0,5 < K_{xn} < 0,5$ ), რომელიც რიცხვით ღერძზე წარმოდგენილია დამტრიხული ველის სახით. (იხ. გრაფიკი 1).


გრაფიკი 1



II დონის დიაპაზონია „არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“


( $0,5 < K_{xn} \leq 1$  და  $-1 \leq K_{xn} < -0,5$ ). (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2



III დონის დიაპაზონია „მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“  $K_{xn} < -1$  და  $K_{xn} > 1$ . (იხ. გრაფიკი 3).


გრაფიკი 3



შემუშავებული ინდიკატორები გამოყენებულია საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონის შეფასებისთვის. განვიხილეთ საქართველოს ყველა რეგიონის (გარდა ოკუპირებული რეგიონებისა), როგორც ჯამური, ასევე ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების შედარება თბილისისა და საქართველოს საშუალო ეკონომიკური განვითარების დონეებთან. გათვლები ჩატარებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე [საქსტატი, 2023ა, 2023გ].

პირველ რიგში, განხილულია საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების დინამიკა 2010-2022 წლებში (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4



გადახრის კოეფიციენტების 2010-2022 წლების დინამიკა აჩვენებს, რომ:





1.  $K_{R1}$  კოეფიციენტი მერყეობს -0,34-სა და -0,26-ს შორის, რაც საშუალოდ -0,29-ის ტოლია. ე.ი. რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს 29%-ით ჩამორჩება;
2.  $K_{R2}$  კოეფიციენტი მერყეობს -0,64-სა და -0,52-ს შორის, რაც საშუალოდ -0,58-ის ტოლია. ე.ი. რეგიონების ეკონომიკური განვითარება თბილისის ეკონომიკურ განვითარებას 58%-ით ჩამორჩება;
3.  $K_{C1}$  კოეფიციენტი მერყეობს 0,54-სა და 0,83-ს შორის, რაც საშუალოდ 0,67-ის ტოლია. ე.ი. თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს 67%-ით აღემატება;
4.  $K_{C2}$  კოეფიციენტი მერყეობს 1,07-სა და 1,77-ს შორის, რაც საშუალოდ 1,38-ის ტოლია. ე.ი. თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეს 138%-ით აღემატება.

ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება არათანაზომიერია. თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე აღემატება როგორც რეგიონების, ასევე მთლიანად ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს. ამ მოცემულობის ნათლად დასაანახად წარმოდგენილია 2010-2022 წლებში ცალკეული რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების დინამიკის ამსახველი დიაგრამები (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2


საქართველოს რეგიონების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების დინამიკა 2010-2022 წლებში





იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული გადახრის კოეფიციენტის ნულთან სიახლოვე უკეთესი - ნაკლები ეკონომიკური უთანაბრობის მანიშნებელია, დიაგრამებზე თვალნათლად ჩანს თუ რა დონეზეა თითოეული რეგიონი ამ კუთხით და როგორია მათი ეკონომიკური განვითარება წლების განმავლობაში, როგორც ქვეყნის საშუალო, ასევე დედაქალაქის საშუალო ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებით. განხილული რეგიონების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონების განსაზღვრისა და თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსების მინიჭებისთვის გამოთვლილია თითოეული რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების 2010-2022 წლების საშუალო მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3




აღნიშნული კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლების ერთეულბამდე დამრგვალების შემთხვევაში საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური განვითარება შემდეგნაირად დაიყოფა:

- $K_{R1}$  კოეფიციენტები უტოლდება ნულს და ათივე რეგიონისთვის მიეკუთვნება I დონის დიაპაზონს. ამასთანავე მათი ეკონომიკური განვითარების დონეებიც თანაზომიერად მიუყვება ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებას;
- $K_{R2}$  კოეფიციენტები I დონის დიაპაზონში ხვდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი რეგიონებისთვის - II დონის დიაპაზონში;
- $K_{C2}$  კოეფიციენტები, II დონის დიაპაზონში ხვდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი რეგიონებისთვის იგი მოთავსებულია III დონის დიაპაზონში. აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენენ არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონის მქონე რეგიონებს, დანარჩენი რეგიონები კი მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარებისას.

კვლევით მიღებულ შედეგებსა და საქართველოს ეკონომიკურ-დემოგრაფიულ მდგომარეობას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად გამოანგარიშებულია 2010 წელთან შედარებით თბილისისა და რეგიონების 2022 წლის მოსახლეობის

რაოდენობისა და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული ცვლილება (იხ. დიაგრამა 4) [საქსტატი, 2023ა].

დიაგრამა 4



დემოგრაფიული მონაცემებისა და თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტების დინამიკის ანალიზიდან იკვეთება, რომ 2022 წელს 2010 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა ან უცვლელი დარჩა მხოლოდ II დონის დიაპაზონში მოქცეულ რეგიონებში: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, მცხეთა-მთიანეთში და ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში კი შემცირდა. კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა. აქ, როგორც ზღვისპირა და ამავედროულად მაღალმთიან რეგიონში სწრაფად ვითარდება როგორც შიგა, ასევე გარე ტურიზმი. გაზრდილი მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობაში ჩართულობა კი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკური დოვლათის ზრდას;

- მცხეთა-მთიანეთში ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა უცვლელია, ეკონომიკური მდგომარეობა კი გაუმჯობესებული, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი, რეგიონის ტურისტულად მიმზიდველ მდებარეობასთან ერთად, მცხეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ მსხვილი ბიზნეს სუბიექტების არსებობას უკავია. სავარაუდოა, რომ ტურიზმის განვითარების გამო, თუ სხვადასხვა საწარმოებში დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილების ფაქტორით დაბრუნებული მოსახ-

ლეობის უმეტესობას სარეგისტრაციო მისამართად შესაძლოა კვლავ სხვა ადგილი ეწეროს, შესაბამისად ვერ იქონიოს გავლენა ამ რეგიონის მოსახლეობის ოფიციალურ ცვლილებაში;

▪ ქვემო ქართლში, მართალია მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა, თუმცა ეკონომიკური ზრდა არ შეინიშნება. სავარაუდოდ იმიტომ, რომ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობის მრავალშვილიანობის ტრადიციების გამო გაიზარდა ახალგაზრდა, არაშრომისუნარიანი მოსახლეობა. ამასთანავე, მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა, საიდანაც ეკონომიკის უფრო რენტაბელურ დარგებთან შედარებით არ მიიღება მაღალი ეკონომიკური ამონაგები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო თბილისშია დასაქმებული და შესაბამისად მათი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში დედაქალაქს განეკუთვნება. ქვემო ქართლის მაგალითი ცხადყოფს, რომ მოსახლეობის ზრდა ვერ იქნება ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი, თუ ეს მოსახლეობა არ აქტიურად ჩაერთვება რეგიონის ეკონომიკური დოვლათის შექმნაში;

▪ დანარჩენი რეგიონების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტები მეტნაკლებად გაუმჯობესებულია. მეტწილად, ეს გაუმჯობესება ქვეყნის საერთო ეკონომიკური ზრდის გავლენაა (ასე, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მსხვილი საინვესტიციო პროექტები) და არა უშუალოდ რეგიონების წარმატება. რომ არა, მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი შემცირება, ჩვენ მიერ შემუშავებული რეგიონული ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მცხეთა-მთიანეთის მსგავს ან უკეთეს შედეგს მოგვიტანდა.

### დასკვნა

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებად, როდესაც იგი თანაბრადაა გადანაწილებული ქვეყანაში არსებულ ტერიტორიულ ერთეულებზე და მთლიან მოსახლეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ზრდას განაპირობებს ერთი კონკრეტული რეგიონის ან დედაქალაქის განვითარება, შეუძლებელია ქვეყანაში არსებული საერთო სურათი, ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კუთხით დამაკმაყოფილებელი იყოს. აქედან გამომდინარე, მთავარ მიზანს ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს.

გასაკვირი არ არის, რომ საქართველო, თავისი საბჭოთა წარსულითა და განვითარებადი ეკონომიკით, არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში მოხვდა. დიდია დისბალანსი როგორც დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის, ასევე რეგიონების განვითარების დონეებს შორისაც. აღნიშნული დისბალანსის მინიმუმამდე დაყვანა მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია. საჭიროა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ძირეული რეფორმების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება დაბალგანვითარებულ რეგიონებში პარალიზებული ეკონომიკური აქტიურობის გამოცოცხლებაზე.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რეგიონის განვითარებასა და ამ რეგიონში ეკონომიკურ აქტიურობაში ჩართვით დაინტერესებულ, შრომისუნარიან, მოსახლეობის რაოდენობის ზრდას შორის დადებითი კორელაციური კავშირია. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ან თუნდაც მისი არსებულ დონეზე შენარჩუნება თითოეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების საწინდარია. რეგიონის ეკონომი-

მიკური განვითარება კი თავის მხრივ, მოსახლეობის ზრდის მასტიმულირებელია, როგორც ეს მცხეთა-მთიანეთში შეინიშნება, სადაც არსებულ საწარმოებში სამუშაოდ არამხოლოდ ადგილობრივები არიან დასაქმებული, არამედ დედაქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილიც აქტიურად მუშაობს. აქვე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ დადებით ტენდენციას, რომელიც თბილისისა და რეგიონების ანალიზიდან იკვეთება. 2022 წელს 2010 წელთან შედარებით თითოეული რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი საგრძნობლად აღემატება თბილისის ანალოგიურ მაჩვენებელს. მართალია ამ მაჩვენებლების შედარება „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ გამორიცხვის გარეშე შეუძლებელია, [პაპავა, 2020: 228] თუმცა იქმნება ოპტიმისტური განწყობა და იკვეთება პერსპექტივის არსებობა რეგიონების განვითარებისთვის მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც რეგიონში ეკონომიკური ციკლის ამომრავებაში ვლინდება, აამაღლებს მოსახლეობის ჩართულობას ეკონომიკური დოვლათის შექმნაში და გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებას. აგრეთვე, მოხდება დედაქალაქში კონცენტრირებული სამუშაო ძალის გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც შეამცირებს უმუშევრობას, შედეგად კი აჩქარდება თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპი და მისი განვითარების დონე არათანაზომიერი დიაპაზონიდან თანაზომიერ დიაპაზონში გადაინაცვლებს.

## References

1. პაპავა ვ., 2013. „მთავრობას ერთიანი გააზრებული ხედვა ჯერ არ წარმოუდგენია“. *საქართველოს ახალი ამბების სააგენტო*, 12 აპრილი, <<https://ghn.ge/news/86773-lado-papava-mtavrobas-ertiani-gaazrebuli-khedva-jer-ar-tsarmoudgenia>>.
2. პაპავა ვ. 2020. *არატრადიციული ეკონომიკისი*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 421 გვ., <[https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/oct/books/Papava\\_Aratradiciuli\\_Ekonomiksi\\_Ge.pdf](https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/oct/books/Papava_Aratradiciuli_Ekonomiksi_Ge.pdf)>.
3. საქსტატი, 2023ა. „მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>>.
4. საქსტატი, 2023ბ. „მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე რეგიონების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>>.
5. საქსტატი, 2023გ. „ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>>.

6. CP., n.d. “Population Statistics For Countries, Administrative Divisions, Cities, Urban Areas and Agglomerations – Interactive Maps and Charts.” City Population, <<https://www.citypopulation.de>>.
7. EP., 2023. Exploring Migration Causes: Why People Migrate. *European Parliament*, July 1, <<https://www.europarl.europa.eu/topics/en/article/20200624STO81906/exploring-migration-causes-why-people-migrate>>.
8. Kohler T., Elizbarashvili N., Meladze G., Svanadze D., Meessen H. (2017) The Demographic Crisis in Racha, Georgia: Depopulation in the Central Caucasus Mountains. *Mountain Research and Development*, 37(4): 415-424, <<https://bioone.org/journals/mountain-research-and-development/volume-37/issue-4/MRD-JOURNAL-D-17-00064.1/The-Demogeographic-Crisis-in-Racha-Georgia--Depopulation-in-the/10.1659/MRD-JOURNAL-D-17-00064.1.full>>.
9. Paniagua A. (2013) Farmers in Remote Rural Areas: The Worth of Permanence in the Place. *Land Use Policy*, 35: 1-7, November, <<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S026483771300080X>>.
10. Plieninger T., Draux H., Fagerholm N., Bieling C., Burgi M., Kizos T., Kuemmerle T., Primdahl J., Verburg P. H. (2016) The Driving Forces of Landscape Change in Europe: A Systematic Review of the Evidence. *Land Use Policy*, 57: 204-214, November 30, <<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0264837715301769>>.

*Gigi Elizbarashvili*

*Ph.D. candidate in Economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **ON THE ESSENCE OF BALANCED DEVELOPMENT OF GEORGIA AND ITS EVALUATION INDICATORS Expanded Summary**

The purpose of the article is to analyze the current situation in Georgia in terms of commensurate economic development, for which in the article are represented the indicators of the assessment of the country's commensurate economic development worked out by the author. The obtained results revealed a significant imbalance between the development levels of the capital city of Georgia and the regions. Also, we were given the opportunity to determine which region is relatively developed and which of them is in the most difficult economic situation. The article emphasizes the factors contributing to the incommensurate economic development of the country and the severe socio-economic consequences that are the results of the mentioned imbalance. Also, the means of prevention of the incommensurate economic development of the country and minimizing them are analyzed. Relevant conclusions and recommendations are represented at the end of the article.

The main concern of any country is to ensure economic stability of the country and high standard of living of its population. The economic growth of the country and the raising of the standard of living of the population can be considered as a success when the mentioned growth is equally distributed as much as possible to the territorial units and the entire population in the country. If the growth of the country's economic activity is determined by the development of one specific region or capital city, it is impossible for the overall picture of the country to be satisfactory in terms of economic growth and raising the welfare of the population. Therefore, the main goal is not only economic growth, but also commensurate economic development of the country.

The incommensurate economic development of the country causes the concentration of the main part of the population in the capital city, where there is an excess supply of labor, as a result of which the level of unemployment increases. In contrast, Regions are prone to depopulation and marginalization [Kokhler, et al., 2017: 415, Paniagua, 2013: 1], the end result of which is the paralysis of economic activity.

The article represents the deviation coefficients of commensurate economic development  $K_{R1}$ ,  $K_{R2}$ ,  $K_{C1}$ ,  $K_{C2}$  worked out by the author and their calculation formulas. Along with the formulation for calculating the coefficients of deviation of proportional economic development, square functions are given for the arrangement of these coefficients on the numerical axis and for the determination of ranges, the solutions of which are the mentioned ranges. These ranges determine the status of the country's commensurate economic development. The area of commensurate economic development of the country is determined by the range in which the coefficient with the highest deviation will fall, and the smallness of the coefficient module is an indication of less inequality. By means of the mentioned coefficients, the imbalance between the development levels of the capital city of Georgia and the regions and the proportionate development range, in which Georgia was included, taking into account the values of the coefficients, were identified.

Based on the obtained results, it can be concluded that today the main challenge of Georgia is to get rid of incommensurate economic development or at least take important steps to minimize it. The imbalance between the development of different regions of the country and the capital city overshadows the economic progress of the entire country and ensuring the welfare of the population. The role of the state is important in minimizing the mentioned problem. The process of preventing the incommensurate economic development of the country is difficult, long and time-consuming. It requires a number of such changes, which will be aimed at revitalizing the paralyzed economic activity in less developed regions, eliminating the depopulation of the region, ensuring equal opportunities for development for the entire population, and equally distributing the goods produced in the country to everyone.

As a result of the implementation of the mentioned measures by the state, the growth rate of proportional economic development will accelerate and the level of its development will move from the disproportionate range to the proportional range.



**ლევან კიკილაშვილი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა  
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი

### საქართველოს ეკონომიკური განვითარება: მწვანე ტექნოლოგიური და ინოვაციური ბიზნესმოდელების ჭრილში

**ანოტაცია.** წინამდებარე ნაშრომი განიხილავს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების ინტეგრაციის გზით. კავკასიის რეგიონში მდებარე საქართველო სტრატეგიულად მდგრად განვითარებას თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით. ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკას აშკარად ახასიათებს განახლებადი ენერჯის წყაროებს, მათ შორის ჰიდროენერგეტიკას, ქარისა და მზის ენერჯიას, რომლებიც გადაწყვეტი როლი ენიჭება ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას და სათბურის გაზების ემისიების მინიმიზაციას. სოფლის მეურნეობაში, საქართველო წინ უძღვის მდგრად პრაქტიკებს, როგორცაა ორგანული მეურნეობა და სოფლის მეურნეობა, რაც ზრდის პროდუქტიულობას გარემოს მთლიანობის შენარჩუნებისა და გრძელვადიანი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. წარმოების სექტორი ასევე ვითარდება მწვანე პრაქტიკისკენ, ხაზს უსვამს ენერგოეფექტურობას, ნარჩენების შემცირებას და წრიული ეკონომიკის პრინციპების მიღებას. ამ წინსვლას მხარს უჭერს ძლიერი სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები და გრანტები მწვანე პროექტებისთვის, აქტიურ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას. გარდა ამისა, მწვანე სტარტაპებისა და სოციალური საწარმოების გაჩენა ხაზს უსვამს აქტიურ სამეწარმეო ეკოსისტემას. ეს კვლევა ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს სტრატეგიული ფოკუსირება მწვანე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ ბიზნეს მოდელებზე არა მხოლოდ ხელს უწყობს ეკონომიკურ მდგრადობას, არამედ პოზიციონირებს მდგრადი განვითარების ლიდერად როგორც კავკასიის რეგიონში, ისე გლობალურ ჭრილში.

**საკვანძო სიტყვები:** განახლებადი ენერჯია; მდგრადი სოფლის მეურნეობა; მწვანე წარმოება; ინოვაციური ბიზნეს მოდელები; გარემოს მდგრადობა

### შესავალი

21-ე საუკუნეში ეკონომიკური ზრდისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის კვება იქცა მსოფლიო ქვეყნებისთვის მთავარ აქცენტად. საქართველო, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით დაჯილდოებული ქვეყანა და სტრატეგიულად განლაგებული ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, ხვდება ამ გლობალურ ტენდენციას მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების ეკონომიკურ ჩარჩოში ინტეგრირებით. ეს მიდგომა არა მხოლოდ მიზნად ისახავს გარემოზე ზემოქმედების შერბილებას, არამედ ცდილობს გააძლიეროს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა გლობალურ ბაზარზე. (Mallett, 1992)

საქართველოს ეკონომიკური ლანდშაფტი განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რადგან ერი იყენებს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს სხვადასხვა

სექტორში. განახლებადი ენერჯის წყაროები, როგორცაა ქარი, მზის და ჰიდრო-ენერჯეტიკა, სულ უფრო მეტად გამოიყენება წიაღისეული საწვავზე დამოკიდებულების და ნახშირბადის ემისიების შესამცირებლად. მდგრადი სოფლის მეურნეობის ინოვაციები ხელს უწყობს ორგანული მეურნეობის პრაქტიკის დანერგვას და რესურსების ეფექტიან მართვას, უზრუნველყოფს საკვების უსაფრთხოებასა და გარემოს შენარჩუნებისას. გარდა ამისა, მწვანე წარმოების პროცესები ხორციელდება ნარჩენებისა და ენერჯის მოხმარების მინიმუმამდე შესამცირებლად, რაც ხელს უწყობს წრიულ ეკონომიკას.

საქართველოს მთავრობა მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს ხელშეწყობას ახორციელებს. არსებობს პოლიტიკა და წახალისება მწვანე ტექნოლოგიების მიღებისა და გამოყენების ჭრილში, ბიზნესის მხარდასაჭერად. საერთაშორისო პარტნიორობა და ინვესტიციები კიდევ უფრო აჩქარებს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას, რაც საქართველოს ეხმარება პოზიციონირებაში, როგორც რეგიონულ ლიდერად მდგრად პრაქტიკის მართვისთვის. ძირითადი პოლიტიკის ინიციატივები მოიცავს განახლებადი ენერჯის პროექტების სუბსიდირებას, მწვანე ბიზნესის საგადასახადო შეღავათებს და მდგრადი ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარების დაფინანსებას.

გარდა ამისა, ინოვაციური ბიზნეს მოდელები, ამ ტრანსფორმაციის კრიტიკულ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სოციალური საწარმოები, მწვანე სტარტაპები და ტრადიციული კომპანიები, რომლებიც იღებენ საერთაშორისო დაფინანსებას სხვადასხვა ფონდის მიერ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ეკონომიკური ლანდშაფტის ფორმირებაში. ეს ბიზნესები არა მხოლოდ ამცირებენ გარემოსდაცვით კვალს, არამედ ქმნიან ახალ სამუშაო შესაძლებლობებს და ასტიმულირებენ ეკონომიკურ აქტივობას. ფორმებს, რომლებიც ავითარებენ ბიოდეგრადირებად შესაფუთ მასალებს და სტარტაპებს, რომლებიც ფოკუსირდებიან ჰევისანი ქალაქის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც აძლიერებენ ურბანულ მდგრადობას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მრავალფაქტორულ განვითარებაში. (Misso & Foundation, 2018)

ეს სტატია განიხილავს მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების მრავალმხრივ როლს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. ის განიხილავს აქამდე მიღწეულ პროგრესს, მიმდინარე გამოწვევებს და წინსვლის შესაძლებლობებს. სხვადასხვა ინიციატივებისა და შემთხვევის შესწავლის დეტალური ანალიზის საშუალებით მიზნად დავისახეთ გამოვყოთ ამ მიღწევების პოტენციური ეკონომიკური მდგრადობისა და გრძელვადიანი ზრდის მისაღწევად.

დისკუსია მოიცავს კონკრეტულ სექტორებს, სადაც მწვანე ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორცაა ენერჯეტიკის, ისე სოფლის მეურნეობის და წარმოების ჭრილში. გარდა ამისა, სტატია შეისწავლის ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, მათ შორის სამუშაო ადგილების შექმნას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და ცხოვრების ხარისხის გაძლიერებას. წარმატებული მაგალითების ჩვენებითა და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენით, ვცდილობთ წარმოვაჩინოთ, თუ როგორ აყალიბებს მწვანე ტექნოლოგიები და ინოვაციური ბიზნეს მოდელები საქართველოს ეკონომიკურ ტრანსფორმაციას.

საქართველოში, ასობით მცირე და საშუალო ბიზნესი ფუნქციონირებს, თუმცა მათ სამუშაო მიდგომებში უამრავი პრობლემა იკვეთება, ესენია: დასაქმების მაჩვენებელი, ბიზნესებს უჭირთ ბევრი კადრის აყვანა, რეგიონში პოზიციონირება; ასე-

ვე ნედლეულსა და მასალებზე ხელმისაწვდომობა; მარკეტინგული ღონისძიებების გატარება; პროდუქციისა და რეალიზაციის გზების გაუმჯობესება და სხვ. რის გამოც მკვეთრად შემცირებულია კონკურენტუნარიანობა და ფარდობითი უპირატესობის მოპოვება დარგობრივ ჭრილში. ასეთ მდგომარეობის დროს, უმჯობესია საერთაშორისო ფონდების მხრიდან მდგომარეობის ეფექტიანი შესწავლით ერთეულ ბენეფიციარებზე, რომლებმაც უკვე მოიპოვეს დაფინანსება და საგრანტო პროგრამით გაძლიერდნენ, სამომავლოდაც შეძლონ ამავე ფონდებისგან ახალი ტრანშების მოპოვება და კიდევ ერთხელ გაძლიერება, რადგან ქვეყანაში საკმაოდ მაღალი საბანკო პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამები არსებობს, ფერმერს, მეწარმეს მაინც უჭირს სესხის აღება, რადგან ძნელია საქართველოში ისეთი ბიზნესის კეთება, რომელიც ნაკლები ძალისხმევით ნამდვილად შეძლებს საკმაოდ მაღალი რეალიზაციის მაჩვენებლის მიღწევას, თანაც ქვეყანაში მუდმივად ცვალებადი ეგზოგენური და ენდოგენური ცვლილებებია, რაც პირდაპირ აისახება ბიზნესის მომგებიანობაზე, თანაც პროდუქციისა და სერვისის გაყიდვის ბაზარი ქვეყანაში არ არის დიდი, მოსახლეობის სრული კონცენტრაციიდან გამომდინარე და ფერმერს და მეწარმეს უწევს დამატებითი ძალისხმევის გაღება, რათა თავისი პროდუქტები, ევროპის, ამერიკის და წამყვანი ქვეყნების ბაზრებზე გაიტანოს.

განახლებადი ენერჯია მდგრადი პროგრესის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ცალსახა არ შევამჩნიოთ ის ცვლილებები, რომლებიც აქტიურად ხორციელდება ქვეყანაში, საქართველო სულ უფრო მეტად იყენებს ქარისა და მზის ენერჯის პოტენციალს. გორის ქარის ელექტროსადგური ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, ის ხაზს უსვამს ძალისხმევას ენერგეტიკული მიქსის დივერსიფიკაციისკენ. მზის ენერჯის ინიციატივები, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მზის დასხივება მაღალია, ასევე სულ უფრო იმატებს. ეს ინვესტიციები არა მხოლოდ აძლიერებს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, არამედ იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს და ხელს უწყობს ტექნოლოგიურ ინოვაციებს განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებში. (Ebrahimi & Mirbargkar, 2017)

სოფლის მეურნეობა რჩება საქართველოს ეკონომიკის ქვაკუთხედად, რომელსაც მხარს უჭერს მრავალფეროვანი მიკროკლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი. მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკა სულ უფრო პოპულარული ხდება, რაც გამოწვეულია ბაზრის მხარდით მოთხოვნით ორგანულ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე. ორგანული მეურნეობის მეთოდები, მხარდაჭერილი მთავრობის წახალისებითა და სერტიფიცირების სქემებით, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ჯანმრთელობას, ბიომრავალფეროვნებას და მომხმარებელთა ნდობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გზების გაუმჯობესების ჭრილში.

ზუსტი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიები გადაწყვეტ როლს თამაშობს რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციაში და პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში. მათი მეშვეობით ხორციელდება GPS სიგნალის გადაცემა ეს ტექნოლოგია საჭაერო კვლევებისთვის და მონაცემთა ანალიტიკისთვის უმნიშვნელოვანესია, ფერმერებს შეუძლიათ შეამცირონ წყლისა და სასუქის გამოყენება, ხოლო მოსავლის მაქსიმალური მოსავლიანობა გაზარდონ. ეს ინოვაციები არა მხოლოდ ზრდის სოფლის მეურნეობის ეფექტურობას, არამედ ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, რომელიც დავშირებულია ტრადიციულ ფერმერულ პრაქტიკასთან.

საქართველოს საწარმოო სექტორი იყენებს მწვანე ტექნოლოგიებს მდგრადობისა და ეფექტურობის გასაზრდელად. ენერგოეფექტური პრაქტიკა, მათ შორის LED განათების, ჰვკვიანი HVAC სისტემების და მდგრადი წარმოების პროცესების გამოყენება, ამცირებს ენერჯის მოხმარებას და საოპერაციო ხარჯებს სამრეწველო ობიექტებში. გადამუშავების პროგრამები და ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება ხელს უწყობს წრიულ ეკონომიკას, ამცირებს ნარჩენებს და აუმჯობესებს რესურსების გამოყენებას.

რუსთავის ფოლადის ქარხანა ასახავს მდგრადი წარმოების ნათელ მაგალითს. ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი სისტემების დანერგვით და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, ქარხანა აუმჯობესებს წარმოების ეფექტურობას. ასეთი ინიციატივები არა მხოლოდ შეესაბამება მდგრადობის გლობალურ სტანდარტებს, არამედ აძლიერებს საქართველოს მრეწველობის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

მთავრობის პოლიტიკა გადაწყვეტ როლს თამაშობს საქართველოში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვისა და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობი გარემოს შესაქმნელად. განახლებადი ენერჯის პროექტების სუბსიდიები, მწვანე საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათები და კვლევისა და განვითარების ინიციატივების დაფინანსება ხელს უწყობს ინვესტიციებისა და ინოვაციების სტიმულირებას მწვანე ბიზნესის სექტორში.

პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა ევროკავშირი, გაერო, მსოფლიო ბანკი და სხვ. მრავალი ხელს უწყობს ფართომასშტაბიანი მწვანე პროექტების განხორციელებას და აძლიერებს საქართველოს შესაძლებლობებს ეკოლოგიური გამოწვევების ეფექტურად გადაჭრისთვის.

ინოვაციური ბიზნეს მოდელები: ეკონომიკური ზრდის კატალიზატორები

მდგრადობაზე ორიენტირებული ინოვაციური ბიზნეს მოდელები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და სოციალურ მხარდაჭერას საქართველოში.

მწვანე სტარტაპები: საქართველოს მხარდი სტარტაპის ეკოსისტემა არის ნაყოფიერი ნიადაგი ინოვაციური გადაწყვეტილებებისთვის განახლებადი ენერჯის, მდგრადი სოფლის მეურნეობის, ნარჩენების მართვისა და მწვანე ტექნოლოგიების სფეროში. ინკუბატორები და აქსელერატორები უზრუნველყოფენ უმთავრეს მხარდაჭერას, მათ შორის დაფინანსებას, მენტორობას და ქსელის მშენებლობის შესაძლებლობების მეშვეობით, მწვანე მეწარმეობის გასავითარებლად. (Thomas, 2014)

კორპორაციული მდგრადობა: ენერგოეფექტური ტექნოლოგიების მიღებით, ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებით და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების განხორციელებით, ეს კომპანიები აძლიერებენ ბაზარზე კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობენ გარემოს დაცვას.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, საქართველოს მწვანე ეკონომიკის წინსვლასთან დაკავშირებული გამოწვევები რჩება. პრიორიტეტებად რჩება ფართომასშტაბიანი მწვანე ინფრასტრუქტურული პროექტების ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფა, მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად მარეგულირებელი ჩარჩოების გაძლიერება. თუმცა, საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები დიდია. განახლებად ენერჯიაში, მდგრად სოფლის მეურნეობაში და მწვანე წარმოებაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეიძლება გააძლიეროს ენერგოუსაფრთხოება, შეამციროს გარემოზე ზემოქმედება და ხელი შეუწყოს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. უფრო მეტიც, საქართველოს სტრატეგიული

მდებარეობა და მდგრადობისადმი ერთგულება მას, როგორც რეგიონულ ლიდერს მწვანე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში, მნიშვნელოვან უპირატესობას ჰპირდება, რაც სთავაზობს ექსპორტის ზრდისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

### დასკვნა

საქართველოს სწრაფვა ეკონომიკური განვითარებისკენ მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების მეშვეობით ასახავს ბიზნეს სექტორის ერთგულებას მდგრადი ზრდისა და გარემოს დაცვისადმი. განახლებადი ენერჯის გამოყენება, მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, მწვანე წარმოების პრაქტიკის დანერგვა და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერა, საქართველოს საშუალებას აძლევს, რომ მიაღწიოს გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობას და კეთილდღეობას, რამდენადაც ქვეყანა მდგრადი განვითარების სირთულეებს იკვლევს, ის დამაჯერებელ მაგალითს აძლევს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ სხვა ერებს, რაც აჩვენებს მწვანე ტექნოლოგიების ტრანსფორმაციულ ძალას მდგრადი მომავლის ფორმირებაში.

კავკასიის დინამიკურ რეგიონში მოქცეული საქართველო წინ მიიწევს მდგრადი ეკონომიკური დღის წესრიგით, რომელიც ორიენტირებულია მწვანე ტექნოლოგიებზე და ინოვაციურ ბიზნეს მოდელებზე. ეს სტრატეგიული მიდგომა არა მხოლოდ ეხება გარემოსდაცვითი მდგრადობის იმპერატივს, არამედ საქართველოს პოზიციონირებს როგორც რეგიონულ ლიდერად მწვანე ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოს მტკიცე ვალდებულება ეკონომიკური წინსვლისკენ მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების მეშვეობით ასახავს მის ხედვას მდგრადი მომავლის შესახებ. ეკონომიკური კეთილდღეობის და გარემოსდაცვითი მეთვალყურეობის დაბალანსებით. საქართველო არა მხოლოდ იცავს თავის ბუნებრივ მემკვიდრეობას, არამედ აშენებს მდგრად ეკონომიკას, რომელიც სარგებელს მოუტანს დღევანდელ და მომავალ თაობებს. სტრატეგიული ინვესტიციების, ინკლუზიური პოლიტიკისა და თანამშრომლობითი პარტნიორობის საშუალებით, საქართველო გზას უხსნის ნათელ და მდგრად მომავალს კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ.

### ლიტერატურა

- Ebrahimi, P., & Mirbargkar, S. M. (2017). Green entrepreneurship and green innovation for SME development in market turbulence. *Eurasian Business Review*, 7(2), 203–228. <https://doi.org/10.1007/s40821-017-0073-9>
- Mallett, T. (1992). the Green Grassroots: Small Business and the Environment. *Journal of Small Business & Entrepreneurship*, 10(1), 13–33. <https://doi.org/10.1080/08276331.1992.10600417>
- Misso, R., & Foundation, S. C. (2018). Sustainable development and green tourism : new practices for excellence in the digital era Zacharoula Andreopoulou \* Gian Paolo Cesaretti Safwat Shakir Hanna Ioakeim Tzoulis. *Journal of International Business and Entrepreneurship Development*, 11(1), 65–74.
- Thomas, J. R. (2014). Shades of green: a critical assessment of greenwashing in social and environmental business performance reports. *J. for International Business and Entrepreneurship Development*, 7(3), 245. <https://doi.org/10.1504/jibed.2014.063092>

*Levani Kikilashvili*

*Sokhumi State University, Faculty of Business and Social Sciences,  
PhD student, Assistant Professor*

## **ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA: IN TERMS OF GREEN TECHNOLOGICAL AND INNOVATIVE BUSINESS MODELS**

### **Expanded Summary**

This paper examines the economic development of Georgia through the integration of green technologies and innovative business models. Situated in the Caucasus region, Georgia strategically leverages its rich natural resources to promote sustainable development. The country's energy policy prominently features renewable energy sources, including hydropower, wind, and solar energy, which play a crucial role in enhancing energy security and minimizing greenhouse gas emissions. In agriculture, Georgia leads in sustainable practices such as organic farming and precision agriculture, which increase productivity while maintaining environmental integrity and ensuring long-term food security. The manufacturing sector is also evolving towards green practices, emphasizing energy efficiency, waste reduction, and the adoption of circular economy principles. These advancements are supported by robust government policies, including subsidies, tax incentives, and grants for green projects, along with active international partnerships that provide technical and financial support. Additionally, the emergence of green startups and social enterprises highlights a vibrant entrepreneurial ecosystem dedicated to sustainability. This study underscores that Georgia's strategic focus on green technologies and innovative business models not only fosters economic resilience but also positions the country as a leader in sustainable development both within the Caucasus region and globally.

In the 21st century, the intersection of economic growth and environmental sustainability has become a central focus for countries worldwide. Georgia, endowed with diverse natural resources and strategically located at the crossroads of Europe and Asia, is embracing this global trend by integrating green technologies and innovative business models into its economic framework. This approach aims not only to mitigate environmental impact but also to enhance the country's competitive edge in the global market.

Georgia's economic landscape is undergoing significant transformation as the nation adopts eco-friendly technologies across various sectors. Renewable energy sources such as wind, solar, and hydropower are increasingly being utilized to reduce dependency on fossil fuels and decrease carbon emissions. Innovations in sustainable agriculture promote the adoption of organic farming practices and efficient resource management, ensuring food security while preserving the environment. Additionally, green manufacturing processes are being implemented to minimize waste and energy consumption, contributing to a circular economy.

The Georgian government is fostering an environment conducive to sustainable development. Policies and incentives are in place to encourage the adoption and utilization of green technologies by businesses. International partnerships and investments further accelerate the transition to a green economy, positioning Georgia as a regional leader in sustainable practices. Key policy initiatives include subsidies for renewable energy projects, tax incentives for green businesses, and funding for research and development in sustainable technologies.

Innovative business models are a critical driving force behind this transformation. Social enterprises, green startups, and traditional companies receiving international funding play a significant role in shaping Georgia's economic landscape. These businesses not only reduce environmental footprints but also create new job opportunities and stimulate economic activity. Firms developing biodegradable packaging materials and startups focusing on smart city solutions

that enhance urban sustainability contribute significantly to the country's multifaceted development.

This paper examines the multifaceted role of green technologies and innovative business models in Georgia's economic development. It explores the progress made, ongoing challenges, and future opportunities for advancement. Through detailed analysis of various initiatives and case studies, the goal is to highlight the potential of these achievements in attaining economic sustainability and long-term growth.

The discussion includes specific sectors where green technologies have had a significant impact, such as energy, agriculture, and manufacturing. Moreover, the article explores the socio-economic benefits of these innovations, including job creation, improved public health, and enhanced quality of life. By showcasing successful examples and identifying best practices, we aim to demonstrate how green technologies and innovative business models are shaping Georgia's economic trajectory.

In Georgia, hundreds of small and medium-sized enterprises (SMEs) operate, facing numerous challenges in their operational approaches. These include employment rates, difficulties in hiring a large workforce, regional positioning, access to raw materials, marketing efforts, and improving production and sales pathways. As a result, competitiveness and relative advantage in the sector are sharply reduced. Under such conditions, it is preferable for international funds to effectively study the situation and provide targeted support to beneficiaries who have already secured funding and strengthened through grant programs. This enables them to secure further tranches and strengthen their positions further, despite high bank interest rates in the country. Even with state subsidy programs, farmers and entrepreneurs find it difficult to take loans, as it is challenging to run a business in Georgia that can achieve high sales with minimal effort amidst constantly changing exogenous and endogenous factors affecting profitability. Furthermore, the market for selling products and services is not large, given the population concentration, requiring additional efforts to export products to European, American, and leading international markets.

Renewable energy is a cornerstone for sustainable progress, and the ongoing changes in the country are evident. Georgia is increasingly harnessing wind and solar energy potential. The Gori Wind Farm is a prime example, highlighting efforts toward energy mix diversification. Solar energy initiatives, particularly in high insolation regions, are also on the rise. These investments not only bolster energy independence but also attract foreign investments and promote technological innovations in renewable energy technologies.

Agriculture remains a cornerstone of Georgia's economy, supported by diverse microclimates and fertile soils. Sustainable agricultural practices are gaining popularity due to the growing market demand for organic and environmentally friendly products. Organic farming methods, backed by government incentives and certification schemes, promote soil health, biodiversity, and consumer confidence. Precision agriculture technologies play a crucial role in optimizing resource use and improving productivity. With GPS signal transmission for aerial surveys and data analytics, farmers can reduce water and fertilizer use while maximizing crop yields. These innovations not only enhance agricultural efficiency but also reduce the environmental impact associated with traditional farming practices.

Georgia's manufacturing sector is leveraging green technologies to enhance sustainability and efficiency. Energy-efficient practices, including LED lighting, smart HVAC systems, and sustainable production processes, reduce energy consumption and operational costs in industrial facilities. Recycling programs and the use of eco-friendly materials promote a circular economy, reducing waste and improving resource utilization. The Rustavi Steel Plant exemplifies sustainable manufacturing. By implementing comprehensive waste management systems and

utilizing advanced technologies, the plant enhances production efficiency. Such initiatives align with global sustainability standards and boost the competitiveness of Georgia's industry in international markets.

Government policies play a pivotal role in fostering the adoption of green technologies and sustainable business practices in Georgia. Subsidies for renewable energy projects, tax incentives for green enterprises, and funding for research and development initiatives stimulate investments and innovation in the green business sector. Partnerships with international organizations such as the European Union, United Nations, and World Bank facilitate the implementation of large-scale green projects and strengthen Georgia's capacity to address environmental challenges effectively.

**Innovative business models: Catalysts for economic growth**

Innovative business models focused on sustainability drive economic growth and social support in Georgia. The growing startup ecosystem in Georgia fosters innovative solutions in renewable energy, sustainable agriculture, waste management, and green technologies. Incubators and accelerators provide crucial support, including funding, mentorship, and networking opportunities, to develop green entrepreneurship. Corporate sustainability enhances market competitiveness and environmental protection. By adopting energy-efficient technologies, reducing carbon emissions, and implementing corporate social responsibility initiatives, these companies enhance market competitiveness and contribute to environmental protection.

Despite significant progress, challenges remain in advancing Georgia's green economy. Ensuring adequate funding for large-scale green infrastructure projects and strengthening regulatory frameworks to support sustainable development remain priorities. However, the opportunities for sustainable economic development in Georgia are substantial. Investments in renewable energy, sustainable agriculture, and green manufacturing can enhance energy security, reduce environmental impact, and stimulate economic growth. Furthermore, Georgia's strategic location and commitment to sustainability promise significant advantages as a regional leader in green technologies and innovations, offering opportunities for export growth and international collaboration.

**Keywords:** Renewable Energy; Sustainable Agriculture; Green Manufacturing; Innovative Business Models; Environmental Sustainability



გივი ვეშაპელი

ERASMUS MUNDUS სამაგისტრო პროგრამა EPOG+ მაგისტრანტი,  
ტურინის უნივერსიტეტი

### შრომის პოლარიზაციის თავისებურებები საქართველოში

**ანოტაცია.** შრომის ბაზრის პოლარიზაცია დღეისათვის მეტად აქტუალური საკითხია. იგი უკავშირდება საშუალოკვალიფიკაციური კადრების „გაქრობას“ შრომის ბაზარზე. უამრავი კვლევა ტარდება ამ პროცესის ასახსნელად და სიღრმისეულად შესასწავლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნაკლებადაა შრომის პოლარიზაციაზე ჩატარებული კვლევები.

ნაშრომში გადმოცემულია პოლარიზაციის გამომწვევი მიზეზები და დღეს მსოფლიოში არსებული ტენდენციები OECD ქვეყნების მაგალითზე.

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე კი შესწავლილია შრომის პოლარიზაცია საქართველოში 2017-2022 წლებში. კვლევა ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამუშაო ძალის კვლევის მონაცემთა ბაზებიდან აღებულ მონაცემებს. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შრომის ბაზრის პოლარიზაციის დონე საქართველოში. განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით დასტურდება რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სუსტად გამოხატული პოლარიზაცია.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი; პოლარიზაცია; ავტომატიზაცია; ტექნოლოგიური ცვლილებები; გლობალიზაცია;

### შესავალი

2000-იანი წლებიდან ტექნოლოგიურ განვითარებასთან და კომპიუტერიზაციასთან ერთად, გაჩნდა მოსაზრება რომ ამ პროცესებს დიდი გავლენა ექნებოდათ შრომის ბაზარზე. ამ კონცეფციის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ პროგრესს რუტინულ და არა-რუტინულ სამუშაოებზე განსხვავებული გავლენა ექნებოდა. რუტინული სამუშაო გაცილებით მარტივია ჩანაცვლდეს კომპიუტერებით, ხელოვნური ინტელექტითა თუ რობოტებით. რუტინული სამუშაოების გაქრობა კი იწვევს ზუსტად საშუალო კვალიფიციური მუშახელის გადინებას ან უფრო დაბალ ან უფრო მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე ან თუნდაც უმუშევრობას. ამ პროცესს ეწოდება შრომის პოლარიზაცია, რომელიც ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი, როდესაც საშუალო კვალიფიციურ პერსონალს არ უწევს უმუშევრობაში გადასვლა, იწვევს მათ „გადინებას“ უფრო დაბალკვალიფიციურ და მასშტაბურ დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე. ეს თეორია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში პოპულარულია და ბევრი მკვლევარი მუშაობს მასზე (Autor, Dorn, 2013).

შრომის ბაზრის პოლარიზაციის სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში: ის ამცირებს „ცუდი“ სამუშაოებიდან „კარგი“ სამუშაოებზე გადასვლის შესაძლებლობას. ეს ხდება საშუალო რგოლის სამუშაოების შემცირებით რაც ასუსტებს ვერტიკალური მობილობის შესაძლებლობას. ის ვინც, მაგალითად, კარიერას იწყებს დაბალკვალიფიციური სამსახურით, ურთულდება მაღალკვალიფიციურ სექტორში გადასვლა, სადაც, უკეთესი პირობები და შემოსავლებია (დიაკონიძე; 2020). აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა დიდ წილად სტუდენტებსაც ეხებათ, რადგან სწორედ ისინი

არიან უმეტესად წარმოდგენილები შრომის ბაზრის დაბალ რგოლზე (მაგ: მომსახურების სფერო).

მიუხედავად იმისა, რომ შრომის პოლარიზაცია ევროპასა და ამერიკაში ძალიან აქტუალური თემაა და შესაბამისად კვლევებიც ტარდება, საქართველოში ამ მხრივ კვლევები ფაქტობრივად არ ჩატარებულა. შრომის პოლარიზაციასთან ერთად, საჭიროა შევისწავლოთ მისი სპეციფიკა რადგან ევროპასა და საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა და შემოსავლების განაწილებაც კვალიფიკაციების მიხედვით განსხვავდება.

### **შრომის პოლარიზაცია: თეორიული ასპექტები და გამომწვევი მიზეზები**

შრომის პოლარიზაციაზე ჩატარებული პირველი რაოდენობრივი კვლევები გვაჩვენებს ცალსახა კორელაციას შრომის ბაზარზე ტექნოლოგიების დანერგვასა და მაღალგანათლებულ დასაქმებულებზე გაზრდილ მოთხოვნას შორის (ამ კორელაციას სხვანაირად, უნარებზე დამოკიდებულ ტექნოლოგიურ ცვლილებასაც უწოდებენ). აუტორის (Autor, 2003) აზრით, კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა შრომის ბაზარზე, იწვევს ცვლილებებს დასაქმებულების მიერ შესრულებულ დავალებებში, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნის კლებას ადამიანურ უნარებზე. კომპიუტერების ტექნოლოგიები, შრომის ბაზარზე ანაცვლებს დასაქმებულ ადამიანებს, თუმცა ეს პროცესი ყოვლისმომცველი არ არის და უმეტესად, კოგნიტურ და ფიზიკურ დავალებებს მოიცავს, რომლებიც სრულდება წინასწარ დაწესებული და განსაზღვრული წესებით, ამ უკანასკნელს „რუტინული დავალებები“ ეწოდება. ავტომატიზაციის პროცესი მეორე მხრივ საფრთხეს არ უქმნის ისეთ დასაქმებულებს, რომლებიც ასრულებენ, კომპლექსურ, კრეატიულ დავალებებს და ითხოვს პრობლემების გადაჭრის უნარს - „არა-რუტინული დავალებები“. როდესაც ტექნოლოგიებზე ფასი იკლებს, ზემოხსენებული ორი მექანიზმი (რუტინულ დავალებებზე ადამიანების ჩანაცვლება და არა-რუტინულზე პირიქით, ადამიანების „შემავსებლის“ როლის თამაში) ზრდის მოთხოვნას ისეთ განათლებულ მშრომელებზე, რომლებსაც შეუძლიათ არა-რუტინული დავალებების შესრულება.

გუსის და მენინგის (Goos, Manning, 2007) კვლევის თანახმად რუტინული დავალებები, რომლებიც საჭიროებს სიზუსტეს და შეიძლება შესრულდეს კომპიუტერების ან რობოტების მიერ (როგორცაა, მაგალითად, ზოგიერთი საფინანსო დავალება) არ არის აუცილებელი კლასიფიცირდეს, როგორც დაბალკვალიფიციური. ზოგიერთი არა რუტინული ფიზიკური დავალება, რომელიც არსებითად მოიცავს კოორდინაციის უნარს (როგორცაა პროდუქტების თაროებზე მოთავსება, ან სამსახურის პროფესიებში შესრულებული დავალება, რომელიც მოიცავს სხვების დახმარებას) მოითხოვს ძალიან მცირე კვალიფიკაციას. შედეგად, ავტომატიზაცია იწვევს გაზრდილ მოთხოვნას მაღალანაზღაურებად კვალიფიციურ სამუშაოებზე, რომლებიც, როგორც წესი, მოითხოვს არა რუტინულ კოგნიტურ უნარებს და გაზრდის მოთხოვნას დაბალკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, რომლებიც, როგორც წესი, საჭიროებენ არა რუტინულ ფიზიკურ უნარებს. საპირისპიროდ, იკლებს მოთხოვნა "შუალედურ" რგოლზე, რომლებიც საჭიროებენ რუტინულ ფიზიკურ და კოგნიტურ უნარებს. ეს პროცესი იწვევს შრომისა და შემოსავლების პოლარიზაციას. თუ ყველაზე გამოცდილი მუშები ასრულებენ არა რუტინულ კოგნიტურ დავალებებს, ხოლო ყველაზე ნაკლებად გამოცდილი მუშები ასრულებენ არა-რუტინულ ფიზიკურ დავალებებს, შრომის პოლარიზაცია წარმოდგენილი იქ-

ნება როგორც სამუშაო ადგილების ზრდა შემოსავლების განაწილების ზედა და ქვედა ნაწილებში. რუტინული დავალებების შემცირება, იქნება ეს კოგნიტური თუ ფიზიკური იწვევს საშუალო კვალიფიციური ადგილების შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ შრომის პოლარიზაციის განხილვა შემოსავლებით უთანასწორობის პერსპექტივიდან საინტერესო და აქტუალურია ჩვენს რეალობაში. გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთის ქვეყნებში ანაზღაურება შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, ხოლო საქართველოში, სავარაუდოა რომ ამ მხრივ განსხვავებული სურათი იქნება.

აღან მენინგი ერთმანეთთან აკავშირებს პოლარიზაციას და უთანასწორობას, მისი აზრით, შრომის ბაზარზე სტრუქტურული ცვლილებები ქმნის „მოგებულებს“ და „წაგებულებს“. შრომის პოლარიზაცია არ ვლინდება როგორც შემოსავლების უთანასწორობის მასიური ზრდის წინაპირობა, არამედ როგორც დიფერენცირებული გავლენა ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

შრომის პოლარიზაციის ორი ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი გამოიყოფა, ესენია:

1. ტექნოლოგიური ცვლილება - რუტინული სამუშაოები, ავტომატიზაციის გამო აღარ არის ისეთი მოთხოვნადი როგორც წარსულში იყო.
2. გლობალიზაცია და ოფშორინგი - გლობალური ვაჭრობის ზრდა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება ნიშნავს, რომ ზოგიერთი სამუშაოები დასავლეთ ევროპის გარეთ მდებარე ქვეყნებში გადავიდა.

შრომის პოლარიზაციის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, აუცილებელია განისაზღვროს, თუ კონკრეტულად რა ტიპის სამუშაოებს ეხება მთელი ეს პროცესი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია აუტორის (2003) „უნარებზე დამოკიდებული ტექნოლოგიური ცვლილების“ ჰიპოთეზა (ცნობილია როგორც SBTC).

ნახ.1

**ნახაზი 1. ავტომატიზაციის გავლენა სამუშაოს სხვადასხვა ტიპზე**

დავალება	დავალების ტიპი	სამუშაო ტიპის მაგალითი	ავტომატიზაციის გავლენა
რუტინული	კოგნიტური	ბუღალტერი	პირდაპირი შეცვლა
რუტინული	ფიზიკური	საწარმოო ხაზში დასაქმებული მუშა	პირდაპირი შეცვლა
არა-რუტინული	კოგნიტური	მეცნიერი, იურისტი	შემავსებელი
არა-რუტინული	ფიზიკური	ავტობუსის მძროლი	შეზღუდული ჩანაცვლება

წყარო: გუსი(2010)

ცხრილი #1-ზე მოცემულია ფერდანდეზ-მაციასის (Fernandez-Macias) აზრით (2012) გამოყოფილი სამუშაოს ტიპები. მისი აზრით გამოიყოფა შემდეგი ოთხი ტიპი:

- რუტინული - კოგნიტური დავალებები: ეს ის განმეორებადი სამუშაოებია რომლებიც მოითხოვს ინფორმაციის გადამუშავებას. ტექნოლოგიურ რევო-

ლუცია მდე რთული იყო ადამიანური ძალის ჩანაცვლება კომპიუტერებით, თუმცა ახლა ეს უფრო მარტივდება, რაც ასეთი სამუშაოების კლებას იწვევს.

- რუტინული - ფიზიკური (Manual) დავალებები: განმეორებადი შრომა ფიზიკური სახით. ასეთი სამუშაოები ინდუსტრიული რევოლუციის დროსაც და განსაკუთრებით ახლაც დიდწილად ჩანაცვლა დანადგარებმა და კომპიუტერებმა.
- არარუტინული - კოგნიტური დავალებები: ასეთი ტიპის სამუშაოებისთვის დამახასიათებელია არა-კოდირებადი ცოდნა, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოითხოვს დასაქმებულის მხრიდან სამუშაოსთან დაკავშირებულ ან თუნდაც ზოგად ცოდნას, რომელიც ამ ეტაპზე შეუძლებელია რაიმე რობოტით ან ხელოვნური ინტელექტით ჩანაცვლდეს.
- არარუტინული - ფიზიკური დავალებები: ეს არის „არაგანმეორებადი“ ფიზიკური დავალებები, რომლებიც მოითხოვენ ხელისა და თვალის კოორდინაციის უნარს ('hand-eye coordination). ეს კი უფრო მეტად დაბალკვალიფიციური სამსახურებისთვისაა დამახასიათებელი.

ბევრი საშუალოდ კვალიფიციური სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს როგორც რუტინული, ხოლო დაბალკვალიფიციური კი როგორც არარუტინული. ეს კი იწვევს სამუშაოების პოლარიზაციას. მაღალკვალიფიციურ მუშახელს ხელს უწყობს ტექნოლოგიები და დაბალკვალიფიციურ არარუტინული მშრომელები კი სარგებლობენ მაღალკვალიფიციურ სამუშაოების სიმვრავლისგან გამოწვეული მოთხოვნით. საშუალოკვალიფიციური რუტინული მშრომელები კი მთლიანად ნაცვლდებიან ახალი ტექნოლოგიებით (Goos & Manning, 2007).

შეხედულებები იმაზე, თუ როგორი გავლენა აქვს გლობალიზაციას შრომის ბაზარზე OECD-ს ქვეყნებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა. 1980-იან და 1990-იან წლებში მთავარ გამოწვევად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში წარმოების გადატანა ითვლებოდა. 2000-იანი წლებიდან კი მთავარი ფოკუსი გადავიდა წარმოების პროცესის გარკვეული ნაწილის რელოკაციაზე განვითარებად ქვეყნებში, რასაც ოფშორინგი ეწოდება (Acemoglu და Autor 2011). ბლინდერის და კრუგერის (Blinder and Krueger) 2009 წლის კვლევის თანახმად ამერიკაში სამუშაო ადგილების 25% უახლოს 20 წელში შეიძლება ოფშორინგის საფრთხე შეექმნას. ოფშორინგი შრომის პოლარიზაციის წარმოქმნის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროცესი გულისხმობს რუტინული, საშუალოდ კვალიფიციური სამუშაოების გადასვლას ერთი ქვეყნიდან (განვითარებული) მეორეში (განვითარებადი). ბლინდერი და კრუგერი (2009) გამოყოფენ ორ კრიტერიუმს, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ სამუშაო რომელსაც შეიძლება ოფშორინგის საფრთხე შეექმნას, ესენია:

1. ითხოვს თუ არა კონკრეტული სამუშაო პირისპირ კომუნიკაციას ან კონტაქტს მომხმარებელთან

2. შეიძლება თუ არა სამუშაო შესრულდეს დისტანციურად იმის გათვალისწინებით რომ პროდუქციის ან სერვისის მიწოდების ხარისხი არ შეიცვლება უარესობისკენ

ამრიგად, შრომის პოლარიზაციის გამომწვევი ეს მიზეზი, გლობალურ ჭრილში, ამცირებს განვითარებულ ქვეყნებში საშუალო რგოლის სამუშაოებს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - ზრდის დაბალ და მაღალ რგოლში დასაქმებული ადამიანების რაოდენობას.


მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, რაც უფრო მაღალია დასაქმებულის განათლების/კვალიფიკაციის ხარისხი, მით უფრო დაბალია მისი სამუშაოს ავტომატიზირების რისკი. თუმცა, ტექნოლოგიების გავრცელებას განსხვავებული გავლენა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კვალიფიკაციების მქონე მუშაკებზე. ზოგადად, იგი მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალისთვის დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ზრდის მათ პროდუქტიულობას, და შესაბამისად, ხელფასსაც. ამავდროულად ამცირებს დაბალკვალიფიციური კადრის საჭიროებას.

საინტერესოა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება შრომის ბაზარზე პოლარიზაციასთან დაკავშირებით. შრომის პოლარიზაცია ევროპაში სიღრმისეულად არის შესწავლილი (Goos & Manning, 2007; Goos et al., 2009; Goos et al., 2010; Jerbashian 2019; Wang et al., 2015). გუსის 2010 წლის კვლევაში, სადაც შეისწავლეს შრომის პოლარიზაცია ევროპის 16 ქვეყნაში, დაადგინეს რომ 1993-2006 წლამდე იყო მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც შრომის ბაზრის ქვემო და ზემო რგოლების ზრდაში, ხოლო საშუალო რგოლის (საწარმოო და რუტინულ) სამუშაოების კლებაში აისახა.

1990-იანი წლებიდან, ახალმა ტექნოლოგიებმა ჩანაცვლეს ადამიანები ბევრ საშუალო კვალიფიციურ რუტინულ სამუშაოზე, თუმცა ამასთან ერთად შექმნეს ბევრი დაბალ და მაღალკვალიფიციური სამუშაოებიც. OECD-ის 2019 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც ასახავს მასში შემავალი 21 ქვეყნის შრომის ბაზრების მონაცემებს, 1990-იანი წლებიდან 2010-იან წლებამდე, საშუალოდ, 8%-ით მოიკლო საშუალო კვალიფიციური სამუშაო ადგილების რაოდენობამ, 2%-ით დაბალკვალიფიციურმა, ხოლო 10%-ით გაიზარდა მაღალკვალიფიციური სამუშაოების რაოდენობა (ნახაზი 2).

ნახ. 2

**ნახაზი 2: OECD-ს ქვეყნების შრომის პოლარიზაციის დონე 1990 - 2010 წლებში (პროცენტული ცვლილება სამუშაო ადგილების მიხედვით)**



წყარო: OECD calculations based on LIS, ECHP and EU-SILC

**შრომის ბაზარი და შრომის ბაზრის პოლარიზაციის გამოვლინებები საქართველოში**

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, კლებადობით ხასიათდება შრომის-

უნარიანი მოსახლეობის რაოდენობა. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის კვლევის (lmis.gov.ge) თანახმად 2021 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 20.6% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით 2.1%-ით მეტია, უმუშევრობის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე მამაკაცებში აღემატება ქალებისას. ამის ერთ ერთი გამომწვევი მიზეზი სამუშაო ძალაში მამაკაცებისა და ქალების არათანაბარი ჩართულობაა (მამაკაცები - 63%, ქალები - 40.5%).

საქართველოს შრომის ბაზარს ევროპულისგან განსხვავებული სპეციფიკა აქვს. ზოგადად, ევროპულ და ამერიკულ რეალობაში სამუშაო ადგილების გადანაწილება კვალიფიკაციების მიხედვით გულისხმობს მათ გადანაწილებას შემოსავლების მიხედვითაც. ეს უმთავრესად უკავშირდება იმას, რომ ამ ქვეყნებში ანაზღაურება კვალიფიკაციის დონეს შეესაბამება. საქართველოში კი მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო პოზიცია ავტომატურად არ ნიშნავს მაღალ ანაზღაურებას. თუმცა, კვლევების მიხედვით, ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული შრომის ბაზრის პოლარიზებაში.

საქართველოს შრომის ბაზრის პოლარიზაციის გამოსავლენად პირველ რიგში, განვახორციელებთ სამუშაო ადგილების კლასიფიცირება მაღალ, საშუალო და დაბალ სამუშაო ადგილებად. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული ჯგუფების მიხედვით, დასაქმებულთა განაწილების შესახებ სტატისტიკა მხოლოდ 2017 წლიდან არის ხელმისაწვდომი, კვლევაში ასახულია 2017 წლიდან 2021 წლამდე შრომის პოლარიზაციის დინამიკა. აღსანიშნავია, რომ კვლევაში არ ფიგურირებენ სოფლის მეურნეობის სფეროს მუშაკები. ამის მთავარი განმაპირობებელი ისაა, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკები არ არიან წარმოდგენილი ფორმალურ შრომის ბაზარზე და თვითდასაქმებულებად კლასიფიცირდებიან (დიაკონიძე, 2020).

ნახ. 3

**ნახაზი 3: დასაქმებულთა განაწილება პროფესიული ჯგუფების მიხედვით საქართველოში**

პროფესიული ჯგუფი	2017	2022
<b>დაბალკვალიფიციური</b>	15.1%	11.4%
დაძველები კვალიფიკაციის	6.5%	3.9%
სერვისისა და გაყიდვების სფეროს მუშაკები	8.6%	7.5%
<b>საშუალოკვალიფიციური</b>	12.7%	9.9%
ოფისის დამხმარე მუშაკები	2.9%	2.0%
ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	5.5%	4.7%
დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები	4.3%	3.3%
<b>მაღალკვალიფიციური</b>	18.9%	14.4%
მენეჯერები	3.7%	2.6%
პროფესიონალები	9.5%	7.5%
ტექნიკოსები და ასოცირებული პროფესიონალები	5.7%	4.3%


წყარო: ავტორისეული გაანგარიშებები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ნახაზი ძალიან სუსტად გამოხატულ პოლარიზაციაზე მიგვითითებს. 2022 წელს ნაკლები ყველა სამუშაო რგოლში დასაქმებულების პროცენტული წილი. ამის მიუხედავად, მსგავსია შრომის პოლარიზაციის დონის ზოგადი სურათი. კვლავ, ყველაზე მეტი დასაქმებული მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზეა (14.4%) რასაც მოსდევს დაბალკვალიფიციური სამუშაოებზე დასაქმებულები (11.4%) და საბოლოოდ, პროცენტულად ყველაზე ნაკლები ადამიანი საშუალოკვალიფიციურ სამუშაოებზეა (9.9%).

თუ შრომის პოლარიზაციას შემოსავლების გადანაწილების პერსპექტივიდანაც შევხედავთ, ამისათვის, განვიხილოთ სამუშაო ადგილების გადანაწილება შემოსავლების მიხედვით საქართველოში. ანაზღაურების დონეები დაყოფილია შემდეგნაირად: დაბალი ანაზღაურება - 600 ლარი ან მასზე ნაკლები, საშუალო - თვიური 601-1500 ლარამდე, ხოლო მაღალი -1501 ან მეტი ლარი. ნახაზი #4 კარგად ჩანს, რომ საქართველოში ყველა პროფესიულ ჯგუფში დაბალი ანაზღაურების მქონე სამუშაო ადგილების წილი არის ყველაზე დიდი.

ნახ. 4

**ნახაზი 4: სამუშაო ადგილების განაწილება შემოსავლების მიხედვით საქართველოში (%)**



წყარო: ავტორისული გაანგარიშებები საქსტატის მონაცემების მიხედვით

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც იზრდება დაბალ და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები და ქრება საშუალო რგოლი, საქართველოში საპირისპირო სურათი იკვეთება: დაბალანაზღაურებადი სამუშაოები ჭარბობს ყველა სამუშაო ადგილზე, იქნება ეს მაღალ, საშუალო თუ დაბალკვალიფიციური.

### დასკვნა

- ტექნოლოგიურ განვითარება და კომპიუტერიზაცია დიდი გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს რომ ეს პროცესი რუტი-

ნულ და არარუტინულ სამუშაოებზე განსხვავებულად აისახება. რუტინული სამუშაო მარტივად იცვლება კომპიუტერებით, ხელოვნური ინტელექტითა თუ რობოტებით. სწორედ ეს იწვევს ზუსტად საშუალოკვალიფიციური მუშახელის გადინებას ან უფრო დაბალ ან უფრო მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე ან თუნდაც უმუშევრობას. ამ პროცესს ეწოდება შრომის პოლარიზაცია, რომელიც ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი, როდესაც საშუალოკვალიფიციურ პერსონალს არ უწევს უმუშევრობაში გადასვლა, იწვევს მათ „გადინებას“ უფრო დაბალკვალიფიციურ და მამასადამე დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე.

- ევროპის ქვეყნებისათვის (ზოგადად მსოფლიოსთვის) შრომის პოლარიზაცია ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.
- კვლევის შედეგებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა რომ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ განსხვავებული სიტუაციაა.
- საქართველოში ძალიან სუსტად ვლინდება შრომის პოლარიზაცია. ხუთწლიანი დინამიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიტუაცია ამ პერიოდში არ შეცვლილ - კვლავ ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი მაღალკვალიფიციურ რგოლშია, რასაც მოსდევს დაბალ და საბოლოოდ საშუალოკვალიფიციური სამუშაოები. ანაზღაურების კონტექსტში კი დაბალანაზღაურებადი სამუშაოები ჭარბობს ყველა სამუშაო ადგილზე, იქნება ეს მაღალ, საშუალო თუ დაბალკვალიფიციური.
- ერთი მხრივ უმუშევრობის დონის კლებასთან რაც თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას და მეორე მხრივ ავტომატიზაციის პროცესთან ერთად, იზრდება რისკი, რომ საშუალო და დაბალკვალიფიციური მუშახელი საქართველოში დროდადრო ჩანაცვლდება შედარებით უფრო ნაკლები მაღალკვალიფიციური კადრებით.

### ლიტერატურა

1. დიაკონიძე ა. (2020) შრომის ბაზრის პოლარიზაცია და მისი სპეციფიკა საქართველოში
2. თოთლაძე ლ., ვეშაპელი გ. (2021) ციფრული ტრანსფორმაციის შრომასა და შრომის ბაზარზე გავლენის საკითხისათვის. Proceedings of Materials of International Scientific Conference “ECONOMIC, SOCIAL, ECOLOGICAL AND TECHNOLOGICAL CHALLENGES IN XXI-st CENTURY”. P. 169-176. PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY; ISBN 978-9941-491-53-5; Tbilisi, 2021. (თანაავტორი გ. ვეშაპელი) <http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2021%20konf.pdf>
3. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა (2022) პროფესიული უნარების სააგენტო, 2022;
4. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2022; ხელმისაწვდომია: <https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d>



5. Acemoglu, D., & Autor, D. (2010). Skills, tasks, and technologies: implications for employment and earnings (Ser. Nber working paper series, no. w16082). National Bureau of Economic Research.
6. Autor, D. H., & Dorn, D. (2013). The growth of low-skill service jobs and the polarization of the US labor market. *American Economic Review*, 103(5), 1553–1597.
7. Autor, D. H., Katz, L., & Kearney, M. (2008). Trends in U.S. wage inequality: Revisiting the revisionists. *The Review of Economics and Statistics*, 90(2), 300–323.
8. Blinder, A. S., and Rueger, A. B. K. 2013. “Alternative Measures of Offshorability: A Survey Approach.” *Journal of Labor Economics* 31: 97–128.
9. Coville A. Fernandez C. Mannava A. Piza C. Raja S. (2019), Empirical Evidence for broadband as a skills-biased technology
10. Fernandez-Macias, E. (2012). Job polarization in Europe? changes in the employment structure and job quality, 1995–2007. *Work and Occupations*, 39(2), 157–182.
11. Goos, M., & Manning, A. (2007). Lousy and lovely jobs: the rising polarization of work in Britain. *The Review of Economics and Statistics*, 89(1), 118–133.
12. Goos, M., Manning, A., & Salomons, A. (2009). Job polarization in Europe. *The American Economic Review*, 99(2), 58–63.
13. Jerbashian, V. (2019). Automation and job polarization: on the decline of middling occupations in Europe. *Oxford Bulletin of Economics and Statistics*, 81(5), 1095–1116.
14. Wang, J., Caminada, K., Goudswaard, K. and Wang, Ch., (2015). Decomposing Income Polarization and Tax – Benefit Changes Across 31 European Countries and Europe Wide, 2004–2012, Leiden University, Department of Economics.
15. [www.Geostat.ge](http://www.Geostat.ge)
16. <https://www.oecd.org/>
17. <https://www.ilo.org/global/lang--en/index.htm>

**Givi Veshapeli**

*ERASMUS MUNDUS Master Program EPOG+*

*University of Turin*

## **POLARIZATION OF THE GEORGIAN LABOR MARKET**

### **Expanded Summary**

Polarization of the labor market is a relevant topic in Europe and the US. It refers to the growing disparity between high-skilled, high-paying jobs and low-skilled, low-paying jobs, with a decline in middle-skilled jobs. Numerous studies are being conducted to address this process and to better understand its complexity. However, it should be noted that there are few studies on labor market polarization in Georgia. The study analyzes labor market polarization in Georgia from 2017 to 2022. The research is based on data obtained from the National Statistics Office of Georgia. The analysis of statistical data reveals the level of labor market polarization in Georgia. Based on the results of the research, it is confirmed that labor market polarization is revealed in Georgia.

Since the early 2000s, it has been predicted that technological advancement and computerization would lead to significant changes in the labor market. The main idea of this concept was that this progress would result in different developments in routine and non-routine work. Routine work could easily be replaced by computers, artificial intelligence, or robots. The decline in routine work leads to the displacement of average-qualified workers to lower or higher-qualified jobs or even unemployment. This process is called labor market polarization, which is the most challenging in finding the best solution.

Technological development and computerization have an impact on the labor market. It should be noted that this process affects routine and non-routine jobs differently. Routine work is easily replaced by computers, artificial intelligence, or robots. This is precisely what causes the outflow of middle-skilled labor either to lower or higher-skilled jobs or even to unemployment. This process is called labor polarization, which even in the best-case scenario when middle-skilled workers do not have to go into unemployment, causes them to "drain" into lower-skilled and therefore lower-paid jobs.

Two main causes of labor polarization are identified:

- Technological change - routine jobs are no longer as demanding as they were in the past due to automation.
- Globalization and Offshoring - The growth of global trade and the reduction of transport costs means that some jobs have moved to countries outside Western Europe.

Polarization of labor is one of the problems for European Countries (in general for the world). Therefore, there are bulk of research, but in Georgia, no research has been conducted in this regard.

In recent years, as a result of the low growth of population and increased migration flow in Georgia, the labor force has been decreasing. According to the study of the labor market information system ([www.lmis.gov.ge](http://www.lmis.gov.ge)), the unemployment rate in Georgia in 2021 was 20.6%, which is 2.1% more than the data of the same period of the previous year.

The Georgian labor market has different specificities compared to the European counterpart. In general, in European countries, the salary corresponds to the level of workers' qualifications. A highly qualified job in Georgia does not automatically mean a high salary. However, according to studies, the development of technologies plays an important role in the polarization of the Georgian labor market.

To reveal the polarization of the Georgian labor market, we classified the jobs into high, middle, and low-skilled jobs. Since statistics on the distribution of employees by professional groups are available only from 2017, the study reflects the dynamics of labor polarization from 2017 to 2022.

As a result of research, we found out that unlike European countries, our country has a different situation in this regard. Labor polarization is very weak in Georgia. The analysis of the five-year dynamics allows us to conclude that the situation has not changed during this period - the highest number of jobs are still in the highly skilled sector, followed by low and finally middle-skilled jobs. In the context of wages, low-wage jobs prevail in all workplaces, be they high-, medium-, or low-skilled.

Most people are employed in high-skilled jobs (14.4%), followed by those employed in low-skilled jobs (11.4%), and finally, the lowest percentage of people are in middle-skilled jobs (9.9%). If we consider labor polarization from the perspective of income distribution, for this, let's consider the distribution of jobs according to income in Georgia. Wage levels are divided as follows: low wage - 600 GEL or less, average - 601-1500 GEL per month, and high - 1501 GEL or more. The share of low-skilled jobs is the largest among all professional groups in Georgia.

In contrast to developed countries, where low-skilled and high-skilled jobs are growing and the middle-skills are disappearing, in Georgia, the opposite picture emerges. low-skilled jobs prevail in all workplaces, whether they are high, middle, or low-skilled.

Keywords: Labor Market; Polarization; Automatization; Technological Change; Globalization;

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე:  
ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ჟაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze